

2024

**ANNUAL
REPORT**

1.	ძირითადი დასკვნების შეჯამება	2
1.1.	შესავალი	2
1.2.	მენეჯმენტის განცხადება.....	2
1.3.	საზედამხედველო სიახლეები.....	2
2.	მფლობელები და ჯგუფის სტრუქტურა.....	3
2.1.	ბაზისბანკის და ჯგუფის შესახებ.....	3
2.2.	სტრატეგია	5
2.3.	მფლობელობის სტრუქტურა.....	6
2.4.	ჯგუფის სტრუქტურა.....	9
3.	კორპორაციული მართვა	11
3.1.	მართვის მიმოხილვა	11
3.2.	მმართველობის სტრუქტურა	12
3.3.	აქციონერთა საერთო კრება.....	13
3.4.	სამეთვალყურეო საბჭო.....	15
3.5.	დირექტორატი	24
3.6.	მმართველობის სხვა ასპექტები	33
4.	რისკების მართვა და სტრატეგია	38
4.1.	რისკების მართვის ჩარჩო	38
4.2.	რისკების მართვის სტრუქტურა ბაზისბანკში.....	40
4.3.	რისკების სტრატეგია	47
4.4.	რისკის აპეტიტი.....	50
5.	საზედამხედველო მოთხოვნები ბაზელი 3-ის მიხედვით.....	74
5.1.	საზედამხედველო ჩარჩო	74
5.2.	სს ბაზისბანკისთვის დაწესებული საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები	76
5.3.	ბაზელი 3-ის დამატებითი მოთხოვნები.....	81
6.	ანაზღაურების პოლიტიკა	82

1. ძირითადი დასკვნების შეჯამება

1.1. შესავალი

სს ბაზისბანკის 2024 წლის პილარ 3-ის ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის 22 მაისის #92/04 ბრძანების „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესით“ განსაზღვრული მოთხოვნებისა და ასევე, ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის პილარ 3-ის გამჭვირვალობის მოთხოვნებისა და ევროკავშირის N 575/2013 ღირექტივით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

1.2. მენეჯმენტის განცხადება

- ღირექტორატი ადასტურებს, რომ წინამდებარე ანგარიშში მოცემული ინფორმაცია არის უტყუარი და არ შეიცავს რაიმე არსებით უზუსტობებს.
- ანგარიში დამტკიცებულია აუდიტის კომიტეტის მიერ 2025 წლის 27 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის 22 მაისის N92/04 „კომერციული ბანკების მიერ პილარ III ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ“ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.
- სხვაგვარად მითითებულის გარდა, ამ ანგარიშში წარმოდგენილი ყველა მონაცემი და ინფორმაცია წარმოდგენილია საქართველოს საბანკო სფეროს მარეგულირებლის, საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ დადგენილი ანგარიშგების სტანდარტების მიხედვით.
- რეგულაცია არ ავალდებულებს ბანკებს პილარ III ანგარიშისა და მასთან დაკავშირებული გამჟღავნებების აუდიტს.
- ანგარიში მომზადებულია შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით, შეთანხმებული და დამტკიცებულია სს ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

1.3. საზედამხედველო სიახლეები

ცვლილებები კაპიტალის მოთხოვნებში: ადგილობრივ ეკონომიკაზე გლობალურად გამკაცრებული ფინანსური პირობების ზემოქმედების შესარბილებლად, ეროვნული ბანკის 2023 წლის ნოემბრის გადაწყვეტილებით, კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი ეტაპობრივად დაგროვდება. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, ბანკებს მოეთხოვებათ ნეიტრალური კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის დაგროვება შემდეგი გრაფიკის მიხედვით: 0,25 პროცენტი 2024 წლის 15 მარტამდე; 0,5 პროცენტი 2025 წლის 15 მარტამდე; 0,75 პროცენტი 2026 წლის 15 მარტამდე; 1 პროცენტი 2027 წლის 15 მარტამდე.

დედოლარიზაციის ღონისძიებები: ეროვნული ბანკი ინდუსტრიასთან კოორდინაციით, მაკროეკონომიკური გარემოსა და რისკების გათვალისწინებით, აგრძელებს დედოლარიზაციის გრძელვადიანი გეგმის განხორციელებას. 2024 წლის ნოემბერში ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, არაჰეჯირებული უცხოური ვალუტის სესხების ლიმიტი 400 000-დან 500 000 ლარამდე გაიზარდა. ცვლილება ძალაში 2025 წლის 1 იანვრიდან შევა. ეს ცვლილება დადებითად აისახება საცალო სესხების პორტფელში დედოლარიზაციის შემცირებაზე.

ეროვნული ბანკი ასევე აქტიურად აკვირდება დეპოზიტების დოლარიზაციის დინამიკას, რომლის დონე ბოლო პერიოდში გაურკვევლობის ფონზე გაიზარდა და ხელი შეუწყო ფინანსურ სისტემაში ჭარბი უცხოური ვალუტის ლიკვიდობის დაგროვებას. იმისათვის, რომ ზედმეტი ლიკვიდობა არ გადაიზარდოს სესხების გაზრდილ დოლარიზაციაში, 2024 წლის ნოემბერში მონეტარული პოლიტიკის უცხოურ ვალუტის ვალდებულებებზე სარეზერვო კოეფიციენტის ზედა ზღვრის 5 პროცენტული პუნქტით გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო. ასე რომ, ახლა უცხოურ ვალუტაში მოზიდული სახსრების სარეზერვო მოთხოვნა იქნება არა 10%-დან 20%-მდე, არამედ 10%-დან 25%-მდე დიაპაზონში. ეს ცვლილება ბანკებს აშშ დოლარის რესურსების ღირებულებას გაზრდის, რაც შეამცირებს საპროცენტო განაკვეთს აშშ დოლარით დენომინირებულ დეპოზიტებზე და გაზრდის საპროცენტო განაკვეთს აშშ დოლარით დენომინირებულ სესხებზე. ეს დადებითად აისახება დედოლარიზაციაზე.

მწვანე, სოციალური, მდგრადი და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების სტატუსის მინიჭება, შენარჩუნება და გაუქმება: კაპიტალის ბაზარზე პასუხისმგებელი დაფინანსების პრაქტიკის ხელშეწყობისა და გაძლიერების მიზნით, 2024 წლის პირველ კვარტალში, ეროვნულმა ბანკმა საჯარო კონსულტაციისთვის გამოაქვეყნა მწვანე, სოციალური, მდგრადი ან მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და გაუქმების შესახებ წესის პროექტი. წესის მიხედვით გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების მქონე საჯაროდ შეთავაზებული კორპორატიულ ობლიგაციებზე, ამ ობლიგაციების მიმართ ინვესტორების ნდობისა და ინტერესის გაძლიერების მიზნით, გავრცელდება მარეგულირებელი ზომები. გარდა ამისა, ის მიზნად ისახავს თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას შეცდომაში შემყვანი სარეკლამო პრაქტიკა, რომელიც greenwashing-ის სახელითაა ცნობილი.

რეგულაცია შეესაბამება კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო ასოციაციის (ICMA) პრინციპებს და მდგრადი დაფინანსების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. იგი ასევე ასახავს ევროპული მწვანე ობლიგაციების სტანდარტის რეგულაციას, რომელიც ევროპარლამენტისა და საბჭოს მიერ 2023 წლის 22 ნოემბერს დამტკიცდა.

ღია ბანკინგის სიახლეები: 2024 წლის პირველ ნახევარში სებ-მა გამოაქვეყნა ღია ბანკინგის შესახებ წესში ცვლილებების პროექტი, რითაც მიკრობანკებს საშუალება მიეცათ მონაწილეობა მიიღონ ღია ბანკში კომერციულ ბანკებთან ერთად. გარდა ამისა, რეგულაციას დაემატა ის მინიმალური კრიტერიუმები, რომლებსაც ბანკი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ეროვნულ ბანკში გარანტიის წარდგენისას. ღია ბანკინგი გულისხმობს ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცვლას. ღია ბანკინგს შეუძლია დადებითი შედეგი მოუტანოს როგორც მომხმარებელს, ისე ზოგადად ფინანსურ სექტორს. ღია ბანკინგი გზას უხსნის ახალი ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობას, ხელს უწყობს ჯანსაღ კონკურენციას და ემსახურება მონაცემთა ბაზებზე ორიენტირებული ფინტექ ბიზნეს მოდელების შემუშავებას.

ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა: საქართველოს საბანკო სექტორი კვლავ ერთგულად იცავს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო შესაბამისი რეგულაციების და დიდი ბრიტანეთის, აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების მოთხოვნებს.

2. მფლობელები და ჯგუფის სტრუქტურა

2.1. ბაზისბანკის და ჯგუფის შესახებ

სს ბაზისბანკი (შემდგომში „ბანკი“) ოპერირებს საქართველოში და დაფუძნებულია 1993 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც სააქციო საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება ბანკის აქციებით. .

ბაზისბანკი ფინანსური ჰოლდინგის ნაწილია, რომელიც მოიცავს სს ბაზისბანკს, სს ბბ ლიზინგის და სს ბბ დაზღვევას (ერთობლივად მოხსენიებული როგორც „ბბ ჯგუფი“ ან „ჯგუფი“).

ბოლო მონაცემებით, ბაზისბანკი საქართველოში მეოთხე უდიდეს ფინანსურ ინსტიტუტად პოზიციონირდება. ბანკს 39 ფილიალი აქვს, 900-ზე მეტ თანამშრომელს აერთიანებს და ემსახურება 200 000-მდე მომხმარებელს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის აქტივებმა 4.0 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც ბაზრის 4,2%-ია.

ბანკის მთავარი საქმიანობა გულისხმობს საბანკო და ფინანსური მომსახურების შეთავაზებას როგორც ბიზნესს, ისე საცალო კლიენტებისთვის. გარდა ამისა, ბანკი თავისი შვილობილი კომპანიების მეშვეობით ახორციელებს სალიზინგო და სადაზღვევო მომსახურებას. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი – „შვილობილი კომპანიები“.

ბაზისბანკი 1993 წელს თბილისში დაარსდა ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ, რომლებსაც ჰქონდათ საერთო ხედვა და მოიუხედავად მოკრძალებული კაპიტალისა, აერთიანებდათ ძლიერი მისწრაფება და მიზანი, შეექმნათ წამყვანი კერძო ფინანსური ინსტიტუტი და ღირებული საბანკო ბრენდი ქვეყანაში. მოუხედავად 90-იანი წლების გამოწვევებისა, ბანკმა მოახერხა ასეთი ფინანსური ინსტიტუტის შექმნისა და განვითარების მყარი ბაზისის შემნა სწორი სტრატეგიისა და თანმიმდევრული ნაბიჯების მეშვეობით.

2000-იანი წლების დასაწყისი მნიშვნელოვანი წლები იყო ბაზისბანკისთვის, ჩამოყალიბდა განვითარების სტრატეგია და გადაიდგა პირველი ნაბიჯები საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის დასამყარებლად. ბანკმა საფუძველი ჩაუყარა ზრდაზე ორიენტირებულ, სტრატეგიულ პლატფორმებს და ეყრდნობოდა მხოლოდ საკუთარ რესურსებს, რამაც მალე მიიზიდა ისეთი ინვესტორები, რომლებიც საქართველოში საინვესტიციო შესაძლებლობებს ეძებდნენ.

2008 წელს ბაზისბანკის აქციების 15% შეიძინა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) და ამავდროულად დაიწყო ბანკის ორგანიზაციული რესტრუქტურის პროცესი უფრო მოქნილი და ეფექტური სტრუქტურის შესაქმნელად. უპირველესი მიზანი იყო ძლიერი ფინანსური ინსტიტუტის ჩამოყალიბება კარგად განვითარებული სტრუქტურებით, პოლიტიკებითა და პროცედურებით. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გამიზნული იყო ფინანსურ ბაზარზე ბანკის პოზიციის გასაუმჯობესებლად და სტრატეგიული ინვესტორების მოსაზიდად.

2012 წელს საქართველოში ერთ-ერთმა უმსხვილესმა ჩინურმა ინვესტორმა, ჰუალინგ ჯგუფმა, ბანკის აქციების 90% შეიძინა და მოგვიანებით წილი 92%-მდე გაზარდა.

ჰუალინგ ჯგუფის შემოსვლიდან ბაზისბანკის პროგრესი ბაზარზე მნიშვნელოვანი იყო - მთავარი ამოცანა მდგომარეობდა სწრაფი ზრდის უზრუნველყოფაში, ჯანსაღი ფინანსური მდგომარეობისა და მომგებიანობის შენარჩუნებაში და ამ ყველაფრის რისკის მართვის პრუდენციული პრაქტიკით მიღწევაში, რათა შენარჩუნებულიყო მდგრადობა გრძელვადიანი განვითარების გზაზე.

მშობელი კომპანიის ფინანსურმა მხარდაჭერამ ბაზისბანკს ახალი შესაძლებლობები შეუქმნა - მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ბანკი სწრაფ ზრდას აჩვენებდა ბაზარზე და საქართველოს უმსხვილესი კომერციული ბანკების რეიტინგში მე-11-დან მე-5 ადგილზე გადაინაცვლა.

2017 წელს ბანკი აარსებს ორ შვილობილ კომპანიას, ბბ დაზღვევას და ბბ ლიზინგს, რომლებიც ქმნიან ბაზისბანკის ჯგუფს (ბბ ჯგუფი). ფინანსური ჯგუფის სტრუქტურამ ბანკს საშუალება მისცა რესურსები გაერთიანებინა და მომხმარებელთა ფართო სპექტრისთვის დივერსიფიცირებული ფინანსური სერვისები მიეწოდებინა.

2022 წელს ორგანული ზრდა წარმატებით განვითარდა სს ვითიბი ბანკ საქართველოს პორტფელის შექმნით, რომლის ფარგლებშიც ბაზისბანკმა 787 მილიონი ლარის სასესხო პორტფელი და 665 მილიონი ლარის სადეპოზიტო პორტფელი შეიძინა. შედეგად ბანკს 135 ათასზე მეტი ახალი კლიენტი, 24 ახალი ლოკაცია და 350-ზე მეტი ახალი თანამშრომელი დაემატა, გაზარდა მთლიანი აქტივები, საკრედიტო პორტფელი და ბაზარზე სიდიდით მე-4 ბანკი გახდა. .

ბანკისთვის 2023 და 2024 წლებიც გამოწვევებით სავსე, მაგრამ წარმატებული იყო. უნივერსალურ ბანკად გადაქცევის სტრატეგიული ტრანსფორმაციის პროცესი და კლიენტის ყველა სეგმენტისა და ქვესეგმენტის დაფარვის ამოცანა ბანკისათვის ოპერაციების, პროცესების და სტრატეგიის გადასინჯვას გულისხმობდა უფრო მასშტაბური ზრდის უზრუნველსაყოფად. სწრაფად ცვალებად გარემოსთან ადაპტაციის მიზნით ბანკმა დაიწყო ექაილ სტრუქტურის დანერგვა სტრატეგიულ მიმართულებებში და მუშაობა ახალი ციფრული საბანკო გადაწყვეტების მიმართულებით.


2024 წლის ბოლოსთვის ჯგუფის კონსოლიდირებულმა აქტივებმა 4.1 მლრდ ლარს, ხოლო მოგებამ 87 მლნ ლარს მიაღწია, ხოლო სესხებისა და დეპოზიტების პორტფელი შესაბამისად 2.96 მლრდ და 2.54 მლრდ ლარს შეადგენდა.

2.2. სტრატეგია

ბანკის სტრატეგია წლების განმავლობაში მუდმივად განვითარებასა და უფრო ღიდი საბაზრო წილის ათვისებას ითვალისწინებდა. 2022 წელს სს ვითიბი ბანკ საქართველოს პორტფელის შექმნის შემდეგ, რითიც ბანკის საცალო და კორპორატიული მიმართულებების დაფარვა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ბანკი და ჯგუფი დინამიური ტრანსფორმაციის ფაზაში შევიდა და დაიწყო ახალი სტრატეგიული მიზნების დასახვა.

ბანკის მიზანია შექმნას ღირებულება კლიენტებისთვის, გაიგოს მათი საჭიროებები და შესთავაზოს მათ პირად და ბიზნეს საჭიროებებზე მორგებული პროდუქტები და სერვისები.

ბანკის სტრატეგია ოთხი სტრატეგიული მიმართულებისგან შედგება, ესენია: საბაზრო წილისა და მომგებიანობის ზრდა, დიჯიტალიზაცია, ბიზნესის ტრანსფორმაცია და მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესება. მათაგან თითოეულს რამდენიმე ქვე-მიზანი აქვს.



ამ ამოცანების შესრულებით, ეთიკურად მოქმედებითა და თანამშრომლების, კლიენტების, პარტნიორებისა და აქციონერების გრძელვადიანი ერთგულების მოპოვებით, ბანკს სურს ბაზარზე სამ საუკეთესო ბანკს შორის დაიკავოს პოზიცია ყველა ძირითადი მიმართულებით, მათ შორის საბანკო, სადაზღვევო და სალიზინგო მომსახურებაში.

ჩვენი სტრატეგია სამი ძირითადი მიზნის ირგვლივ ერთიანდება:

- პროდუქტის კომპეტენციის შენარჩუნება ყველა ძირითად სეგმენტსა და კლიენტთა ჯგუფში, კლიენტთა გამოცდილების გაუმჯობესება
- ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარება
- ჩვენი ძირითადი მახასიათებლების შენარჩუნება - ვიყოთ სანდო ფინანსური პარტნიორი მათთვის, ვინც ჩვენი მხარდაჭერით ახორციელებს ბიზნესს.

ბანკის სტრატეგიული რესურსები

კლიენტზე ორიენტირებული ბიზნეს მოდელი, მაღალკვალიფიციური მენეჯმენტი და გუნდი, კაპიტალის ძლიერი ბაზა, რისკების ჰოლისტიკური მართვა და ლოიალურ კლიენტთა ბაზა სტრატეგიული რესურსებია, რომლებიც უზრუნველყოფს ბანკის სტრატეგიული მიზნების შესრულებას. ყველა ამ სტრატეგიული რესურსის გამოყენების მეშვეობით ბანკმა შექმნა მომავლის ბანკის აშენების საფუძველი და იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მაღალი მომგებიანობა და მაქსიმალურად გაზარდოს ღირებულება აქციონერებისათვის.

2.3. მფლობელობის სტრუქტურა

სააქციო საზოგადოება "ბაზისბანკი" დაფუძნდა 1993 წლის 16 აგვისტოს, და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დარეგისტრირდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 1993 წლის 04 ნოემბერს. ბანკი ფლობს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ ლიცენზიას საბანკო საქმიანობაზე (1993 წლის 4 ნოემბერი, ლიცენზიის #173. ბანკის იურიდიული მისამართი: 0103 საქართველო, თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი #1) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის ბოლოს, ბანკის უშუალო და საბოლოო მშობელი კომპანია იყო შპს „ხინჯიანგ ჰუალინგ ინდასტრი ენდ ტრეიდ (გრუფი) ქო“ (Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd), რომელიც რეგისტრირებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

აქციონერები	აქციების ფლობა პროცენტულად 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	2024	2023
შპს „ხინჯიანგ ჰუალინგ ინდასტრი ენდ ტრეიდ (გრუფი) ქო“	91.891%	91.548%
ზაიქი მი	6.144%	6.461%
სხვა მინორიტარი აქციონერები *	1.965%	1.991%

*სხვა მინორიტარი აქციონერები არიან ფიზიკური პირები, მათ შორის დირექტორატის წევრები, რომელთა ანაზღაურების ნაწილი კონვერტირდება ბანკის აქციებში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბოლოო ბენეფიციარები 5%-ზე მეტი წილით იყვნენ ზაიქი მი (პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობს აქციების 56.266%-ს) და მი ენხვა (აქციების 41.752%) შპს „ხინჯიანგ ჰუალინგ ინდასტრი ენდ ტრეიდ (გრუფი) ქო“-ს მეშვეობით.


შპს „ხინჯიანგ ჰუალინგ ინდასტრი ენდ ტრეიდ (გრუფი) ქო“-ს მფლობელობის სტრუქტურის დეტალები მოცემულია ქვემოთ:

აქციონერები	წილის ფლობა პროცენტულად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	წილი	შპს „ხინჯიანგ ჰუალინგ ინდასტრი ენდ ტრეიდ (გრუფი) ქო“-ში
შპს „ჰუალინგ გრუფ ინვესტმენტ ჰოლდინგ (ხინჯიანგ) ქო“ (Hualing Group Investment Holding (Xinjiang) Co.) (100% ის მფლობელი მი ზაიქი)		54.545%
ენხვა მი		45.436%
სხვა მინორიტარი აქციონერები		0.018%
სულ		100.00%

2025 წლის 7 იანვარს, ენხვა მიმ და იანგ სიაოლინგმა შპს „ხინჯიანგ ჰუალინგ ინდასტრი ენდ ტრეიდ (გრუფი) ქო“ -ში თავიანთი წილი მთლიანად მათ ვაჟს, ზაიქი მის გადასცეს, რომელიც შპს „ხინჯიანგ ჰუალინგ ინდასტრი ენდ ტრეიდ (გრუფი) ქო“-ს 100%-იანი წილის საბოლოო მფლობელი გახდა. ის პირდაპირ ფლობს კომპანიის აქციების 45.4546%-ს და არაპირდაპირ - აქციების 54.5454%-ს შპს „ჰუალინგ გრუფ ინვესტმენტ ჰოლდინგ (ხინჯიანგ) ქო“-ს მეშვეობით (სადაც მას საკუთრების 100% აქვს). ცვლილებები ჩინეთის

რესპუბლიკის ეროვნულ საწარმოთა საკრედიტო ინფორმაციის საჯაროობის სისტემაში 2025 წლის 15 იანვარს აისახა.

სს ბაზისბანკის განახლებული აქციონერთა სტრუქტურა



ცვლილების შემდეგ, საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი ზაიქი მი სს „ბაზისბანკის“ აქციების 98,03%-ს ფლობს.

აქციონერების საკუთრების სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში PE1-BBS-QQ-20241231/ ცხრილი 6.

ინფორმაცია აქციონერის შესახებ

შპს „ბინჯიანგ ჰუალინგ ინდასტრი ენდ თრეიდ (გრუფი) ქო“ (“ჰუალინგ ჯგუფი”) ჩინური კერძო ჯგუფია, რომელიც ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში დივერსიფიცირებულ ბიზნესს ფლობს. ჰუალინგ ჯგუფი 2012 წლიდან ბაზისბანკის მთავარი აქციონერია.

ჰუალინგის, როგორც ბანკის მთავარი აქციონერის და საკონტროლო წილის - 90%-ზე მეტის მფლობელის მიზანია ბაზისბანკის ჯგუფის ქოლგის ქვეშ განავითაროს მძლავრი ფინანსური ინსტიტუტი, რომლის მთავარი ფოკუსი ბიზნეს ფრანშიზის ინტეგრირებული ზრდა და ბაზარზე ინტენსიური გაფართოებაა.

ჰუალინგ ჯგუფი ჩინური კერძო ჯგუფია, რომელიც 1988 წელს სინძიანის რეგიონში, ურუმჩიში მი ენხვამ დააარსა. ჯგუფის ძირითადი ბიზნესი საქონლის საბითუმო და საცალო ვაჭრობის ბაზრების, ასევე უძრავი ქონების ბაზრის განვითარება და მართვაა.

ჰუალინგ ჯგუფს 40-ზე მეტი შვილობილი კომპანია და 80-ზე მეტი აფილირებული კომპანია ჰყავს.

ამ შვილობილი კომპანიების მეშვეობით კომპანია ოპერირებს შემდეგ სექტორებში:

- უძრავი ქონების განვითარება და მართვა
- საცალო და საბითუმო საქონლის ბაზრების ოპერირება და მართვა
- კომერციული სერვისები
- აგრობიზნესი
- ლოჯისტიკა და ტრანსპორტი
- ფინანსური სექტორი
- განათლება

2007 წელს ჰუალინგმა საქართველოში საინვესტიციო პროექტების განხორციელება დაიწყო. ამჟამად ჰუალინგ ჯგუფი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კერძო საინვესტიციო ჯგუფია.

2.4. ჯგუფის სტრუქტურა

2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს ბაზისბანკის ჯგუფის ქოლგის ქვეშ სამი შვილობილი კომპანია ოპერირებდა: სს ბბ დაზღვევა, სს ბბ ლიზინგი და შპს ბაზის ასეტ მენეჯმენტ ჰოლდინგი (Basis Asset Management Holding LLC).

<i>ათასი ლარი</i>		2024	
სახელი	ძირითადი საქმიანობა	ინვესტიცია	წილი %
შპს ბაზის ასეტ მენეჯმენტ ჰოლდინგი	აქტივების მართვა	3,797	100%
სს ბბ დაზღვევა	დაზღვევა	6,000	100%
სს ბბ ლიზინგი	ლიზინგი	18,000	100%
მთლიანი ინვესტიცია კაპიტალში		27,797	

ბბ დაზღვევა

ბბ დაზღვევა ბბ ჯგუფის მთავარი სადაზღვევო პარტნიორია. ბბ დაზღვევა ემსახურება ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და მათ სადაზღვევო პროდუქტების ფართო სპექტრს სთავაზობს, რომელიც მოიცავს საავტომობილო, ქონების, სიცოცხლის, სამოგზაურო და კორპორატიულ პაკეტებს.

ბბ დაზღვევის მომსახურება ხელმისაწვდომია ყველა ქალაქში და რეგიონში, სადაც ბაზისბანკი არის წარმოდგენილი თავისი ფილიალების მეშვეობით.

კომპანიის მმართველობითი ორგანო

- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ზაიქი მი
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - დავით ცაავა
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - ხვეი ლი
- სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი - ზაზა რობაქიძე

დირექტორატი

- გენერალური დირექტორი - კონსტანტინე სულამანიძე
- გენერალური დირექტორის მოადგილე - ლევან პიტიურიშვილი (საოპერაციო დირექტორი)
- გენერალური დირექტორის მოადგილე - შოთა სვანაძე (რისკების დირექტორი)
- გენერალური დირექტორის მოადგილე - ვანო ბაღოშვილი (ფინანსური დირექტორი)

ბბ დაზღვევა მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან პროდუქტებს როგორც საცალო, ისე კორპორატიულ სეგმენტში, კერძოდ: ავტომობილის, ქონების, საკრედიტო სიცოცხლისა და სხვა ისეთ კორპორატიულ სადაზღვევო პაკეტებს, როგორებიცაა: ტვირთის, ბიზნესის შეწყვეტის, ზოგადი მესამე მხარის პასუხისმგებლობის დაზღვევა, საბანკო საბლანკო ობლიგაცია და საავიაციო ბიზნესთან დაკავშირებული რისკის დაზღვევა.

ბბ ლიზინგი

ბბ ლიზინგი ბაზისბანკის ჯგუფის წევრია. ბბ ლიზინგი მრავალმხრივ სალიზინგო გადაწყვეტებს და საკონსულტაციო მომსახურებას სთავაზობს სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელ ბიზნესებსა და საცალო მომხმარებლებს. კლიენტი უზრუნველყოფილია ხარისხიანი პროდუქციითა და მომსახურებით, რომელსაც თან ერთვის გაფართოებული საკონსულტაციო შესაძლებლობები და მაღალ დონეზე ავტომატიზირებული პროცესები.

კომპანიის მმართველობითი ორგანო

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ზაიქი მი
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - დავით ცაავა
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - ხვეი ლი

დირექტორატი

გენერალური დირექტორი - კონსტანტინე სულამანიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე - ლია ასლანიკაშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე - მალხაზ ხარჩილავა

შპს „ბაზის ასეტ მენეჯმენტ-ჰოლდინგი“, რომელიც არის ბანკის ქონების მართვის შვილობილი კომპანია, დაარსდა 2012 წელს. შვილობილი კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: უძრავი ქონების დეველოპმენტი, რეალიზაცია, ლიზინგი და გაქირავება.

მმართველი ორგანო

გენერალური დირექტორი - ლევან გარდაფხაძე

3. კორპორაციული მართვა

3.1. მართვის მიმოხილვა

ეფექტური კორპორაციული მართვა მაღალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩვენი იდენტობის ნაწილია. ჩვენ მზად ვართ შევინარჩუნოთ საუკეთესო კორპორაციული მმართველობის ჩარჩო, რომელიც სრულად შეესაბამება ეროვნული ბანკის კორპორაციული მართვის კოდექსს, საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას. ჩარჩო ეფექტური გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად შეიქმნა, მასში რისკებისა და ანგარიშვალდებულების მკაფიო და თანმიმდევრული როლები და პასუხისმგებლობებია გაწერილი და ძლიერი აქცენტი კეთდება მკაფიო მმართველობის სტრუქტურის გაძლიერებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ღირებულებაზე დაფუძნებულ მართვასა და კონტროლს.

სებ-ის კორპორაციული მართვის კოდექსი, თავის მხრივ, ეფუძნება ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 2000/36/EU დირექტივის, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD), დიდი ბრიტანეთის საფონდო ბირჟისა და სხვების კორპორაციული მართვის მოწინავე სტანდარტებსა და პრინციპებს.

აქციონერებისთვის მაღალი ღირებულების შექმნის მიზნით, ბაზისბანკი აგრძელებს თავისი ოპერაციების კორპორაციული მართვის უმაღლესი სტანდარტებით განხორციელებას, რაც მდგრადი კორპორაციული წარმატების აუცილებელი საფუძველია, განსაკუთრებით განვითარებად საბაზრო ეკონომიკაში. ჩვენ მზად ვართ, ჩვენს ყველა ოპერაციაში დავიცვათ კარგი კორპორაციული მართვის პრინციპები, რაც ქმნის იმ მტკიცე საზოგადოების ნდობის საფუძველს, რასაც ჩვენ მიმართ გამოხატავენ აქციონერები, მომხმარებლები, ბიზნესპარტნიორები, თანამშრომლები და ფინანსური ბაზრები. კარგი კორპორაციული მართვა გრძელვადიანი წარმატების გასაღებია.

ზემოაღნიშნული რეგულაციების პრინციპების შესაბამისად, ბანკმა ჩამოაყალიბა კორპორაციული მმართველობის სტრუქტურა, რომელიც შეესაბამება ბანკისა და მისი ჯგუფის ზომას, სირთულეს, სტრუქტურას, ეკონომიკურ მნიშვნელობას, რისკის პროფილს და ბიზნეს მოდელს.

ჯგუფის დონეზე, დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელი არიან ჯგუფის სტრატეგიაზე, რისკების მართვასა და შიდა კონტროლზე. შიდა კონტროლის სისტემები და რისკების მართვის პოლიტიკა და პრაქტიკა ზიარდება ჯგუფის დონეზე.

3.2. მმართველობის სტრუქტურა

„ბაზისბანკის“ (ბანკის) მმართველობის სტრუქტურა განსაზღვრავს ფორმალურ ჩარჩოს, რომლის ფარგლებში დირექტორატი ახორციელებს ბანკის სტრატეგიისა და მიზნების შესრულებას, აგრეთვე მართავს დირექტორებსა და აქციონერებს შორის ურთიერთობას. ამის მხარდასაჭერად, ბანკმა შეიმუშავა პოლიტიკისა და სისტემების ყოვლისმომცველი ჩარჩო, რაც შექმნილია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას სტრატეგიული მიზნების მიღწევა ეფექტური ზედამხედველობისა და კონტროლის გზით.

ბანკის კორპორაციული მართვის სტრუქტურა სამ ცალკეულ ორგანოს აერთიანებს:

- აქციონერთა საერთო კრება
- სამეთვალყურეო საბჭო და საბჭოს დონის კომიტეტები
- დირექტორატი და დირექტორატის დონის კომიტეტები



3.3. აქციონერთა საერთო კრება

აქციონერი თავის უფლებებსა და მოვალეობებს საერთო კრების მეშვეობით ახორციელებს. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს ბანკის მართვის უმაღლეს ორგანოს, მასში მონაწილეობის გზით აქციონერი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ბანკის წესდებით განსაზღვრულ უფლებებს.

საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე: ამტკიცებს ბანკის წესდებას, იღებს გადაწყვეტილებას აქციების გამოშვების შესახებ, მოგების განაწილების და გამოყენების შესახებ, ბანკის კაპიტალში ცვლილებების შესახებ და საბჭოს წევრების დანიშნვისა და/ან გათავისუფლების შესახებ.

აქციონერთა საერთო კრებაზე ერთი ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ერთი ხმის უფლებას ანიჭებს. აქციონერთა მორიგი საერთო კრების სხდომა ტარდება წელიწადში ერთხელ გასული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშის მომზადებიდან არაუგვიანეს ორი თვის განმავლობაში, რომელიც თავის მხრივ უნდა მომზადდეს წლის დასრულებიდან ოთხი თვის განმავლობაში. აქციონერთა საერთო კრების რიგგარეშე სხდომა მოიწვევა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, დირექტორატის ან აქციათა მინიმუმ 5%-ის მფლობელი აქციონერის მოთხოვნით.

2025 წლის ყოველწლიურ აქციონერთა საერთო კრებას ("აქციონერთა საერთო კრება") მოიწვევს ბანკის დირექტორატი კანონით დადგენილი პროცედურის მიხედვით, რაც ითვალისწინებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე და ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.bb.ge მოწვევის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას.

აქციონერთა საერთო კრების უფლებები და წესები

აქციონერთა საერთო კრება ბანკის უმაღლესი მმართველობის ორგანოა. იგი ატარებს ორი სახის კრებას: ყოველწლიური საერთო კრება და რიგგარეშე საერთო კრება.

ყოველწლიურ საერთო კრებაზე განიხილება წლიური შედეგები, ასევე კანონით და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

გეგმიური ყოველწლიური საერთო კრების გარდა, დამატებით ჩატარებული შეხვედრა წარმოადგენს რიგგარეშე საერთო კრებას.

აქციონერთა საერთო კრების მოწვევა:

- აქციონერთა საერთო კრებას იწვევს ბანკის დირექტორატი.
- აქციონერთა საერთო კრება მოიწვევა ყოველწლიურად, არანაკლებ წელიწადში ერთხელ, წლიური ბალანსის აუდიტის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.
- აქციონერთა რიგგარეშე კრება მოწვეული უნდა იქნას გენერალური დირექტორის, გენერალური დირექტორის მოადგილეების, სამეთვალყურეო საბჭოს ან იმ აქციონერის (აქციონერების) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ფლობს ბანკის აქციების არანაკლებ 5%-ს (ხუთ პროცენტს). გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ამ მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში.
- აქციონერის/აქციონერების წერილობით მოთხოვნაში აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ მითითებული უნდა იყოს საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზი, ასევე მისი დღის წესრიგი, სადაც მოცემულია აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი.
- აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე და ბანკის ვებგვერდზე საერთო კრების თარიღამდე არანაკლებ 21 დღით ადრე. იგი უნდა შეიცავდეს სულ მცირე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ინფორმაციას.

აქციონერთა საერთო კრების კომპეტენცია

აქციონერთა საერთო კრება იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

- ა) ბანკის წესდებაში ცვლილებების შეტანა, წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;
- ბ) ბანკის სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილება;
- გ) ბანკის რეორგანიზაცია;
- დ) ბანკის დაშლა, ლიკვიდატორის დანიშვნა, შუალედური და საბოლოო სალიკვიდაციო ნაშთების დამტკიცება;
- ე) ბანკის მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვა;
- ვ) დაბანდებული კაპიტალის ცვლილება;
- ზ) სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის, წევრთა რაოდენობის, მათი არჩევის, ვადამდე გაწვევის, კომპენსაციის ოდენობის და სტრუქტურის განსაზღვრა;
- თ) ბანკის აუდიტის დასკვნის დამტკიცება და აუდიტის განმარტებული პირის შერჩევა;
- ი) ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება და დივიდენდების განაწილება;
- კ) საერთო კრების პროცედურის დადგენა და ხმების დამთვლელი კომიტეტის არჩევა;
- ლ) ბანკის მმართველი ორგანოს/პირების და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესებში მონაწილეობა, მათ შორის, წარმომადგენლის დანიშვნა ამ პროცესებზე;
- მ) ბანკის მიერ ქონების შეძენა, გასხვისება, გაცვლა (ურთიერთდაკავშირებული ოპერაციები) ან სხვა დატვირთვა, რომლის ღირებულება შეადგენს ბანკის მთლიანი აქტივების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის საქმიანობის ჩვეულებრივ მიმდინარეობასთან.;
- ნ) აქციების რაოდენობის, ნომინალური ღირებულების, კლასებისა და მათთან დაკავშირებული უფლებების განსაზღვრა;

აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება წესდებითა და კანონით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებაუნარიანობა:

აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია და კვორუმი შემდგარი, თუ კრებაზე ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა ნახევარზე მეტი. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადამი მოწვეული იქნება ახალი კრება იმავე დღის წესრიგით, ზემოთ გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. ახალი კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერების არანაკლებ 25% (ოცდახუთი პროცენტი). თუ კრება კვლავ არ იქნება გადაწყვეტილებაუნარიანი, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადამი მოწვეული იქნება ახალი კრება იმავე დღის წესრიგით. ამ კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, მიუხედავად აქციონერთა დასწრებისა თუ წარმოდგენილი რაოდენობისა.

საერთო კრებაზე 1 (ერთი) ჩვეულებრივი აქცია იძლევა 1 (ერთი) ხმის უფლებას. აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე ან წარმოდგენილი აქციონერების ხმების უბრალო უმრავლესობით, გარდა ზემოთ მოყვანილი „ა“ – „ვ“ პუნქტებით გათვალისწინებული საკითხებისა, რომლებზედაც საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას დამსწრე ან წარმოდგენილი აქციონერების ხმების $\frac{3}{4}$ -ის უმრავლესობით.

კუმულაციური კენჭისყრა გამოიყენება აქციონერთა კრებაზე სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ასარჩევად. კუმულაციური ხმის მიცემის მეთოდი ასეთია:

- ა) აქციონერი ანაწილებს თავის ხმებს ნებისმიერ კანდიდატზე, ისე, რომ მათი ხმების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს მათ ხელთ არსებული ხმების რაოდენობას;

ბ) აქციონერს შეუძლია მხარი დაუჭიროს კანდიდატს მხოლოდ ერთი ხმით (მათ წინააღმდეგ ხმის მიცემა დაუშვებელია);

გ) თუ კანდიდატთა რაოდენობა ნაკლებია ან ტოლია ასარჩევ წევრთა/პირთა რაოდენობაზე, არჩეულად ჩაითვლება ყველა ის კანდიდატი, რომელმაც მიიღო მინიმუმ 1 ხმა. თუ კანდიდატთა რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა/პირთა რაოდენობას, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობა.

აქციონერთა საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი თანათავმჯდომარე, თანათავმჯდომარის არყოფნისას კი – ბანკის გენერალური დირექტორი, ან გენერალური დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. იმ შემთხვევაში თუ საერთო კრებაზე განსახილველად გამოტანილია საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც საერთო კრების თავმჯდომარეს გააჩნია ინტერესთა შეუთავსებლობა (კონფლიქტი), ასეთი საკითხის განხილვისას კრებას თავმჯდომარეობს სამეთვალყურეო საბჭოს სხვა (დამოუკიდებელი) წევრი.

3.4. სამეთვალყურეო საბჭო

ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს, ზედამხედველობას და კონსულტაციებს უწევს დირექტორატს და უშუალოდ მონაწილეობს ბანკისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის გადაწყვეტილებებში. სამეთვალყურეო საბჭო თავის ფუნქციებს ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებისა და სამეთვალყურეო საბჭოს დონის კომიტეტების მეშვეობით. საბჭო ნიშნავს დირექტორატის წევრებს და მჭიდროდ თანამშრომლობს აღნიშნულ მმართველობით ორგანოსთან, ზედამხედველობს და რჩევებს აძლევს მნიშვნელოვან საკითხებზე და უშუალოდ არის ჩართული ფუნდამენტური გადაწყვეტილებების მიღებაში.

ძირითადი ფუნქციები: სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქციებია ბაზისბანკის ჯგუფის საქმიანობის ზედამხედველობა, კორპორაციული მმართველობა და რისკების მართვა. ამ ფუნქციების ფარგლებში, საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს ჯგუფის ღირებულებების ჩამოყალიბების შესახებ, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე და ზოგადად, იმის უზრუნველყოფაზე, რომ ჯგუფი იმართებოდეს სამართლიანობის, კომპეტენციის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების დაცვით; საბჭო ადგენს ჯგუფის სტრატეგიას და ზედამხედველობას უწევს მენეჯმენტის მიერ ბანკის სტრატეგიული მიზნების შესრულებას; საბჭო უზრუნველყოფს ჯგუფის ყველა მარეგულირებელ და საზედამხედველო მოთხოვნასთან შესაბამისობას; საბჭო ადგენს კომპანიის რისკის აპეტიტს დირექტორატთან და რისკების დირექტორთან (გენერალური დირექტორის მოადგილე) კოორდინაციით; საბჭო აგრეთვე აკონტროლებს დირექტორატის საქმიანობას და აფასებს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფს კონტროლის ფუნქციების დამოუკიდებლობასა და ეფექტურობას და ახორციელებს დირექტორატის საქმიანობის შეფასებას მისი გრძელვადიანი გეგმის შესაბამისად. საბჭო ვალდებულია გააკონტროლოს დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები და უზრუნველყოს ჯგუფში ეფექტური პროცედურების და პოლიტიკების არსებობა, კანონისა და მარეგულირებელი ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.

საბჭოს სხდომები: საბჭოს სხდომები ემყარება ღია დიალოგის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს და წევრებს აქვთ შესაძლებლობა სრულად ჩაერთონ სამუშაო პროცესში. გადაწყვეტილებები მიიღება გამჭვირვალედ, ყველა წევრი თანაბრად მონაწილეობს დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გარდა ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ ბანკის რეგულაციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. საბჭოს გადაწყვეტილებები და დაკავშირებული მასალა მუდმივად მიეწოდება საქართველოს ეროვნულ ბანკს.


სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა და ხელახლა დანიშვნა: სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს აქციონერთა საერთო კრება ნიშნავს 4 წლის ვადით. 4 წლის შემდეგ მათ უფლებამოსილება უხანგრძლივდებათ, სანამ ახალ წევრებს არ დანიშნავენ მომდევნო საერთო კრებაზე. თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება დაინიშნოს შეუზღუდავი რაოდენობით.

საბჭოს წევრებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს გადადგნენ თანამდებობიდან. განცხადება გადადგომის შესახებ უნდა გაიგზავნოს 3 თვით ადრე. საბჭოს წევრი შეიძლება გადააყენოს წლიურმა საერთო კრებამ ვადამდე ნებისმიერ დროს. ახალი წევრი უნდა დაინიშნოს ყოფილი წევრის გადადგომის დღიდან 6 თვის ვადაში.

მოვალეობების გამიჯვნა: კორპორაციული მართვის სტრუქტურის მიხედვით, დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს მოვალეობები გამიჯნულია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს დირექტორატის წევრი. დირექტორატი აქტიურად არის ჩართული ბანკის სტრატეგიისა და ყოველდღიური მენეჯმენტის განხორციელებაში მაშინ, როცა სამეთვალყურეო საბჭოს როლი არის ზედამხედველობა და დირექტორატისთვის რეკომენდაციების გაწევა.

საბჭოს მრავალფეროვნება: სამეთვალყურეო საბჭო განსხვავდება ასაკის, სქესის, ეროვნების, წარმომავლობისა და გამოცდილების მიხედვით. წევრები ხელს უწყობენ საბჭოს ფუნქციონირებას თავიანთი განსხვავებული მოსაზრებებითა და რჩევებით სხვადასხვა საკითხებზე. ბანკს მიაჩნია, რომ ამ მრავალფეროვნებას მოაქვს დაბალანსებული ექსპერტიზა და პერსპექტივები საბჭოს საკითხებზე და უფრო მაღალ დონეზე აყავს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

საბჭოში ქალთა წარმომადგენლობა 50%-ია.



საბჭოს დამოუკიდებლობა: სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარი (ექვსიდან სამი) დამოუკიდებელია.

საბჭოს წევრები დამოუკიდებლები არიან, თუ ისინი არ ექვემდებარებიან ბანკის ან მესამე მხარის გავლენას, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს წევრს ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაში. დამოუკიდებელი წევრები ვალდებული არიან აცნობონ საბჭოს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მათ დამოუკიდებლობას. დამოუკიდებელ წევრებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ საბჭოს დონის კომიტეტებში, ამიტომ ისინი უზრუნველყოფენ გარე გამოცდილებას და ობიექტურობას და ხელს უწყობენ ინტერესთა კონფლიქტის უფრო ეფექტურად თავიდან აცილებას.

დამოუკიდებელი წევრის სტატუსი წყდება პირის საბჭოს წევრად პირველი დანიშნვიდან 9 (ცხრა) წლის შემდეგ.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

<p>ჭან ძუნ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე</p>	<p>ჭოუ ნინგ სამეთვალყურეო საბჭოს თანა-თავმჯდომარე</p>
	
<p>დაინიშნა: 2012 ეროვნება: ჩინელი</p>	<p>კომიტეტის წევრობა: აუდიტის კომიტეტის წევრი დაინიშნა: 2012 ეროვნება: ჩინელი</p>
<p>განათლება</p> <p>ტიანშანის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი</p>	<p>განათლება</p> <p>ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მიიღო აშშ-ის ფუქუას ბიზნესსკოლაში, მაგისტრის ხარისხი ინჟინერიაში ვირჯინიის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიიღო, ბაკალავრის ხარისხი - ჩინეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში.</p>
<p>კარიერა</p> <p>ჭან ძუნს აქვს მუშაობის 30 წელზე მეტი წლის გამოცდილება, რა დროსაც მას ადმინისტრირებადი თანამდებობები ეკავა ჩინურ ბანკებში, მათ შორის იყო 7 წლიანი ადმინისტრირებადი ზედამხედველობის როლი ჩინეთის სახალხო ბანკში; 5 წელი იმუშავა ურუმჩის Chengxin საკრედიტო კავშირის დირექტორის მოადგილედ, ასევე ჰქონდა 12 წლიანი კარიერა Urumqi City კომერციულ ბანკში, იყო გაყიდვების დეპარტამენტის გენერალური მენეჯერი, HR დირექტორი და გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობა. ეკავა დირექტორის მოადგილის თანამდებობა ჰუალინგ ჯგუფის ფინანსურ და უცხოურ ინვესტიციებში. 2012 წელს გახდა ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ადმინისტრირებადი თავმჯდომარე, ხოლო 2015 წელს საბჭოს თავმჯდომარე.</p>	<p>კარიერა</p> <p>ჭოუ ნინგმა კარიერა დაიწყო უფროსი ფინანსური ანალიტიკოსის თანამდებობით Ford Motor კომპანიაში. ის გადავიდა J.P. Morgan Hong Kong-ში, საინვესტიციო საბანკო განყოფილების თანამშრომლად. 2004 წელს იგი გახდა ABN AMRO Bank-ის ვიცე პრეზიდენტი, რომელიც ხელმძღვანელობდა სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტს.</p> <p>ჰუალინგ ჯგუფის მიერ ბაზისბანკის შესყიდვისას მიწვეული იყო მრჩეველად, ხოლო 2015 წელს დაინიშნა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.</p>

ზაზა რობაქიძე
სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი



კომიტეტის წევრობა: აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე, რისკების კომიტეტის წევრი
დანიშნა: 2018
ეროვნება: ქართველი

განათლება

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიენიჭა მაგისტრის ხარისხი ეკონომიკაში.

კარიერა

საბანკო საქმის ექსპერტმა ზაზა რობაქიძემ, რომელსაც სექტორში 25 წელზე მეტი გამოცდილება აქვს, 2018 წელს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობა დაიკავა. 2012 წლიდან მუშაობდა ბაზისბანკის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარედ.

მრავალი წლის განმავლობაში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სფეროში, ეკონომისტიდან ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსამდე.

ნინო ოხანაშვილი
სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი



კომიტეტის წევრობა: აუდიტის კომიტეტის წევრი,
დანიშნა: 2023
ეროვნება: ქართველი

განათლება

მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში მენეჯმენტის ევროპულ სკოლაში (ESM Tbilisi) მიიღო; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მაგისტრის ხარისხი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიენიჭა.

კარიერა

1999-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს ბანკში. 2000-2008 წლებში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა თიბისი ბანკში, მათ შორის ფილიალის დირექტორისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსის თანამდებობები. 2021-2022 წლებში ნინო ოხანაშვილი თეგეტა ჰოლდინგში ადამიანური რესურსების მთავარი ოფიცერი და თეგეტას აკადემიის დირექტორი იყო. სხვადასხვა წლებში იგი იყო ISB საერთაშორისო ბიზნესის სკოლის დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი და Insource Recruitment and Advisory-ის დამფუძნებელი პარტნიორი. 2008 წლიდან დამოუკიდებელი კონსულტანტი ნინო ოხანაშვილი აწარმოებდა ორგანიზაციული განვითარებისა და HRM საკონსულტაციო პროექტებს და კვლევით სამუშაოს.

საბინა ძიურმანი

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

მია მი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი



კომიტეტის წევრობა: რისკების კომიტეტის თავმჯდომარე

დაინიშნა: 2023
ეროვნება: ბრიტანელი-პოლონელი

კომიტეტის წევრობა: აუდიტის კომიტეტის წევრი
დაინიშნა: 2018
ეროვნება: ჩინელი

განათლება

მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში ლონდონის ბიზნეს სკოლაში მიიღო.

განათლება

ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში ლოს ანჯელესის სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში მიიღო.

კარიერა

2004-2015 წლებში ეკავა მაღალი თანამდებობები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში (EBRD) სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. 2015-2019 წლებში იყო EBRD-ის დირექტორი საბერძნეთსა და კვიპროსზე. 2020-2022 წლებში საბინა ძიურმანი იყო უზბეკეთის Asakabank-ის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, ასევე აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე და რისკების კომიტეტის წევრი.

კარიერა

ჰუალინგ ჯგუფის საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკური ზონის საერთაშორისო განვითარების დირექტორი საქართველოში. იგი აქტიურად მონაწილეობდა ბაზისბანკის შესყიდვის პროცესში 2012 წელს. 2015-2017 წლებში იკავებდა სხვადასხვა პოზიციებს ბაზისბანკის ძირითად განყოფილებებში, ანალიზებდა საკრედიტო პორტფელს, კომუნიკაციაში იყო ჩინელ კორპორატიულ და საცალო კლიენტებთან, ასევე ბანკების აქციონერებთან.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები 2024 წელს

სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წელს დატვირთული და მრავალმხრივი დღის წესრიგი ჰქონდა, რაც მოიცავდა ბანკის მმართველობასთან, ოპერაციებთან, რისკების მართვასთან და სტრატეგიულ მიმართულებებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს.

2024 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭო 33-ჯერ შეიკრიბა გადაწყვეტილების მისაღებად და განიხილა 47 საკითხი, მათ შორის ორი შეხვედრა გაიმართა საქართველოში, ფიზიკურ (დასწრებულ) ფორმატში.

ასეთ საკითხებზე მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღებისას, თუ სამეთვალყურეო საბჭოს რომელიმე წევრს კავშირი ჰქონდა განხილულ საკითხთან და შესაძლებელი იყო წარმოშობილიყო ინტერესთა კონფლიქტი, კონკრეტული წევრები არ მონაწილეობდნენ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

საკითხი

სტრატეგია და ბიუჯეტი	<ul style="list-style-type: none"> • ბაზისბანკის 2024 წლის სტრატეგია და ბიუჯეტის დამტკიცება • ბაზისბანკის სტრეს-სცენარები და გაჯანსაღების გეგმა
ფინანსები	<ul style="list-style-type: none"> • ბაზისბანკის 2023 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშები • ბაზისბანკის 6 თვის შედეგები
კაპიტალი და დაფინანსება	<ul style="list-style-type: none"> • დაფინანსების ხაზების დამტკიცება • სასესხო და ვაჭრობის დაფინანსების შეთანხმებები
კორპორაციული მართვა	<ul style="list-style-type: none"> • საბჭოს და საბჭოს დონის კომიტეტების მუშაობის განხილვა • აუდიტის და რისკების კომიტეტების ყოველწლიური ანგარიშების განხილვა • აუდიტის და რისკების კომიტეტების ნახევარწლიური ანგარიშების განხილვა • შიდა აუდიტის ბიუჯეტის და სამუშაო გეგმის დამტკიცება • სამეთვალყურეო საბჭოს და საბჭოს დონის კომიტეტების ერთობლივი შესაფერისობის განხილვა • რისკების მართვის ჩარჩოს განხილვა და დამტკიცება • პროფესიული ეთიკის და ქცევის სტანდარტების კოდექსის განახლება და დამტკიცება • ინტერესთა კონფლიქტის მართვის წესის განახლება და დამტკიცება
პოლიტიკის განხილვა	<ul style="list-style-type: none"> • AFC პოლიტიკის ცვლილებების დამტკიცება • ICAAP დამტკიცება • ILAAP დამტკიცება • საკრედიტო პოლიტიკის განახლება და დამტკიცება

საკითხი

	<ul style="list-style-type: none"> • რეგულაციური შესაბამისობის პოლიტიკის განახლება და დამტკიცება • აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის განახლება და დამტკიცება
პოზიციების დამტკიცება	<ul style="list-style-type: none"> • დირექტორთა ავტორიზაციის ვადის გაგრძელება
ანაზღაურება	<ul style="list-style-type: none"> • დირექტორატის ანაზღაურება • საბონუსე სქემის ცვლილებები
ბიზნეს ოპერაციები	<ul style="list-style-type: none"> • ახალი სათავო ოფისის პროექტის მიმდინარეობა

სამეთვალყურეო საბჭოს დონის კომიტეტები

სამეთვალყურეო საბჭომ შექმნა სამეთვალყურეო საბჭოს დონის ორი კომიტეტი: აუდიტის კომიტეტი და რისკების კომიტეტი. საბჭო პასუხისმგებლობის გარკვეულ არეალს დელეგირებით გადასცემს ამ ორ კომიტეტს. კომიტეტები რეგულარულად წარუდგენენ ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს, რათა მიღებულ იქნას ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

კომიტეტებს შეუზღუდავი წვდომა აქვთ ბანკის მენეჯმენტის, შიდა ინფორმაციასა და დოკუმენტებზე, რომლებიც კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში არსებულ ნებისმიერ საკითხს უკავშირდება.

კომიტეტებს აქვთ უფლება და შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მოიწვიონ კონსულტანტები (საჭიროებისამებრ), რათა მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია და საკონსულტაციო მომსახურება იურიდიულ, ტექნიკურ, ფინანსურ, რისკის მართვის და სხვა თემებზე.

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე შექმნილი დამოუკიდებელი კონტროლის ფუნქციაა, რომელიც მხარს უჭერს სამეთვალყურეო საბჭოს ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის განხორციელების მონიტორინგში. აუდიტის კომიტეტი იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მიერ, სადაც სამი წევრიდან ორი დამოუკიდებელია. ის პირდაპირ ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს.

კომიტეტის თავმჯდომარე სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია. აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია:

- შიდა და გარე აუდიტორებთან ურთიერთობაზე, შიდა და გარე აუდიტის მასშტაბისა და მოცულობის განსაზღვრაზე;
- ბანკის შიდა და გარე აუდიტორთა რეკომენდაციების შესრულების ზედამხედველობაზე;
- წლიური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური/არაფინანსური ანგარიშგების განხილვაზე;
- ბანკის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ხარისხის ზედამხედველობასა და მონიტორინგზე;
- რისკების მართვის ჩარჩოს დაცვისა და შიდა კონტროლისა და პროცესების ეფექტურობის უზრუნველყოფაზე;

წლის განმავლობაში აუდიტის კომიტეტის სხდომა ორჯერ ჩატარდა.

2024 წლის ბოლოს მდგომარეობით კომიტეტის წევრები იყვნენ:

- ზაზა რობაქიძე - აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე / საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
- ჭოუ ნინგ - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- ნინო ოხანაშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი.

რისკების მართვის კომიტეტი

რისკების მართვის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე შექმნილი დამოუკიდებელი კონტროლის ფუნქციაა, რომელიც მხარს უჭერს სამეთვალყურეო საბჭოს რისკების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგში. კომიტეტი იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ, სადაც სამიდან ორი დამოუკიდებელია.

კომიტეტი უშუალოდ ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს. კომიტეტის თავმჯდომარე სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია.

კომიტეტი პასუხისმგებელია:

- ბანკის რისკების მართვის ჩარჩოსა და ფუნქციების ზედამხედველობაზე;
- ბანკის რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკის ზედამხედველობასა და მათ ეფექტურ განხორციელებაზე;
- ბანკის რისკის პროფილის, ლიმიტების და მთლიანი რისკის კულტურის შეფასებასა და ზედამხედველობაზე;
- მარეგულირებელთან და სხვა შიდა და გარე რეგულაციებთან შესაბამისობის ზედამხედველობაზე;
- შვილობილი კომპანიის რისკის მართვის ფუნქციის, რისკების მართვის ჩარჩოსა და შიდა კონტროლის სისტემების გამართული ფუნქციონირების ზედამხედველობაზე.

წლის განმავლობაში რისკების მართვის კომიტეტის სხდომა ორჯერ ჩატარდა.

რისკების მართვის კომიტეტის წევრები 2024 წლის ბოლოსთვის იყვნენ:

- საბინა ძიურმანი - რისკების კომიტეტის თავმჯდომარე/საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
- მია მი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- ზაზა რობაქიძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

სამეთვალყურეო საბჭოს და საბჭოს დონის კომიტეტების ყოველწლიური შეფასება

საბჭო ვალდებულია სულ მცირე წელიწადში ერთხელ განახორციელოს თავისი და საბჭოს დონის კომიტეტების მუშაობის თვითშეფასება. იგი აფასებს სამეთვალყურეო საბჭოს მთლიანობაში, მის კომიტეტებსა და წევრებს. გარდა ამისა, გარე აუდიტორმა სამ წელიწადში ერთხელ უნდა შეაფასოს საბჭოს მუშაობის ეფექტურობა. ბოლო გარე შეფასება 2022 წლისთვის ჩატარდა 2023 წელს. ბოლო თვითშეფასება ჩატარდა 2025 წელს.

წლიური თვითშეფასების ფარგლებში სამეთვალყურეო საბჭომ განიხილა საბჭოს სტრუქტურა, ზომა და შემადგენლობა, ასევე საბჭოს დონის კომიტეტების სტრუქტურა და კოორდინაცია. შეფასების სხვა კრიტერიუმები, მათ შორის, იყო: ფუნქციები და პასუხისმგებლობები, პროფესიული ეთიკა, სხდომების დაგეგმვა, დღის წესრიგი, მასალების წარდგენა და რეპორტირება, მონაწილეობა სტრატეგიის განსაზღვრასა და დაგეგმვაში, ანგარიშგება და კომუნიკაცია (საბჭოს დონის კომიტეტები).

შეფასების შედეგად, როგორც საბჭოს, ისე მისი კომიტეტების მუშაობა მოქმედი კანონმდებლობის, ასევე ბანკის შიდა სტანდარტების შესაბამისად და ეფექტურად შეფასდა. საბჭო და კომიტეტები განიხილავენ ყველა

მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც მიეკუთვნება მათ პასუხისმგებლობას და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებებს. საბჭო და კომიტეტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ბანკის

მუშაობისა და პროცესების შესაბამისობას საბანკო საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სამართლებრივ აქტებთან და საქართველოს ეროვნული ბანკის მითითებებთან. საბჭოსა და კომიტეტების წევრების დაკომპლექტება და კვალიფიკაცია მოქმედი კანონმდებლობისა და გამოწვევების შესაბამისად ხდება.

საბჭოს და კომიტეტების წევრებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ნებისმიერი ინფორმაცია და რესურსი, რომელიც საჭიროა გადაწყვეტილების მისაღებად, საკითხის სირთულიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი კონსულტანტების მომსახურებების ჩათვლით. ამ მიზნით ბანკის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი რესურსები. არსებული საკანონმდებლო ბაზისა და გამოწვევების გათვალისწინებით, ბანკმა 2024 წელს მოაწყო ESG-ის ცნობიერების ამაღლების ტრენინგი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის, რომელსაც ატარებდა გარე საკონსულტაციო კომპანია. ტრენინგის ფარგლებში საბჭოს წევრები გაეცნენ ESG რისკებს და მათ ინტეგრაციას ბანკის რისკების მართვის ჩარჩოში, მათმიიღეს ამომწურავი ინფორმაცია საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნებისა და ბანკის მდგრადობის სტრატეგიის შესახებ.

ESG რისკები სრულადაა ინტეგრირებული ბანკის რისკების მართვის ჩარჩოში და სამეთვალყურეო საბჭო მათ აფასებს სხვა არაფინანსურ რისკებთან ერთად. ბანკის მიერ 2025 წლის საანგარიშო პერიოდის სამეთვალყურეო საბჭოსათვის წარდგენილ ანგარიშში ინფორმაცია ESG რისკების შესახებ უფრო დეტალური უნდა იყოს და მოიცავდეს ბანკის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ და მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ESG გაიდლაინებთან.

3.5. დირექტორატი

დირექტორატი ეკისრება ყოველსადაც შესაძლებელია პასუხისმგებლობა ბაზისბანკის მართვაზე, მიმართულების მიცემაზე და ბანკის სტრატეგიული კურსის განსაზღვრაზე. ამასთან ერთად, დირექტორატი პასუხისმგებელია საბოლოო ბიზნეს მიზნების განხორციელებაზე ბანკის სტრატეგიის შესაბამისად, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის ეფექტური ჩარჩოს ფარგლებში ნავიგაციაზე და კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დაცვაზე.

დირექტორატი კოლექტიურად პასუხს აგებს ბანკის გრძელვადიან წარმატებასა და აქციონერებისთვის ღირებულების მიწოდებაზე. დირექტორატის წევრებს აქვთ გამოცდილების, უნარებისა და ცოდნის შესაბამისი ბალანსი, ასევე მიუკერძოებლობა თავიანთი მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესასრულებლად.

დირექტორატი შედგება შვიდი დირექტორისგან, გენერალური დირექტორისგან და ექვსი მოადგილისგან, რომელთაგან თითოეული მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს: საცალო ბიზნესი, დაკრედიტება, ფინანსები, რისკების მართვა, ოპერაციები და კომერციული ბიზნესი.

ძირითადი მოვალეობები:

- პასუხისმგებლობა ბანკისა და მისი ოპერაციების ყოველდღიურ მართვასა და ზედამხედველობაზე;
- ბანკის სტრატეგიის, გრძელვადიანი მიზნებისა და ბიუჯეტის დამტკიცება და შესრულება; შესრულების მონიტორინგი;
- ბანკში ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის, რისკების კონტროლის, რისკის კულტურის ხელშეწყობის ეფექტური სისტემების შექმნა.

დირექტორატის **დონის კომიტეტები**: პასუხისმგებლობის კონკრეტულ სფეროებს საბჭო გადასცემს თავის ხუთ კომიტეტს, ესენია: საკრედიტო კომიტეტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების და უსაფრთხო მმართველობის კომიტეტი, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO), მდგრადობის კომიტეტი და შესაბამისობის კომიტეტი.

დირექტორების დანიშვნა და ხელახალი დანიშვნა: გენერალურ დირექტორს და გენერალური დირექტორის მოადგილეებს ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო.


დირექტორატის წევრები ინიშნებიან 4 წლით. 4 წლის შემდეგ მათ უფლებამოსილება უხანგრძლივდებათ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ახალი წევრის დანიშვნამდე. თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება დაინიშნოს ხელახლა შეუზღუდავად.

მოვალეობების გამიჯვნა: დირექტორატი აქტიურადაა ჩართული ბანკის სტრატეგიისა და ყოველდღიური მართვის შემუშავებასა და განხორციელებაში. ზედამხედველობის მაღალი დონის ფუნქციები თითოეული დირექტორისთვის შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

<p>ლია ასლანიკაშვილი, გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი</p> <ul style="list-style-type: none"> • აღრიცხვა და ფინანსური რეპორტირება • სტრატეგიული დაგეგმვა და ბიუჯეტირება • კაპიტალისა და აქტივ-პასივების მართვა • გლობალური ტრანზაქციები და ნაღდი ფულის მართვა 	<p>დავით ცაგავა, გენერალური დირექტორი</p> <ul style="list-style-type: none"> • დირექტორატის მართვა • სტრატეგიული განვითარება და მენეჯმენტი • მარკეტინგი და სტრატეგიული კომუნიკაციები • ბიზნეს ანალიტიკა და ტრანსფორმაცია • ადამიანური რესურსების მართვა და ადმინისტრირება 	<p>რატი დვალაძე, გენერალური დირექტორის მოადგილე, საოპერაციო დირექტორი</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექნოლოგიების ლიდერი, IT და პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება • ოპერაციების მენეჯმენტი და ცენტრალიზებული ბექ-ოფისი • პროდუქტების მართვა და ბიზნეს ანალიტიკა • პროდუქტისა და სერვისის მხარდაჭერა • ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა და ლოჯისტიკა
<p>გივი გაბუნია, გენერალური დირექტორის მოადგილე, კომერციული დირექტორი</p> <ul style="list-style-type: none"> • კორპორატიული დაფინანსება და სტრატეგიული ბიზნესის განვითარება • მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართულება • კერძო საბანკო მიმართულება • ვაჭრობის ფინანსირება და ფაქტორინგი • საკრედიტო ანალიტიკა 	<p>ჰუი ლი, გენერალური დირექტორის მოადგილე, დაკრედიტების დირექტორი</p> <ul style="list-style-type: none"> • საკრედიტო კომიტეტის წევრი 	<p>ლევან გარდავამაძე, გენერალური დირექტორის მოადგილე, საგალო ბიზნესის დირექტორი</p> <ul style="list-style-type: none"> • საგალო ბიზნესის მიმართულება • პრემიუმ ბანკინგის მიმართულება • ფილიალებისა და სერვისების ქსელის განვითარება • ციფრული სერვისები და ტრანსფორმაცია • პროდუქტებისა და სერვისების განვითარება • გაყიდვების ქსელის განვითარება

დირექტორატის მრავალფეროვნება: დირექტორატი განსხვავდება ასაკის, სქესის, ეროვნების, წარმომავლობისა და გამოცდილების მიხედვით. ბანკი მიიჩნევს, რომ ამ მრავალფეროვნებას ბანკის სტრატეგიულ მიმართულებებსა და ყოველდღიურ მენეჯმენტში დაბალანსებული ექსპერტიზა და პერსპექტივები მოაქვს.

დირექტორატში ქალთა წარმომადგენლობა შეადგენს 29%-ს (შვიდი წევრიდან ორი ქალია).



ცვლილებები დირექტორატის შემადგენლობაში: 2024 წელს დირექტორატის შემადგენლობაში არ მომხდარა ცვლილებები.

დირექტორატის წევრები

დავით ცაავა

გენერალური დირექტორი



განათლება

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ხარისხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიენიჭა, ფინანსების მაგისტრის ხარისხი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბაკალავრის ხარისხი საბანკო საქმესა და ფინანსებში - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კარიერა

ბაზისბანკის გენერალური დირექტორი 2011 წლიდან. 2015-2018 წლებში: ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2017 წლის დეკემბრიდან დავით ცაავა ბაზისბანკის ჯგუფის შვილობილი კომპანიების ბბ ლიზინგისა და ბბ დაზღვევის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.

დავით ცაავას საბანკო საქმეში 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. კარიერა ბაზისბანკში 2004 წელს დაიწყო საკრედიტო ოფიცრის პოზიციაზე. მოგვიანებით, 2008 წლამდე ხელმძღვანელობდა კორპორატიული სესხების განყოფილებას. 2008-2010 წლებში დავით ცაავა დაინიშნა კორპორატიულ დირექტორად. 2010-2011 წლებში იყო გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

ლია ასლანიკაშვილი

**გენერალური დირექტორის
მოადგილე, ფინანსური
დირექტორი**



განათლება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

კარიერა

ბაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები 2012 წლიდან. 2017-2018 წლებში: ბაზისბანკის ჯგუფის შვილობილი კომპანიის ბბ ლიზინგის გენერალური დირექტორი. 2017-დღემდე: ბაზისბანკის ჯგუფის წევრი კომპანიების ბბ ლიზინგისა და ბბ დაზღვევის ფინანსების გენერალური დირექტორის მოადგილე.

ლია ასლანიკაშვილს აქვს 20 წელზე მეტი გამოცდილება საბანკო საქმეში. 1999-2002 წლებში მუშაობდა ბაზისბანკის საერთაშორისო ოპერაციების დეპარტამენტის მენეჯერად. 2002-2005 წლებში ხელმძღვანელობდა ამავე დეპარტამენტს. 2005-2008 წლებში ხელმძღვანელობდა განსახლების დეპარტამენტს. 2007-2008 წლებში ლია ასლანიკაშვილი ხაზინის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. 2008-2012 წლებში იყო ბაზისბანკის ფინანსური დირექტორი.

დავით კაკაბაძე
გენერალური დირექტორის
მოადგილე, რისკების დირექტორი



განათლება:

კავკასიის ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხი ფინანსებში.

ბაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკების მართვა 2019 წლიდან. 2017-2019 წლებში: ბაზისბანკის ჯგუფის შვილობილი კომპანიის ბბ დაზღვევის გენერალური დირექტორი. 2017-2018: ბაზისბანკის ჯგუფის წევრი კომპანია ბბ ლიზინგის გენერალური დირექტორის მოადგილე.

კარიერა:

დავით კაკაბაძეს საბანკო საქმეში 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. ბაზისბანკში 2003 წლიდანაა, თავდაპირველად მუშაობდა IT დეველოპერად/პროგრამისტად. 2005 წელს დაინიშნა IT პროგრამირების სამმართველოს უფროსად. 2008-2012 წლებში დავით კაკაბაძე გახდა IT და რისკების მართვის დირექტორი. 2012-2019 წლებში მუშაობდა ბაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილედ, რისკებისა და IT მენეჯმენტში.

ლევან გარდაფხაძე
გენერალური დირექტორის
მოადგილე, საცალო ბიზნესის
დირექტორი



განათლება

მაგისტრის ხარისხი ბიზნესის მენეჯმენტში საქართველოს უნივერსიტეტში მიენიჭა; თბილისის ეკონომიკის, სამართლისა და ინფორმაციის უნივერსიტეტში - სამარლის მაგისტრის ხარისხი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი საერთაშორისო ეკონომიკაში.

კარიერა

ბაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე, საცალო ბიზნესი 2012 წლიდან. 2017-2018 წლებში: ბაზისბანკის ჯგუფის წევრი კომპანიების ბბ ლიზინგისა და ბბ დაზღვევის გენერალური დირექტორის მოადგილე.

ლევან გარდაფხაძეს საბანკო საქმეში 20 წლიანი გამოცდილება აქვს. ბაზისბანკში კარიერა საერთაშორისო ოპერაციების დეპარტამენტის მენეჯერად მუშაობით დაიწყო. 2005 წელს დაინიშნა პლასტიკური ბარათების დეპარტამენტის უფროსად. 2007-2008 წლებში ხელმძღვანელობდა განვითარებისა და პროექტების მართვის კომიტეტს. 2008-2012 წლებში ლევან გარდაფხაძე საცალო საბანკო საქმიანობის დირექტორი იყო.

გიორგი გაბუნია

**გენერალური
მოდგილე,
დირექტორი**

**დირექტორის
კომერციული**



განათლება

მაგისტრის ხარისხი საბანკო საქმეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიანიჭა; აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი ფინანსებსა და საბანკო საქმეში.

კარიერა

ბაზისბანკის კომერციულ დირექტორია 2019 წლიდან; სექტორის 18 წლიანი გამოცდილება აქვს. 2012-2019 წლებში გიორგი გაბუნია ბანკის კომერციულ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. 2010-2012 წლებში ხელმძღვანელობდა კორპორატიულ დეპარტამენტს. 2008-2010 წლებში ხელმძღვანელობდა კორპორატიულ რეგიონულ ჯგუფს, 2006-2008 წლებში გიორგი გაბუნია იყო კორპორატიული ბანკირი. წინა წლებში მუშაობდა ბაზისბანკის მარკეტინგისა და გაყიდვების სფეროებში.

რატი დვალაძე

**გენერალური
მოადგილე,
დირექტორი** **დირექტორის
ოპერაციული**



დაინიშნა: 2019

განათლება

თავისუფალი უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი ფიზიკა-მათემატიკაში; ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში.

კარიერა

ბაზისბანკის ოპერაციების დირექტორი 2019 წლიდან. 2014-2019 წლებში ხელმძღვანელობდა ბაზისბანკის პროექტების მართვისა და ბიზნესის ანალიზის განყოფილებას. 2008-2014 წლებში მუშაობდა საკრედიტო რისკის სისტემის და ანალიზის მიმართულებით. რატი დვალაძე ასევე არის ლექტორი.

ლი ხვეი
გენერალური
მოადგილე,
დირექტორი

დირექტორის
დაკრედიტების



დაინიშნა: 2012

განათლება

ბუღალტრული აღრიცხვის ბაკალავრის ხარისხი ჩინეთის ფინანსურ უნივერსიტეტში მიიღო.

კარიერა

გენერალური დირექტორის მოადგილე დაკრედიტების მიმართლებით 2012 წლიდან. 2015-2018: ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2017 წლიდან ბბ ლიზინგის და ბბ დაზღვევის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ფინანსურ სექტორში 1993 წლიდან მუშაობს. 2005-2012 წლებში ქ. ურუმჩის კომერციული ბანკის საკრედიტო მართვის დეპარტამენტში კრედიტების დამტკიცების მიმართულებას ხელმძღვანელობდა. სხვადასხვა დროს ურუმჩის საკრედიტო კოოპერატივების საკრედიტო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე და დირექტორის მოადგილე იყო.

3.6. მმართველობის სხვა ასპექტები

ინტერესთა კონფლიქტი

ბაზისბანკის ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი და კონტროლის სხვა ფუნქციები მკაცრად აკონტროლებენ ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო წყაროებს. ბანკი აიდენტიფიცირებს და აღრიცხავს დაკავშირებულ მხარეებს და აწესებს კონტროლს მათთან ტრანზაქციებზე. სამეთვალყურეო საბჭო პერიოდულად გადახედავს მის მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს გამოწვევებთან შესაბამისობა. გარდა ამისა, ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ ბანკთან, რათა გაითვალისწინოს მარეგულირებლის მითითებები, კონტროლის მძლავრი სისტემის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების მიზნით.

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები ექვემდებარება სავალდებულო განხილვას და დამტკიცებას დირექტორატის ან/და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ბანკი მკაცრად იცავს გაშლილი მკლავის პრინციპს და დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციების ამ პრინციპებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს. სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრების საკმარისი რაოდენობა კონტროლს მეტად ეფექტურს ხდის და ხელს უწყობს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას.

შიდა კონტროლი და რისკების მართვის სისტემები ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას

ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ფინანსური დეპარტამენტი და განიხილავს გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი. შემდეგ მას განიხილავს და ამტკიცებს დირექტორატი, აუდიტის კომიტეტი და საბოლოოდ სამეთვალყურეო საბჭო. აუდიტის კომიტეტის ერთ-ერთი ფუნქციაა ფინანსური ანგარიშგების მთლიანობის გადახედვა, სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით განხილული მნიშვნელოვანი საკითხებისა და განსჯის განხილვა. კომიტეტი იღებს დეტალურ ანგარიშს გენერალური დირექტორის მოადგილისა (ფინანსური დირექტორი) და გარე აუდიტორისგან, მათ შორის, წლის განმავლობაში დირექტორატის შეფასებების, ანგარიშგების და აუდიტის პროცესის ძირითადი სფეროების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში, აუდიტის კომიტეტი სვამს კითხვებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებით დირექტორატის ქმედებების, შეფასებებისა და განსჯის შესახებ.

გარდა ამისა, ბანკმა შეიმუშავა შიდა ინსტრუქცია ფინანსური ანგარიშგების მომზადების შესახებ აუდიტის მიზნებისთვის. იგი განსაზღვრავს როლებს, პასუხისმგებლობებს და ვადებს მონაწილე მხარეებისთვის, ასევე ასახავს შიდა კონტროლს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის.

მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის პოლიტიკა

ბანკის მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის პოლიტიკა ვრცელდება ბანკის ყველა თანამშრომელსა და ფუნქციაზე, ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და შვილობილ კომპანიაზე - მიუხედავად ასაკისა, სქესისა, ეთნიკური კუთვნილების, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების ან სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობისა.

ეს პოლიტიკა ასევე ვრცელდება სამეთვალყურეო საბჭოს, კომიტეტების, დირექტორატის და თანამშრომლების ყველა დონეზე. მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის პოლიტიკა გულისხმობს ვალდებულებას - უზრუნველყოს ინკლუზიური და მრავალფეროვანი ორგანიზაციული კულტურა ბანკში.

ჩვენი მუდმივი მიზანია ვიყოთ ისეთი ბანკი, რომელიც ხელს უწყობს და ინარჩუნებს მრავალფეროვნებასა და ინკლუზიურობას - ჩვენი თანამშრომლების, მომხმარებლების, დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოებისათვის.

მხილების (Whistleblowing) სისტემა

ბანკი უზრუნველყოფს მხილების ეფექტური სისტემის ფუნქციონირებას. მხილების პოლიტიკა საშუალებას აძლევს ნებისმიერ პირს, მათ შორის თანამშრომლებს, სტაჟორებს, კლიენტებს, მომწოდებლებს,

ვენდორებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, კონფიდენციალურად დააფიქსირონ მოსაზრება არაეთიკური ბიზნეს პრაქტიკის შესახებ, როგორცაა: თაღლითობა, ინტერესთა კონფლიქტი, კორუფცია, ფულის გათეთრება, შევიწროება, შანტაჟი, გარემოსდაცვითი ან სოციალური საკითხები და სხვა. კომპანიას აქვს თანამედროვე, დამოუკიდებელი მხილების არხი, ანონიმურობის შესაძლებლობით. ბანკი აგრძელებს თანამშრომლებთან მხილების პროცესისა და პროცედურების მნიშვნელობის ადვოკატირებას. აუდიტის კომიტეტი აგრძელებს სისტემის გამოყენების მონიტორინგს.


ქვევისა და ეთიკის კოდექსის ნებისმიერი პოტენციური დარღვევა, რომელიც დაფიქსირდება მხილების არხის მეშვეობით, გადაეგზავნება აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით შექმნილ სპეციალურ კომისიას. კომისიის შემადგენლობაში შედიან ადამიანური რესურსებისა და შესაბამისობის განყოფილებების ხელმძღვანელები. კომისია განიხილავს პოტენციურ ინციდენტს და გამოძიების შედეგების საფუძველზე იღებს მიუკერძოებელ და ობიექტურ გადაწყვეტილებას.

მდგრადობის სტრატეგია

გასულ წელს ბაზისბანკმა შეიმუშავა და დაამტკიცა მდგრადობის სტრატეგია, რისი მიზანიც გარემოსდაცვითი და სოციალური პრაქტიკის გაუმჯობესება და აღნიშნულ მიმართულებებში მიღწეული პროგრესის გაკონტროლებაა. ამ სტრატეგიის შემუშავება რთული და მრავალდონიანი პროცესი იყო, რომელმაც მომავალი წლებისთვის ბაზისბანკის მდგრადობისა და მწვანე ფინანსების მიზნები და პრიორიტეტები განსაზღვრა.

მდგრადი განვითარების სტრატეგია შემუშავდა კომპანიის მასშტაბით - ბანკის მენეჯმენტის აქტიური მონაწილეობითა და ჩართულობით, ასევე შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. დაინტერესებულ მხარეთა შორის გამოიკვეთა შემდეგი ჯგუფები, რომელთა მოსაზრებებიც შესაბამისად შეგროვდა: კორპორატიული კლიენტები, მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) მომხმარებლები, თანამშრომლები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (IFIs).


სტრატეგიის შექმნისა და განვითარების პროცესი მოიცავდა შემდეგ აქტივობებს:



მდგრადობის სტრატეგია შემდეგი ურთიერთდაკავშირებული მნიშვნელოვანი კომპონენტებისგან შედგება:

მატერიალურობის მატრიცა

- განსაზღვრავს და პრიორიტეტებს ანიჭებს მდგრადობის თემებს რომლებიც არსებითია ბაზისბანკისთვის




მატერიალურობის შეფასების შედეგად და შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინებით, შეფასების პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე პრიორიტეტული თემა.

მატერიალური თემების გამოვლენამ ხელი შეგვიწყო უფრო ყოვლისმომცველი მდგრადი პრაქტიკების დანერგვის გზის განსაზღვრაში. ბანკის მენეჯმენტისა და დაინტერესებული მხარეებისთვის მნიშვნელოვანი თემებზე ფოკუსირებამ შესაძლებლობა მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა მიზნები, განგვესაზღვრა სამოქმედო გეგმები და ის მიმართულებები, რომლებზეც ბაზისბანკი იმუშავებს.

მდგრადობის სტრატეგია და მისი მოქმედების გეგმა დირექტორატმა დაამტკიცა. შედეგად, ბაზისბანკმა ვალდებულება აიღო, დასახული მიზნები რამდენიმე კატეგორიაში შეესრულებინა, მათ შორის კლიმატის დაცვის, ESG საკითხებისა და მდგრადი ბიზნესის მიმართულებით. თითოეული მიზნისთვის განისაზღვრა შესაბამისი ვადები და ძირითადი მაჩვენებლები (KPI), ასევე, პროგრესის შემდგომი მონიტორინგისა და შეფასებისთვის შემუშავდა სამოქმედო გეგმები.

მატერიალურობის საერთო შეფასების საფუძველზე, ზემოქმედებისა და გეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) შესაბამისობის გათვალისწინებით, პრიორიტეტული თემები დაიყო ჯგუფებად:



ბანკი მიიჩნევს, რომ სტრატეგია ხელს უწყობს შემდეგი განვითარების მიზნებს:

მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs)



- 3. კეთილდღეობა, ჯანმრთელობა
- 5. გენდერული თანასწორობა
- 8. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
- 9. ინდუსტრია, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
- 10. შემცირებული უთანასწორობა
- 11. მდგრადი ქალაქები და ინფრასტრუქტურა
- 12. პასუხისმგებელი მოხმარება და წარმოება
- 13. კლიმატის გაუმჯობესებისკენ მიმართული ინიციატივები
- 16. მშვიდობა, თანასწორობა და ძლიერი ინსტიტუტები
- 17. პარტნიორობა მიზნების მისაღწევად

ESG სტრატეგიის ფარგლებში, ბანკმა უკვე დაიწყო მუშაობა განსაზღვრულ მიზნებზე ან მნიშვნელოვანი ეტაპები გაიარა ამ მიმართულებით. კონკრეტულად, 2024 წლის ბოლოსთვის, ბაზისბანკმა შეძლო მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება შემდეგი მიმართულებებით:

სტრატეგიული საკითხები	სტრატეგიის მიზნები	SDG განლაგება
მდგრადი და მწვანე ფინანსური პროდუქტების და მომსახურების შეთავაზება	მწვანე დაკრედიტების ხარჩოს და გაიდლაინების შემუშავება მწვანე/მდგრადი ობლიგაციების გამოშვება ADB-თან თანამშრომლობით მწვანე დაკრედიტების პროდუქტების დასაფინანსებლად	SDGs 8 & 13 SDGs 8 & 13
საკუთარი ნახშირბადის ემისიების შემცირება	სათბურის გაზების ემისიების გაზომვა და გამჟღავნება	SDG 13

	ყოველწლიურად	თანამშრომლების	SDGs 3 & 8
	კმაყოფილების	გამოკითხვების	ჩატარება
თანამშრომელთა	ბანკის	მიზიდვლობის	გაზრდა
ხელშეწყობა	ახალგაზრა	კურსდამთავრებულებისათვის, საარჩევნო	SDGs 3 & 8
	აქტივობების	ორგანიზებითა	და
	უნივერსიტეტებში	ლონისძიებების	სპონსორობით.
მონაცემთა	დაცვა	და მონაცემთა დაცვის	ოფიცრის პოზიციის
კონფიდენციალურობა		შექმნა	SDG 12
გამჭვირვალობა	და	მხარდამჭერის ქულების (Net Promoter	SDG 12
სამართლიანობა	მომხმარებელთა	Score) მონიტორინგი	და მუდმივი
მიმართ		გაუმჯობესებისკენ სწრაფვა.	
კორპორატიული	კულტურა	და	ბაზისბანკის
პროფესიული	ეთიკა		ეთიკის
			კოდექსის
			განხორციელება
			SDG 16
ყველას	თანაბარი	და	ანტიდისკრიმინაციული
შესაძლებლობები	მოპყრობა		პოლიტიკის
			გატარება
			SDGs 5 & 10
			ქალთა წილის
			ზრდა
			უმაღლეს
			მენეჯმენტში
			SDGs 5 & 10
მდგრადი და	გამჭვირვალე	ბიზნესი	მდგრადობის ანგარიშის
			გამოქვეყნება
			SDGs 8 & 12

მატერიალურობის შეფასება და სტრატეგიის მთლიანად შემუშავება ტექნიკური დახმარების პროექტის ნაწილი იყო, რომელიც Green for Growth Fund-ის მიერ, ევროკავშირის EU4Energy ინიციატივის მხარდაჭერით განხორციელდა.

პოლიტიკა და პროცედურები

კორპორაციული მართვის მაღალ სტანდარტებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ასევე შიდა პროცედურებისა და კონტროლის ჩარჩოს უზრუნველსაყოფად, ბანკმა შეიმუშავებული აქვს რიგი პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები.

პოლიტიკა და პროცედურები განახლების მიზნით დირექტორატისა და კომიტეტების მიერ ყოველწლიურად განიხილება. ამ პოლიტიკებთან ჩვენი შესაბამისობა უწყვეტი გაუმჯობესების პროცესია.

2024 წლის განახლებები პოლიტიკასა და პროცედურებში

წელს ბანკის მასშტაბით შევქმენით და განვაახლეთ რამდენიმე პოლიტიკა და პროცედურა, რაც უზრუნველყოფს კორპორაციული მმართველობის მხარდაჭერას და ბანკის ოპერაციების მართვას რისკების შესაბამისი ჩარჩოს ფარგლებში.

ბანკმა მიიღო და განაახლა შემდეგი პოლიტიკა და პროცედურები: განახლებული რისკების მართვის ჩარჩო, განახლებული გენერალური რისკების მართვისა და კაპიტალის შიდა შეფასების პროცესი (ICAAP) და ლიკვიდობის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესი (ILAAP), განახლებული პროფესიული ეთიკის კოდექსი და ქცევის სტანდარტები, შინაგანაწესი და რეგულაციური შესაბამისობის პოლიტიკა, აგრეთვე ინტერესთა კონფლიქტის მართვის განახლებული რეგულაცია, სხვადასხვა შიდა რეგულაციები არაფინანსური და ფინანსური რისკების მართვის შესახებ და ა.შ.

2024 წელს ბანკმა შეიმუშავა კორპორაციული მმართველობის რამდენიმე დოკუმენტი, მათ შორის: სამეთვალყურეო საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს დონის კომიტეტების კოლექტიური შესაფერისობა, სამეთვალყურეო საბჭოსა და საბჭოს დონის კომიტეტების წევრების ეფექტურობის თვითშეფასება და სხვა.

4. რისკების მართვა და სტრატეგია


4.1. რისკების მართვის ჩარჩო

რისკების მართვა საკვანძოა ბანკისა და ჯგუფის სტაბილური და ძლიერი განვითარების უზრუნველსაყოფად, მისი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, და რისკის, კაპიტალისა და საქმიანობის მიზნების კლიენტების, აქციონერების, თანამშრომლებისა და დაინტერესებული მხარეების ინტერესებზე მოსარგებად. მატერიალური რისკები და გაურკვევლობა დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფოკუსის სფეროებია, რომელიც ბანკის რისკების მართვისა და კონტროლის სისტემის საბოლოო პასუხისმგებელ ერთეულს წარმოადგენს.

ბაზისბანკმა შეიმუშავა რისკების მართვის ჩარჩო, რომლის მიზანია შექმნას ბაზისბანკის, როგორც სტაბილური და საიმედო ბანკის იმიჯი. ჩარჩო სრულად შეესაბამება ბანკის ზომას, სირთულეს და რისკის პროფილს. ჩარჩო მოიცავს რისკის სტრატეგიის განსაზღვრას, ასევე შესაბამისი რისკის ტიპების იდენტიფიკაციას, გაზომვას და კონტროლს, სტრუქტურულ ტესტირებას და კაპიტალის დაგეგმვას. რისკების მართვის ჩარჩოს მხარს უჭერს რისკის მართვის სპეციალური სტრუქტურა მკაფიოდ დელეგირებული უფლებამოსილებების დონეებით, რაც უზრუნველყოფს ბანკის ყოველდღიური ოპერაციების ფარგლებში ყველა მატერიალური რისკის ეფექტურ კონტროლს და სწორ მართვას.

რისკების მართვის ჩარჩო ბანკის სტრატეგიაში, ბიზნესის დაგეგმვასა და ყოველდღიურ საქმიანობაშია ინტეგრირებული.

რისკები იმართება დაცვის სამ ხაზს შორის როლების განაწილებით, კომიტეტების ძლიერი სტრუქტურით და პასუხისმგებლობის უმაღლესი მენეჯმენტის დონიდან თითოეულ სტრუქტურულ რისკების გაზიარებით. პასუხისმგებლობის ამ სამ ხაზს შორის განაწილება ქმნის კარგად სტრუქტურირებული და ყოვლისმომცველი რისკების მართვის სისტემას, რომელიც ამცირებს რისკებს და საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ბანკის სტაბილურობასა და მდგრადობას.



დაცვის პირველი ხაზი: ბიზნესერთულებების დონე

ეს ხაზი მოიცავს ბანკის ყოველდღიურ ოპერატიულ საქმიანობას, მათ შორის ფრონტოფისის პერსონალს, ბიზნეს ერთეულებსა და პროცესებს. დაცვის პირველი ხაზს წარმოადგენენ რისკის მფლობელები, რომლებიც პირველ რიგში პასუხისმგებელი არიან პროცესებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებაზე, გაზომვაზე და მართვაზე. საკუთარ პროცესებთან დაკავშირებული რისკების შესახებ ისინი ბიზნესის სპეციფიკურ, დრმა და ყოვლისმომცველ ცოდნას ფლობენ; შესაბამისად, ისინი პასუხისმგებელი არიან ასეთი რისკების რეგულარულ გამოვლენაზე. დაცვის პირველი ხაზის რისკის მფლობელები პასუხისმგებელი არიან პოლიტიკა/პროცედურების შემუშავებაზე და შესაბამისი კონტროლების დაყენებაზე, რათა უზრუნველყონ რისკის ადეკვატური მართვა.

დაცვის მეორე ხაზი: რისკების დეპარტამენტის დონე

ეს ხაზი პასუხისმგებელია დაცვის პირველი ხაზიდან გაღებული ძალისხმევის ზედამხედველობასა და მხარდაჭერაზე. ბაზისბანკში დაცვის მეორე ხაზს წარმოადგენს გენერალური რისკების მართვის დეპარტამენტი, არაფინანსური რისკების მართვის დეპარტამენტი, AML/CFT დეპარტამენტი და შესაბამისობის განყოფილება. შიდა კონტროლი და შესაბამისობის ზედამხედველობა, ასევე რისკების იდენტიფიცირება და გამოცდა ამ ფუნქციების პასუხისმგებლობაა. ეს ფუნქციები უზრუნველყოფს რისკების მართვას რისკის აპეტიტის შესაბამისად, რაც ხელს უწყობს ჩვენს ორგანიზაციაში რისკების ძლიერი კულტურის ჩამოყალიბებას. ასევე, ისინი ხელმძღვანელობას აწვდიან რჩევებსა და ექსპერტულ მოსაზრებებს რისკებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დაცვის მესამე ხაზი: შიდა აუდიტი

ეს ხაზი პასუხისმგებელია დამოუკიდებელ და ობიექტური მარწმუნებელი საქმიანობის უზრუნველყოფაზე. უმაღლესი მენეჯმენტისა და საბჭოს წინაშე ის უზრუნველყოფს, რომ პირველი და მეორე ხაზის პროცესები ეფექტურია და რომ მათი ძალისხმევა შესაბამეა მოლოდინებს. შიდა აუდიტი აკონტროლებს და რეგულარულად ამოწმებს რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების ადეკვატურ და ეფექტურ განხორციელებას; აკონტროლებს, რომ ყველა რისკი შესაბამებოდეს ბანკის რისკების მიდგომას და შიდა რეგულაციებს; კანონებთან, ასევე უზრუნველყოფს რეგულაციებთან და შიდა პოლიტიკასთან შესაბამისობის შემოწმებას.

მართვის პრინციპები


ბანკის მმართველობის პრინციპები ქმნის რისკების აღების საერთო ამინდს. მმართველი პრინციპების მთავარი ამოცანებია: (i) რისკის კონტროლის უზრუნველყოფა, (ii) მდგრადობის გაზრდა და (iii) რისკი-სარგებელის გაკონტროლება:

- რისკი კულტურა: ძლიერი რისკის კულტურის ხელშეწყობა, სადაც აპეტიტი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და თანამშრომლები იღებენ პასუხისმგებლობას რისკის მართვაზე, რაც იწვევს რისკზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას. რისკის კულტურა მუდმივად ვითარდება ცვალებად რისკის გარემოსთან ადაპტაციისთვის.
- მომგებიანობა: წლიური სამიზნე საოპერაციო მაჩვენებლების შესრულება დაინტერესებული მხარეების მოლოდინების შესაბამისად, შემოსავლების დაბალი ცვალებადობისა და მდგრადი მომგებიანობის შენარჩუნებით.
- რეპუტაცია: ბანკის ბრენდის რეპუტაციისადმი მინიმალური ზიანის მიყენების აპეტიტის შენარჩუნება, ყველა დაინტერესებული მხარის სამართლიანი მოპყრობა და სრული პატიოსნებით მოქმედება. ჯანსაღი კორპორატიული მმართველობის უზრუნველყოფა და კარგი კორპორატიული მოქალაქეობის სტრატეგიის განხორციელება.

4.2. რისკების მართვის სტრუქტურა ბაზისბანკში

ბანკში რისკების მართვის სტრუქტურა უზრუნველყოფს მოვალეობების ეფექტურ გამიჯვნას უფროსი მენეჯმენტით დაწყებული, მენეჯერული განყოფილებების გავლით, ფრონტოფისის პერსონალით დამთავრებული. რისკის მართვის ძირითადი პასუხისმგებლობა დირექტორატის პასუხისმგებლობებშია ინტეგრირებული და დელეგირებულია რისკის უფროს მენეჯერებსა და რისკების მართვის მაღალი რგოლის კომიტეტებზე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მის აღსრულებასა და ზედამხედველობაზე. ჯგუფში ტარდება ჯვარედინი რისკების ანალიზი და რეგულარული მიმოხილვები, რათა დადასტურდეს რისკის მართვის ჯანსაღი პრაქტიკა და რისკის ჰოლისტიკური ცნობიერება.

რისკის ზედამხედველობის ფუნქცია და რისკების მართვის სისტემა რისკის მართვის შემდეგ ერთეულებზე ნაწილდება:



რისკების მართვის დეპარტამენტები პასუხისმგებელნი არიან რისკის მართვის ჩარჩოს შემუშავებაზე და რისკის ტიპების უმრავლესობაზე აგებენ პასუხს (ე.წ. რისკის მფლობელები). რისკების მართვის დეპარტამენტებია: გენერალური რისკების მართვის დეპარტამენტი, არაფინანსური რისკების მართვის დეპარტამენტი, AML/CFT დეპარტამენტი და შესაბამისობის განყოფილება (შემდგომში - ERM სამუშაო ჯგუფი).

საწარმოთა რისკების მართვა (შემდგომში - ERM) აუცილებელია ბაზისბანკისთვის ფინანსური საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების კომპლექსურ ლანდშაფტში ნავიგაციისთვის. ის ბაზისბანკს ეხმარება ზრდასა და რისკს შორის ბალანსის დაჭერაში, მარეგულირებლის შესაბამისობის დაცვაში და გარე შოკების მიმართ მედეგობის გამომუშავებაში. ERM სამუშაო ჯგუფის როლი გადამწყვეტია ბიზნეს პროცესების უწყვეტი რისკის შეფასების ხელშეწყობისა და მაღალი ნარჩენი რისკის შერბილების გეგმების შესრულების გაძლიერებაში. ERM სამუშაო ჯგუფის ჯვარედინი ფუნქციური ბუნება ხელს უწყობს საწარმოს განსახილველი საკითხების გამოვლენას.

ERM სამუშაო ჯგუფი ხელს უწყობს:

•რისკების უკეთესი გამოვლენა და მიტიგაცია:

ERM ბაზისბანკს საშუალებას აძლევს სისტემატურად მოახდინოს რისკების გამოვლენა და შეფასება. ეს მიდგომა ამ რისკების ეფექტურად დაძლევის მიზნობრივი სტრატეგიების განხორციელების

•კაპიტალის უკეთესი განაწილება და ეფექტურობა:

ERM ხელს უწყობს კაპიტალის გამოყენების ოპტიმიზაციას რისკის ზემოქმედების დონესთან შესაბამისობაში მოყვანით, რაც უზრუნველყოფს საკმარისი კაპიტალის გამყოფას პოტენციურ

•სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება:

ERM რისკის საკითხებს სტრატეგიულ დაგეგმვასთან, აკავშირებს, რაც ბანკს საშუალებას აძლევს მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც დააბალანსებს რისკსა და

•მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობა:

რადგან საბანკო სექტორი მკაცრად რეგულირდება, ERM ბაზისბანკს ეხმარება შესაბამისობის რისკების იდენტიფიცირებასა და დაძლევაში.

•რისკების გაძლიერებული კულტურა:

ERM ბაზისბანკში რისკების ძლიერ კულტურას უზრუნველყოფს, სადაც ყველა დონის თანამშრომელი იღებს რისკების შესახებ განათლებას და აქტიურად უწყობს ხელს რისკების მართვას. ეს ხელს უწყობს ადრეულ

•რეპუტაციის მართვა:

ERM ბაზისბანკს ხელს უწყობს ისეთი რისკების გამოვლენასა და მართვაში, რომლებმაც შეიძლება დააზიანოს მისი რეპუტაცია, როგორცაა არაეთიკური ქცევა, ტყუილი ან მონაცემთა დარღვევები.

•ოპტიმალური პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზება:

ERM ბაზისბანკს ეხმარება ახალი პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებაში. ეს უზრუნველყოფს პოტენციური

•კლიენტთა გაზრდილი ნდობა:

ERM-ის მეშვეობით რისკის მართვის ეფექტური პრაქტიკის დემონსტრირება აძლიერებს კლიენტების ნდობას ბაზისბანკის სტაბილურობისა და მათი აქტივების დაცვის უნარში.

•გრძელვადიანი მდგრადობა:

იმ რისკების განხილვით, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბანკის სტაბილურობასა და მომგებიანობას, ERM ხელს უწყობს ბანკის გრძელვადიან მდგრადობასა და წარმატებას.

ERM სამუშაო ჯგუფი პასუხისმგებელია ღირებულებების დაცვით დახმარებაზე რისკის ზედამხედველობაში, ბანკის რისკის მიდგომისა და რისკის პროფილის, კაპიტალის და ლიკვიდურობის საკითხებში, ბანკის რისკის მართვის ჩარჩოს ეფექტურობის განხილვაში, ბანკის კაპიტალის მოთხოვნების განსაზღვრაში გამოყენებული მეთოდოლოგიის განხილვაში, სტრესტესტირებაში, სტრატეგიულ ან მნიშვნელოვან ტრანზაქციებზე დიუ დილიჯენსის შეფასების უზრუნველყოფაში. ჯგუფს ეკისრება პირველადი პასუხისმგებლობა ბანკის რისკის აპეტიტის დადგენაზე და ბანკის პროფილის ზედამხედველობაზე; ბანკის ბრენდისა და რეპუტაციის ზედამხედველობასა და იმის უზრუნველყოფაზე, რომ რეპუტაციის რისკი შესაბამეა რისკის აპეტიტს.

რისკების მართვის თითოეული ერთეულის ძირითადი ფუნქციები შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ერთეული	რისკის ფუნქცია
სამეთვალყურეო საბჭო	<p>აღწერა: სამეთვალყურეო საბჭო არის საბოლოო პასუხისმგებელი ორგანო რისკის მართვის ჩარჩოს ზედამხედველობაზე, რომელიც აყალიბებს ზოგად მიდგომას რისკის მართვის მიმართ ინდივიდუალური რისკის სტრატეგიების დამტკიცებით.</p> <p>ძირითადი ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ქმნის ამინდს, ადგენს და ხელს უწყობს ბანკში მაღალი ეთიკური სტანდარტების არსებობას; ამტკიცებს და ახორციელებს კონტროლს ბანკის რისკის სტრატეგიების განხორციელებაზე; აყალიბებს რისკის აპეტიტს რისკების მთავარ დირექტორთან და საბჭოს სხვა წევრებთან თანამშრომლობით; ამტკიცებს რისკის აპეტიტს; განიხილავს ბანკის რისკის პროფილს; ამტკიცებს რისკის მართვის ჩარჩოს და ICAAP და ILAAP ჩარჩოებს; განიხილავს ბაზისბანკის რისკების მართვის ჩარჩოს ადეკვატურობას და ეფექტურობას და ამტკიცებს რისკების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს; არაფინანსური რისკების შეფასება ESG რისკების ჩათვლით. რისკის მართვის სისტემის ზედამხედველობის ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად აფასებს ESG რისკებს და ამოწმებს, რომ ეს რისკები იდენტიფიცირებულია, გაზომილი, ჩატარებული აქვს მონიტორინგი და მათი ზემოქმედება სათანადოდაა შერბილებული;
აუდიტის კომიტეტი	<p>აღწერა: აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე შექმნილი დამოუკიდებელი კონტროლის ფუნქციაა, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს მხარს უჭერს რისკების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგში. ის პირდაპირ ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს.</p> <p>ძირითადი ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> გამოთქვამს მიუკერძოებელ მოსაზრებას არსებული პოლიტიკისა და პროცედურების ადეკვატურობის, ჯგუფის რისკის სტრატეგიის, რისკის მაღის და რისკის პოზიციების, მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობის და სხვა შიდა და გარე რეგულაციების შესახებ. რეგულარულად განიხილავს შიდა კონტროლს და პროცესებს; ზედამხედველობას უწევს ბანკის შიდა და გარე აუდიტორთა რეკომენდაციებს; ამტკიცებს ან რეკომენდაციას უწევს საბჭოს ფინანსური აღრიცხვის პროცესის მონიტორინგს; ზედამხედველობას უწევს რისკის მართვის სისტემის, განსაკუთრებით შიდა კონტროლის სისტემის და შიდა აუდიტის სისტემის ეფექტურობას; მონიტორინგს უწევს მენეჯმენტის ზომებს, რომლებიც ხელს უწყობს კომპანიის შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან, რეგულაციებთან და შიდა პოლიტიკასთან.
რისკების კომიტეტი	<p>აღწერა: რისკების კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე შექმნილი დამოუკიდებელი კონტროლის ფუნქციაა, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს მხარს უჭერს რისკების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგში.</p> <p>ძირითადი ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> უზრუნველყოფს ბანკის რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკის ზედამხედველობას და მათ ეფექტურ განხორციელებას აფასებს და აკონტროლებს ბანკის რისკის პროფილს, რისკის აპეტიტს და ლიმიტებს.

ერთული	რისკის ფუნქცია
შიდა აუდიტი	<ul style="list-style-type: none"> • ზედამხედველობის მარეგულირებლისა და სხვა შიდა და გარე რეგულაციების დაცვას. <p>აღწერა: შიდა აუდიტი სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებული ფუნქციაა და უშუალოდ ექვემდებარება მას. შიდა აუდიტი მხარს უჭერს უმაღლეს მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი და ობიექტური მარწმუნებელი საქმიანობით, რომ რისკების იდენტიფიკაციისა და შერბილების ღონისძიებები, რომლებიც დაცვის პირველი და მეორე ხაზის მიერ სრულდება, შესაბამისაა მათ მოლოდინებს.</p> <p>ძირითადი ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • აფასებს ბაზისბანკის კონტროლის ჩარჩოს ადეკვატურობას და ეფექტურობას და შიდა პოლიტიკისა და პროცედურების დაცვას; • ამზადებს პერიოდულ ანგარიშებს სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე აუდიტის საქმიანობის შემაჯამებლად
დირექტორატი	<p>აღწერა: მართვის საბჭო არის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ეფექტურ ბიზნეს ორგანიზაციისა და მოვალეობების ადეკვატურ გამიჯვნაზე, რათა ასახოს რისკი და უზრუნველყოს ადეკვატური პოლიტიკა და პროცედურები.</p> <p>ძირითადი ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შედეგების განხილვა სტრატეგიული მიზნებისკენ სვლის პროგრესის გასაუმჯობესებლად; • განყოფილებების და დეპარტამენტების დონეზე საქმიანობის კონტროლი; • ბანკის სტრატეგიის, რისკისა და კაპიტალის ლიმიტების რეგულარულად გადასინჯვა პოზიციასთან და კაპიტალის ლიმიტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად; • შემდგომი რეაგირება შესაბამისი შემთხვევებზე; • შიდა კონტროლის შეფასებების განხილვა; • შიდა კონტროლის სისუსტეებთან დაკავშირებით აუდიტორებისა და ზედამხედველობის ორგანოების მიერ გამოთქმული რეკომენდაციებისა და შემოთავაზებების დროული განხორციელების უზრუნველყოფა.
ALCO კომიტეტი	<p>აღწერა: დირექტორთა საბჭოს მიერ შექმნილი ფუნქციური ერთეული აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის რისკების ზედამხედველობისა და მართვის უზრუნველსაყოფად.</p> <p>ძირითადი ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> - განიხილავს ლიკვიდობის მიმდინარე და პერსპექტიულ პოზიციებს და აკონტროლებს დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებს; - განიხილავს დეპოზიტების, სესხების და ინვესტიციების დაფარვისა და ფასების გრაფიკს; - შეიმუშავებს მიზანშეწონილად მიჩნეულ ალტერნატიულ სტრატეგიებს, რომლებიც ითვალისწინებს საპროცენტო განაკვეთის დონისა და ტენდენციების ცვლილებებს, შესაბამის პროდუქტებს და მასთან დაკავშირებულ რეგულაციებს; - • განიხილავს და ამოწმებს ALM მოდელ(ებ)სა და პროცედურებს; - • ამტკიცებს კონტრაგენტის რისკის ლიმიტის სტრუქტურას.
საკრედიტო კომიტეტი	<p>აღწერა: საკრედიტო რისკების ზედამხედველობისა და მართვის უზრუნველსაყოფად დირექტორატის მიერ შექმნილი ფუნქციური ერთეული.</p> <p>ზოგადი ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • აფასებს პოტენციური კლიენტების ფინანსურ მდგომარეობასა და სესხის დაფარვის უნარს; • განიხილავს განაცხადებს სესხებზე და იღებს გადაწყვეტილებას ასეთ განაცხადებებზე კომიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში;

ერთული	რისკის ფუნქცია
<p>გენერალური დირექტორის მოადგილე, CRO რისკების დირექტორი</p>	<ul style="list-style-type: none"> • მოქმედებს ბანკის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად; • იხილავს სესხების ამოღების პრაქტიკას სესხების ანდერრაიტინგის და ამოღების გაუმჯობესების მიზნით. <p>აღწერა: გენერალური დირექტორის მოადგილე (CRO) უმაღლესი დონის აღმასრულებელია, რომელიც პასუხისმგებელია საერთო რისკების მართვაზე ყველა ფინანსურ და არაფინანსურ რისკთან დაკავშირებით; ის უზრუნველყოფს საწარმოთა რისკის მენეჯმენტის (ERM) მთლიან ხელმძღვანელობას, ხედვასა და მიმართულებას და ავითარებს მართვის ჩარჩო-პოლიტიკას, მათ შორის განსაზღვრავს ბანკის საერთო რისკის აპეტიტს.</p> <p>მთავარი ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რისკის ყოვლისმომცველი კონტროლი, რისკის გაზომვისა და შემცირების მეთოდების შემუშავება და უწყვეტი განვითარება; • რისკის ლიმიტების დაწესება და რისკის რუკების შექმნა; • საბჭოსა და ძირითად დაინტერესებულ მხარეებისთვის ფირმის რისკის პროფილის მკაფიო ხედვის მიწოდება. • საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკების შეფასება და მართვა და წინადადებების შედგენა სტრუქტურის, პროცედურებისა და დებულებებისთვის საჭირო ცვლილებების შესახებ; • ICAAP და ILAAP ჩარჩოების შემუშავება • რისკის შემცირების მეთოდების შემუშავება და დანერგვა; • ბანკის საკრედიტო საქმიანობის შეფასება.
<p>საერთო რისკების მართვის დეპარტამენტი</p>	<p>აღწერა: ზოგადი რისკების მართვის დეპარტამენტი არის CRO-ის დაქვემდებარებული ფუნქცია, რომელიც ფლობს და მართავს ფინანსურ რისკებს.</p> <p>ძირითადი ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • აფასებს და მართავს საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკებს; • შეიმუშავებს, ინარჩუნებს და განაახლებს ამ რისკებთან შესაბამის პოლიტიკასა და პროცედურებს; • მონაწილეობას იღებს ICAAP-ისა და ILAAP-ის ჩარჩოების, ასევე ბანკის რეზოლუციის გეგმის შემუშავებაში და შემდგომ აკონტროლებს რისკების განსაზღვრულ ლიმიტებთან შესაბამისობას; • აკონტროლებს და აფასებს პორტფელის ხარისხს, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და გირაოს შეფასებას; ატარებს სასესხო პორტფელის მარეგულირებელ სტრეს-ტესტს; • სტრატეგიული ბიზნეს მიზნების მისაღწევად საკრედიტო პოლიტიკაში ცვლილებების შესახებ რეკომენდაციებს წარუდგენს დირექტორატს; • მონაწილეობს საფასო მოდულების შემუშავებაში; • სახაზინო დეპარტამენტთან ერთად აფასებს ბაზარს (საპროცენტო განაკვეთი და სავალუტო რისკები) და შეიმუშავებს ამ რისკების ჰეჯირების ზომებს; • აფასებს ლიკვიდობის რისკებს და შეიმუშავებს ზომებს ILAAP-ის ყოველწლიური მიმოხილვის ფარგლებში სახსრების მოპოვებისა და განთავსებისთვის. • შეიმუშავებს და ნერგავს რისკის შემცირების მეთოდებს; აკეთებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებას (ECL); შეიმუშავებს ICAAP-ს (კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესი); აფასებს ბანკის დაკრედიტების შედეგებს.
<p>არაფინანსური რისკების მართვის დეპარტამენტი</p>	<p>აღწერა: არაფინანსური რისკების მართვის დეპარტამენტი CRO-ს დაქვემდებარებული ფუნქციაა, რომელიც ფლობს და მართავს არაფინანსურ რისკებს და მიზნად ისახავს ბანკში არაფინანსური რისკების მართვის ჯანსაღი და ეფექტური პრაქტიკის ჩამოყალიბებას.</p> <p>ძირითადი ფუნქციები:</p>

ერთული	რისკის ფუნქცია
	<ul style="list-style-type: none"> • რისკების იდენტიფიკაციის, შეფასების, მიტიგაციის და მონიტორინგის/ანგარიშგების ეფექტური ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიების ამოქმედების უზრუნველყოფა არაფინანსური ზარალის მინიმიზაციის მიზნით, ბიზნესის განვითარებისა და ზრდის ხელშეწყობისას; • შიდა თაღლითობის ინციდენტების მინიმუმამდე დაყვანა და ბანკის ბიზნეს მიზნებთან შესაბამისი გარემოს შექმნა. • ინფორმაციის უსაფრთხოებისა და ბიზნესის უწყვეტობის მართვის პროცესების მუდმივი გაუმჯობესება, ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან/კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების მინიმუმამდე დაყვანის და კლიენტებისა და პარტნიორების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
<p>AML და სანქციებთან შესაბამისობის დეპარტამენტი</p>	<p>აღწერა: AML და სანქციებთან შესაბამისობის დეპარტამენტი CRO-ის ფუნქციაა, რომელიც ზედამხედველობს AML/CFT-თან და საერთაშორისო სანქციებთან შესაბამისობას. იგი შედგება სამი განყოფილებისგან: KYC ხარისხის კონტროლის, ტრანზაქციების მონიტორინგის და საერთაშორისო სანქციების.</p> <p>ძირითადი ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფულის გათეთრებისა და სანქციებთან შესაბამისობის პროგრამის მართვა, მათ შორის ბანკის AML/სანქციებთან შესაბამისობის პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების ზედამხედველობა და მუდმივი მონიტორინგის განხორციელება. • ბანკის მიერ AML-ის წესებისა და რეგულაციების დაცვის და ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღების უზრუნველყოფა.
<p>შესაბამისობის განყოფილება</p>	<p>აღწერა: შესაბამისობის განყოფილება CRO-ის დაქვემდებარებაში მყოფი ფუნქციაა, რომელიც პასუხისმგებელია მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.</p> <p>ძირითადი ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კორპორატიული შესაბამისობის პოლიტიკის აღსრულება; • შესაბამისობის რისკის მართვის ეფექტური ფუნქციონირება; • თითოეული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცვლილების შემოქმედების შეფასება, რაც მისი ფორმალური რისკის იდენტიფიკაციისა და შეფასების პროცესის ნაწილია. • შესაბამისობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი/პოტენციური რისკების წინასწარ განსაზღვრა, გამოვლენა, შეფასება და კონტროლი.
<p>ხაზინის დეპარტამენტი</p>	<p>აღწერა: ხაზინის დეპარტამენტი CFO-ის დაქვემდებარებული ფუნქციაა, რომელიც ფლობს და მართავს სახაზინო ოპერაციებს, ლიკვიდობასა და დაფინანსების პოზიციებს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სავალუტო რისკს. ის ანგარიშვალდებულია CFO-ს და ALCO კომიტეტების წინაშე.</p> <p>ძირითადი ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ლიკვიდობის, ვადიანობის ტრანსფორმაციისა და სტრუქტურული საპროცენტო განაკვეთის პოზიციის ყოველდღიური კონტროლი; • ბაზისბანკის ლიკვიდობის და საპროცენტო განაკვეთის ვადის შესაბამისობის კონტროლი; • სავალუტო რისკის პოზიციის კონტროლი და მართვა.

ერთული	რისკის ფუნქცია
<p>აქტივ-პასივების მართვის დეპარტამენტი</p>	<p>აღწერა: აქტივებისა და ვალდებულებების მართვის დეპარტამენტი CFO-ის ფუნქციაა, რომელიც ფლობს და მართავს აქტივებისა და ვალდებულებების, ლიკვიდობისა და კაპიტალის მართვის საკითხებს.</p> <p>ძირითადი ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • აქტივებისა და ვალდებულებების გასწორება - ფინანსური რისკების შემცირება და მომგებიანობის ზრდა; • აქტივებისა და ვალდებულებების ფასწარმოქმნა; • სატრანსფერო ფასების სისტემის შემუშავება და მართვა; • ლიკვიდობის საშუალო და გრძელვადიან მართვაში მონაწილეობა; • კაპიტალის მართვაში მონაწილეობა.

4.3. რისკების სტრატეგია

რისკების სტრატეგია

ბანკის ბიზნეს სტრატეგიიდან გამომდინარე რისკის სტრატეგია ითვალისწინებს ბანკის რისკის აპეტიტს და რისკების მართვის ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს რისკების სათანადო კონტროლს. ის განსაზღვრავს ჯგუფის მიდგომას და პრიორიტეტებს რისკის მართვის მიმართ, ადგენს მიზნებს, ეხება ცვლილებებს ეკონომიკურ, სოციალურ და მარეგულირებელ გარემოში, მარეგულირებელი მოლოდინებისა და ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. უზრუნველყოფილია საშუალო და დაბალი რისკის პროფილის შენარჩუნება ბანკის მასშტაბით, როგორც ეს რისკის მადის ჩარჩოთია მოთხოვნილი.

რისკის სტრატეგია მინიმუმ ყოველწლიურად ახლდება, ასევე ახლდება ბანკის სტრატეგიის ნებისმიერი განახლებისას და ხელმისაწვდომია ბანკის ყველა დონის თანამშრომლისთვის.

რისკის სტრატეგია განსაზღვრავს ბაზისბანკის მიდგომას რისკების მართვის მიმართ, მათ შორის შესაბამისი რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, კონტროლის, ანგარიშგების და მართვის/გამოწვევის ზოგად მეთოდოლოგიებს და რისკის მართვის სტრუქტურას, რომელიც ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში ამ საქმიანობის მხარდასაჭერადაა შექმნილი. მატერიალური რისკის თითოეული ტიპის მართვა შემდეგ ნაწილშია აღწერილი.

რისკების მართვა

რისკის მართვის პროცესები უნდა იყოს აგებული ისე, რომ ხელი შეუწყოს რისკის სტრატეგიის შესრულებას ბანკის ყოველდღიურ პროცესებში და მენეჯმენტის ანგარიშგების სისტემა ასევე უნდა შეიქმნას ისე, რომ განდეს რისკის მართვის სათანადო ინსტრუმენტი.

ბაზისბანკი მოწოდებულია პოტენციური რისკები ადეკვატური, კარგად შემუშავებული ბიზნეს სტრატეგიით შეამსუბუქოს და დამახასიათებელი რისკები ადრეული რისკების გამოვლენის სისტემების და შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებით მართოს, რათა მის ყოველდღიურ ბიზნეს საქმიანობაში რისკის გაცნობიერებული გადაწყვეტილებები და ქმედებები უზრუნველყოს.

ბაზისბანკი აყალიბებს რისკების აღების და რისკების მართვის პრინციპებს, რომლებიც აისახება შიდა წესებსა და პოლიტიკაში და ორგანიზაციის მასშტაბით თანმიმდევრულად გამოიყენება. ეს ზოგადი პრინციპებია:

- გონივრული რისკის აღება რისკის ყოვლისმომცველი შეფასებით და კონტროლის გარემოთი,
- რისკების სათანადო რაოდენობრივი განსაზღვრა ადეკვატური მეთოდოლოგიების გამოყენებით ბანკის ზომისა და სირთულის შესაბამისად;
- მარეგულირებლის ყველა არსებული მოთხოვნისა და გაიდლაინების მიღება და შესრულება და საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- რისკების კონტროლის სათანადო იერარქიის შენარჩუნება, ბიზნეს საქმიანობისგან დამოუკიდებლად, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით,
- რისკის პერსპექტივის გათვალისწინება ახალი აქტივობების, ბიზნეს ხაზების ან პროდუქტების გაშვებისას.

რისკების მართვა ბაზისბანკის ბიზნეს საქმიანობის ფუნდამენტური ნაწილი და მისი დაგეგმვის პროცესის აუცილებელი კომპონენტია. იმისათვის, რომ რისკების მართვა მთავარ დღის წესრიგში იყოს, ის ბიზნესის ყოველდღიურ მენეჯმენტშია ჩართული. ბაზისბანკი უზრუნველყოფს, რომ ჰქონდეს ფუნქციური შესაძლებლობები, მართოს რისკი ახალ და არსებულ ბიზნესებში. სტრატეგიულ დონეზე, ჩვენი რისკების მართვის მიზნებია:

- ბაზისბანკის სტრატეგიის განსაზღვრა;
- რისკის/სარგებლის გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია მათი ბიზნესთან რაც შეიძლება ახლოს მიღებით;
- იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბიზნესის ზრდის გეგმები იყოს ეფექტური რისკის ინფრასტრუქტურის მხარდაჭერით.

- რისკების პროფილის მართვა, რათა უზრუნველყოს ფინანსური სიმყარე შესაძლო ბიზნესის არახელსაყრელ პირობებში.

რისკების მართვის პროცესები იმგვარადაა აწყობილი, რომ რისკების მართვის ეფექტურ ინსტრუმენტად გამოდგება. რისკების მართვის პროცესები აგებულია იმგვარად, რომ მხარს უჭერს რისკების სტრატეგიის ყოველდღიურად შესრულებას ისე, რომ რისკების მართვა გამჭვირვალობის და რისკების შემცირების მუდმივ პროცესად იქცეს. ამ ამოცანების შესრულებისას, რისკების მართვა დაყოფილია ოთხ პროცესად: გამოვლენა, შეფასება, მიტიგაცია და მონიტორინგი.

გამოვლენა	<ul style="list-style-type: none"> • ბაზისბანკის სტრატეგიის შესასრულებლად არსებული და წარმოშობილი რისკების განსაზღვრა, შედგენა და კლასიფიკაცია
შეფასება	<ul style="list-style-type: none"> • გაზომვის სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შეთანხმება და დანერგვა, რომელიც მოიცავს რისკების შედეგების რაოდენობრივად და ხარისხობრივად განსაზღვრას, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ ამა თუ იმ დროის განმავლობაში შესაძლო რისკის მოვლენების ფინანსური ზემოქმედებით.
მიტიგაცია	<ul style="list-style-type: none"> • ქმედებების განხორციელება გამოვლენილი რისკების მართვის ან კონტროლისთვის • ზომების განხორციელება როგორცაა ძირითადი კონტროლის პროცესები და პრაქტიკა, რათა შემცირდეს რისკის წარმოქმნის ალბათობა ან მინიმუმამდე დავიდეს მისი პოტენციური გავლენა. • კონტროლი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შეზღუდულ სტრუქტურებს, მოვალეობების გამიჯვნას, გაუფასურების შემწეობის კრიტერიუმებს და ანგარიშგების მოთხოვნებს.
მონიტორინგი	<ul style="list-style-type: none"> • რისკების ზემოქმედების, კონცენტრაციისა და რისკის მიღების შედეგების ინტერპრეტაცია და ანგარიში • რისკის მართვის აქტივობების შესრულების და სტატუსის კონტროლი და შეფასება • ბაზისბანკის რისკის პროფილის ყველა ასპექტის განხილვა და გამოწვევა • რისკი-სარგებლის ახალი შესაძლებლობების შეფასება • რჩევები ბაზისბანკის რისკის პროფილის ოპტიმიზაციის შესახებ;

ყველა მატერიალური რისკი, ფინანსური და არაფინანსური, მათ შორის საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო, ლიკვიდობის, საზედამხედველო და რეპუტაციული რისკები, რომლებიც ფინანსური ბიზნესის თანმდევი რისკებია, სპეციალიზებული რისკების მართვის პროცესებით იმართება. რისკების და კაპიტალის მოთხოვნის

რაოდენობრივი გამოსახვის მოდელირების და გაზომვის მიდგომა ყველა მატერიალური რისკის ტიპებზე ხორციელდება.

თითოეული ტიპის რისკისთვის შეფასებულია მისი შესაბამისობა და რისკის გაზომვისა და შერბილების მეთოდოლოგიური მიდგომა მოცემულია ჩარჩოში. ბანკი რისკების შეფასებას სისტემატური გზით განიხილავს, რაც სხვადასხვა სტრუქტურულ-ტესტისა და კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესის (ICAAP) მეშვეობით ხორციელდება. კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, ლიკვიდობის პოზიცია, საბაზრო რისკი რეგულარულად შესრულებული საორიენტაციო ანალიზისა და უფრო მკაცრ სტრუქტურულ-ტესტის პირობებში ფასდება.

თუ რისკი მნიშვნელოვნად ჩაითვლება და ის რაოდენობრივად შეიძლება განისაზღვროს, ბანკმა რისკის დასაფარად საჭირო შესაბამისი კაპიტალის გამოსათვლელად უნდა განსაზღვროს შიდა მეთოდოლოგია. სხვა შესაბამისი რისკების ტიპები, რომელთა რაოდენობრივი დადგენა შეუძლებელია, განიხილება შესაბამისი შიდა პროცესების მეშვეობით. შიდა პროცესები მიზნად ისახავს მინიმუმამდე დაიყვანოს პოტენციური დანაკარგები, რომლებიც არარაოდენობრივი რისკის ტიპებიდან წარმოიქმნება. თუ რისკი არარეგულარული აღმოჩნდა, სპეციალური მოპყრობა არ არის საჭირო.

თუმცა, რისკის მართვის ჩარჩოს რეგულარული განხილვა უზრუნველყოფს, რომ სულ მცირე ყოველწლიურად შეფასდეს ყველა რისკის ტიპი და რომ რისკის ტიპები, რომლებიც შეუსაბამო იყო და დროთა განმავლობაში აქტუალური გახდა, სათანადო საკითხად განიხილებოდეს.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს ჯგუფის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მართვას. პოლიტიკის ეს დოკუმენტები მენეჯმენტს პასუხისმგებლობას აკისრებს კონკრეტულ რისკებზე, ადგენს შესაბამისი რისკის ლიმიტებს, ადგენს მოთხოვნებს შიდა კონტროლის ჩარჩოებისთვის და მუდმივად აკონტროლებს რისკის დონეს და ლიმიტების დაცვას. რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები რეგულარულად განიხილება, რათა აისახოს ბაზრის პირობებში, საუკეთესო პრაქტიკის, შეთავაზებული პროდუქტებისა და სერვისების განვითარებაში მომხდარი ცვლილებები.

4.4. რისკის აპეტიტი

რისკის აპეტიტი რისკის ის ოდენობაა, რომლის ასაღებად, ასატანად ან წინაშე დასადგომად ორგანიზაცია მზადაა ნებისმიერ დროს. ცხადია, ბანკის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი რისკის ნულამდე შემცირება შეუძლებელია, თუმცა, ხარჯების და შედეგების სათანადო ანალიზზე დაყრდნობით, ბანკმა უნდა შეიმუშაოს მისი რისკების ტოლერანტობის ჩარჩო.

რისკის მადის ჩარჩო საერთო მიდგომაა, რომლის მეშვეობითაც ხდება რისკის მადის ჩამოყალიბება, კომუნიკაცია და მონიტორინგი. იგი მოიცავს რისკის მადის შესახებ განცხადებას, რისკის ზღვრებს და იმ პირთა როლებისა და პასუხისმგებლობების მონახაზს, რომლებიც ზედამხედველობენ რისკის მადის ჩარჩოს განხორციელებასა და მონიტორინგს.

- რისკის მადის შესახებ განცხადება (RAS) - რისკის მადის გამოხატვა წერილობითი ფორმით. იგი მოიცავს რაოდენობრივ მეტრიკას, ხარისხობრივ განცხადებებს და რისკის ზღვრებს. RAS კომუნიკაცია ხდება ბანკის მასშტაბით და ჩართულია გადაწყვეტილების მიღების ყოველდღიურ პროცესებში;
- რისკის მოცულობა - რისკის მაქსიმალური დონე, რომელიც ბანკს შეუძლია აიღოს საზედამხედველო კაპიტალისა და ლიკვიდობის საჭიროებებით განსაზღვრული შეზღუდვების დარღვევამდე და მისი ვალდებულებები შეანაბრების, კრედიტორების, აქციონერების, კლიენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიმართ;
- რისკის ზღვრები - ბანკის მიერ დაწესებული შეზღუდვები მის ბიზნეს საქმიანობაზე, რომელიც შექმნილია ბანკის რისკის მადის გადანაწილებისთვის კონკრეტულ რისკის კატეგორიებზე, ბიზნეს ერთეულებზე და საჭიროებისამებრ, სხვა დონეებზე;
- რისკის პროფილი - ბანკის მთლიანი და, საჭიროებისამებრ, წმინდა რისკის შემოქმედების დროული შეფასება, აგრეგირებული ყოველი შესაბამისი რისკის კატეგორიის ფარგლებში და მასშტაბით, მომავალზე ორიენტირებული დაშვებების საფუძველზე.

ბანკის რისკების მიდგომა დაწესდა, როგორც ლიმიტის სისტემა, რომელიც ბანკს საშუალებას აძლევს მუდმივად აკონტროლოს შესაბამისი რისკის ფაქტორების შემოქმედება. ლიმიტის სისტემა ითვალისწინებდა რისკის შეფასების პროცესში გამოვლენილ ყველა შესაბამის რისკს. რისკის აპეტიტს ადგენს სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატის წევრებთან, მათ შორის რისკების დირექტორთან თანამშრომლობის შედეგად.

ძირითადი რისკები

ბანკი განასხვავებს ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს. ფინანსურ რისკებში ბანკი მოიაზრებს საკრედიტო რისკს, ლიკვიდურობის რისკს, საბაზრო რისკს, კაპიტალის რისკს, ვადიანობის რისკს, სავალუტო რისკს და სხვა ფინანსურ რისკებს. არაფინანსურ რისკებში ბანკი განიხილავს ოპერაციულ, კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების და მესამე მხარის რისკებს. ბანკის დონეზე ჯგუფი აკონტროლებს შემდეგ რისკების პოზიციებს:

საკრედიტო რისკი

<p>რისკის განსაზღვრება</p>	<p>ჯგუფისთვის დამახასიათებელია საკრედიტო რისკი. ეს ის რისკია, როცა ფინანსური ტრანზაქციის მონაწილე ერთ-ერთი მხარე ვერ შეასრულებს მის მოვალეობას, რითაც კონტრაგენტის ფინანსურ ზარალს იწვევს. საკრედიტო რისკის პოზიცია წარმოიშობა ჯგუფის საკრედიტო საქმიანობის და პარტნიორებთან განხორციელებული სხვა ოპერაციების გამო, რაც იწვევს ფინანსურ აქტივებისა და კრედიტთან დაკავშირებული გარეგანობის ვალდებულებების გაჩენას. ცხადია, საკრედიტო რისკი ბანკებისთვის და ბანკების საზედამხედველო ორგანოებისთვის უმნიშვნელოვანესი რისკია. ბანკის საკრედიტო სტრატეგია დივერსიფიცირებული და მომგებიანი საკრედიტო პორტფელის შექმნა და ამასთან მაქსიმალური ხარისხის შენარჩუნებაა.</p>
<p>რისკის გამოვლენა და გაზომვა</p>	<p>რისკების მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება კომპლექსური პროცესია და მოითხოვს მოდელის გამოყენებას, რადგან რისკი ცვალებადია და</p>

დამოკიდებულია ბაზრის პირობებზე, მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობაზე და დროის ფაქტორზე. აქტივების პორტფელისთვის საკრედიტო რისკის შეფასება მოითხოვს აქტივის შესაძლო დეფოლტის, დეფოლტთან დაკავშირებული ზარალის დონის და კონტრაგენტებს შორის დეფოლტის კორელაციების წინასწარ შეფასებას. ბაზისბანკში საკრედიტო რისკების მართვა რამდენიმე სახის საქმიანობას გულისხმობს, რომლებიც ბანკის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია.

ბაზისბანკში ამ საკითხს არეგულირებს საკრედიტო პოლიტიკა და საკრედიტოების სახელმძღვანელო. ეს ფორმალიზებული დოკუმენტი განსაზღვრავს და არეგულირებს პორტფელის სტრუქტურას, საფასო და არასაფასო პირობებს, ლიმიტების სტრუქტურას, მავტორიზებელ ორგანოებს და გამონაკლისების დამუშავების პროცესს და მენეჯმენტის ანგარიშგებას.

საკრედიტო რისკი, როგორც პორტფელის, ისე ტრანზაქციების დონეზე, იმართება საკრედიტო კომიტეტების სისტემის მეშვეობით, რაც ეფექტიან გადაწყვეტილებების მიღებას უწყობს ხელს. საკრედიტო კომიტეტების იერარქია ითვალისწინებს პროდუქტის ტიპს და რისკის პოზიციის განსახილველ ოდენობას. როცა კლიენტებთან ურთიერთობის მენეჯერი მიიღებს სასესხო განაცხადს, ის გადაეცემა შესაბამის საკრედიტო კომიტეტს, რომელიც ამტკიცებს კრედიტის ლიმიტს.

რისკის მიტიგაცია

კრედიტის გაცემის ჯანსაღი პროცესი - ბაზისბანკში ეს გულისხმობს მთელი რიგი ელემენტების გათვალისწინებას კრედიტის გაცემის დროს. საკრედიტო პოზიციიდან და საკრედიტო ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ეს ელემენტები მთელ რიგ ფაქტორებს მოიცავს, მაგალითად, როგორცაა კრედიტის მიზნობრიობა, გადახდის წყაროები, მსესხებლის ან კონტრაგენტის მიმდინარე რისკის პროფილი, უზრუნველყოფა და მისი სენსიტიურობა ეკონომიკაში და ბაზარზე მიმდინარე მოვლენებისადმი, მსესხებლის გადახდების ისტორია და ამჟამად არსებული გადახდისუნარიანობა, ისტორიული ფინანსური ტრენდები და ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზები. საკრედიტო ანალიზის დროს ყურადღება ექცევა მსესხებლის ბიზნეს-ექსპერტიზას, მსესხებლის ეკონომიკის სექტორს და მის პოზიციას სექტორში. ეს ელემენტები წარმოადგენენ კონტრაგენტისთვის სარეიტინგო ქულების მინიჭების მოდელის შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც საცალო და კორპორაციული ბიზნეს მიმართულებებისთვის შემუშავდა. კორპორაციული და საცალო საკრედიტების დეპარტამენტები მონაწილეობას იღებენ კლიენტის საკრედიტო რისკის შეფასებაში; მსესხებელი ფიზიკური პირებისთვის ბანკმა შეიმუშავა გამარტივებული შეფასების მოდელი, რომელიც მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის და წარსულში განხორციელებული გადახდების ისტორიის ანალიზის შედეგად, ბანკს საშუალებას აძლევს შეაფასოს მსესხებლის კრედიტის დაფარვის უნარი. საცალო და კორპორაციული კლიენტებისთვის ქულების მინიჭება ძირითადად ხდება კრედიტის დამტკიცების პროცესში ფასწარმოქმნის მიზნით: თითოეული სესხის ფასწარმოქმნა კორექტირდება კლიენტის ქულის და პროდუქტის რისკიანობის გათვალისწინებით. კრედიტის ადმინისტრირების, შეფასების და მონიტორინგის პროცესის სათანადოდ მართვა გულისხმობს ცალკეულ მსესხებელთან დაკავშირებული რიგი ძირითადი ფაქტორების რეგულარულ მონიტორინგს. ეს ფაქტორებია: მსესხებლის ან კონტრაგენტის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა, არსებული კოვენანტების შესრულება, უზრუნველყოფით დაფარვის კოეფიციენტი და ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდების ისტორია და ვადაგადაცილებები. ეს ასევე გულისხმობს მთლიან სასესხო პორტფელში მსესხებელთა კონკრეტული ტიპების პოზიციის წილის მონიტორინგს, რისკების კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით. ასეთ კონცენტრაციას ადგილი აქვს, როცა არსებობს პირდაპირი ან არაპირდაპირი სესხების მატალი დონე ერთ კონტრაგენტზე, ურთიერთდაკავშირებული მსესხებლების ჯგუფზე, ან კონკრეტულ ინდუსტრიაზე ან ეკონომიკის სექტორზე.

საკრედიტო რისკების შეფასების სარეიტინგო სისტემა: საკრედიტო რისკის შეფასების და ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საკრედიტო რისკის მინიჭების მიზნით, ჯგუფი იყენებს სარეიტინგო სისტემას. შიდა სარეიტინგო სისტემა გამოყენება იურიდიული პირების შეფასებისას, ხოლო, სხვა შემთხვევებში, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ (Standard & Poor's - "S&P", Fitch, Moody's) განსაზღვრულ საერთაშორისო რეიტინგები, რომლის მიხედვითაც ხდება ცენტრალური მთავრობების და მათ მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების, ბანკების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, კორპორაციული ფასიანი ქაღალდების და სხვა ფინანსური აქტივების შეფასება.

კონცენტრაცია: ერთ მსესხებელთან ან მსესხებელთა ჯგუფებთან და გეოგრაფიულ და ინდუსტრიულ სექტორებთან მიმართებაში გაწეული რისკის ოდენობაზე ჯგუფი აწესებს კონცენტრაციის ლიმიტებს, რითაც აყალიბებს საკრედიტო რისკის იმ დონეს, რომელსაც ის სწევს. საკრედიტო რისკის დონის ლიმიტები პროდუქტისა და ინდუსტრიის სექტორების მიხედვით რეგულარულად მტკიცდება დირექტორატის მიერ. ასეთი რისკები რეგულარულად კონტროლდება და ექვემდებარება ყოველწლიურ, ან უფრო ხშირ განხილვას. ბანკის საკრედიტო პოლიტიკის დოკუმენტში მოცემულია ბანკის მიერ კონცენტრაციის რისკის კონტროლის ლიმიტის სისტემა. ერთი დასახელების კონცენტრაციის რისკი შეზღუდულია საქართველოს რეგულაციებით (კომერციულ ბანკებში კრედიტის კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების წესი). საქართველოს რეგულაციის თანახმად, ბანკის მიერ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს პირველადი კაპიტალის 25%-ს. დამატებითი შიდა წესებია: 1. ბანკის მიერ პირზე გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის პირველადი კაპიტალის 15%-ს; 2. ბანკის მიერ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების ჯამური ოდენობა მიტიგაციის შემდგომ ფინანსური ინსტიტუტების გათვალისწინების გარეშე არ უნდა აღემატებოდეს ბანკის პირველადი კაპიტალის 15%-ს; 3. ბანკის მიერ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების ჯამური ოდენობა მიტიგაციის შემდგომ არ უნდა აღემატებოდეს ბანკის პირველადი კაპიტალის 23%-ს ; 4. ბანკის მიერ გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი რისკის პოზიციის მიტიგაციის შემდგომ 30%-ს. სექტორული კონცენტრაციის ლიმიტები შემდეგია: ვალდებულება ერთი ეკონომიკური სექტორის მიმართ არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი საკრედიტო პორტფელის 15%-ს; მშენებლობასთან დაკავშირებული სექტორების ვალდებულება არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი საკრედიტო პორტფელის 20%-ს. როცა ეკონომიკური სექტორები ანალიზდება პორტფელის ქვევისა და გარე ინფორმაციის საფუძველზე, ლიმიტის სისტემას რეგულარულად განიხილავს რისკების მართვის დირექტორატი, რათა სათანადოდ განიხილოს ეკონომიკური სექტორების რისკიანობა. კონცენტრაციის ლიმიტები განისაზღვრება და რეგულირდება საკრედიტო რისკის პოლიტიკით.

რესტრუქტურისაციისა და ამოღების დონისძიებები: ფინანსური სირთულეების მქონე მსესხებლების ვალდებულებების მართვისა და ვადაგადაცილებული პორტფელისთვის ბანკმა ჩამოაყალიბა შიდა პროცესები. დროებითი სირთულეების დასაძლევად ბანკმა მსესხებელს შეიძლება შესთავაზოს ინდივიდუალური გადაწყვეტები. რესტრუქტურისაციის მოთხოვნის ასეთი შემთხვევები შეიძლება გულისხმობდეს მსესხებლის საშეღავათო პერიოდის მიწოდებას ან გადახდის საწყისი განრიგის სხვაგვარად გადახედვას. თუმცა, ბანკი მსესხებლებს რესტრუქტურისაციას შესთავაზებს, თუ არის პერსპექტივა, რომ მსესხებელი ჯანსაღ მდგომარეობას დაუბრუნდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი დაიწყებს ამოღების პროცედურას. ბანკს ყოველთვის ურჩევნია მსესხებლისთვის მისაღებ გადახდის პირობებზე მოლაპარაკება, მაგრამ როცა

მსესხებელი და ბანკი მისაღებ პირობებზე ვერ შეთანხმდებიან, გირაოს აღება ან დაგირავებული უზრუნველყოფის აუქციონის გზით გაყიდვა ვადაგადაცილებული ვალდებულების ანაზღაურების ერთადერთ დარჩენილ შესაძლებლობად შეიძლება ჩაითვალოს. ამ სესხების რისკის კატეგორიებში სათანადო კლასიფიკაციის უზრუნველსაყოფად ვადაგადაცილებული და რესტრუქტურირებული პორტფელის მდგომარეობა რეგულარულად განიხილება. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როცა ჯგუფი ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას ამოწურავს და დასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ამოღების გონივრული მოლოდინის არარსებობის მაჩვენებელი ჩამოწერის დღის მდგომარეობით 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული დღეების და გირაოს არარსებობის ფაქტორებია. ბანკი იმ სესხებსაც ჩამოწერს, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ ვადაგადაცილებული ვალდებულების აღსრულების პროცესი დასრულებულია და ყველა არსებული უზრუნველყოფა აუქციონზე გაიყიდა ან დასაკუთრებულ იქნა. დარჩენილი არაუზრუნველყოფილი ვალდებულება ჩამოიწერება, მაშინაც კი, თუ ჩამოწერის მომენტში არ არსებობს ვალდებულების ვადაგადაცილებული ნაწილი. ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე, ჯგუფს შეუძლია ჩამოიწეროს ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულებას, როცა ჯგუფი ცდილობს ამოიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები, თუმცა, არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი, ან მოსალოდნელი ანაზღაურება დარჩენილ ვალდებულებასთან შედარებით უმნიშვნელოა.

გირაოს გაუფასურებასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი: საკრედიტო რისკის პოზიციის მართვა ხდება ნაწილობრივ, გირაოს, ასევე კორპორატიული და პერსონალური გარანტიების მოპოვებით საკრედიტო რისკების შესამცირებლად, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ გირაოს სახით შეიძლება შეიქმნას დამატებითი რისკები (სამართლებრივი, დოკუმენტაციის და ლიკვიდურობის რისკები), რამაც შეიძლება რისკის მიტიგაციის გავლენის მდგომარეობა გააუარესოს. გირაოს ლიკვიდაცია ამ პრობლემური ან შრომატევადია, როცა, მაგალითად, გირაოს არასათანადოდ შეფასება მოხდა (მაგ. ზედმეტად შეფასება). საკრედიტო რისკი ბანკმა შეიძლება განიცადოს ფართომასშტაბიანი გაუფასურების ან საკრედიტო პოზიციის უკან არსებული უზრუნველყოფის შეზღუდული აღსრულებადობის გამო. ეს არის რისკი იმისა, რომ საკრედიტო ინსტიტუტის მიერ გამოყენებული საკრედიტო რისკის შემცირების აღიარებული მეთოდები ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდეს.

საკრედიტო რისკის შერბილების მიზნით გამოიყენება გირაოს შემდეგი სახეობები: ყველა ტიპის უძრავი ქონება, მოძრავი ქონება, გარანტია, ინვენტარი, ნაღდი ფული და სხვა ფინანსური უზრუნველყოფა. დაკრედიტების პროცესების დროს ბანკის საკრედიტო პოლიტიკის საფუძველზე მოძრავი ქონება და სხვა სახის გირაო ასევე შეიძლება იყოს დაშვებული, მაგრამ ისინი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც დასაშვები უზრუნველყოფა კაპიტალის გამომანგარიშებისთვის და ECL-ის შეფასების პროცესში.

გირაოს პოტენციური ნარჩენი რისკის შესამცირებლად ბანკი ასევე არეგულირებს შეფასებების მომზადების პროცესებსა და მოთხოვნებს (შეფასების ფორმატი, შეფასების კონტროლი და ა.შ.), გაანგარიშებისას გირაოს საბაზრო ღირებულებაზე/დაკრედიტების პროცესში გირაოს დაფარვის გაანგარიშებულ ღირებულებაზე და პორტფელის მართვის დროს ბანკი იყენებს დისკონტებს. იურიდიული დეპარტამენტი რეგულარულად (მინიმუმ ყოველწლიურად) განიხილავს გირაოს ხელშეკრულების შაბლონს და ახალი რეგულირების გარემოს ან გირაოს მუშასობის გამოცდილების საფუძველზე საჭიროებისამებრ შეაქვს ცვლილებები. გირაოს მინიმალური დაფარვა (არაუზრუნველყოფილი პორტფელის მაქსიმალური რაოდენობა) დისკონტირებული ღირებულებების გამოყენებით განისაზღვრება თითოეული ტიპის კლიენტისთვის საკრედიტო პოლიტიკით. შემდგომი შეფასებები რეგულარულად კეთდება საკრედიტო რისკების მენეჯმენტის მიერ ნარჩენი რისკების გასაკონტროლებლად (რისკები

რისკის მიტიგაციის შემდეგ): - უზრუნველყოფის პორტფელის განაწილება უზრუნველყოფის ტიპების (ქვეტიპების) მიხედვით და უძრავი ქონების შემთხვევაში გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, რეგულარულად ანალიზდება და ექვემდებარება მონიტორინგს. გირაოს ტიპებისა და იურიდიული აგებულების მიხედვით გაანალიზებული უზრუნველყოფის ამოღებები, გირაოს დისკონტები რეგულარულად განიცდის უკუტესტირებას და განხილვას. შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული გირაო რეგულარულად ხელახლა ფასდება გარე შემფასებელი სააგენტოს მიერ და განიხილება მნიშვნელოვანი განსხვავებები.

რეზერვის შეფასება: 2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი აფასებს საკრედიტო რისკს და IFRS 9-ის მიხედვით ქმნის მოსალოდნელი დანაკარგების რეზერვებს. აქტივების და სხვა პირობითი ვალდებულებების დანაკარგების რეზერვები საკმარისი უნდა იყოს ბანკის საკრედიტო პორტფელში ყველა მოსალოდნელი დანაკარგის დასაფარად. ზარალის რეზერვის გამოთვლების ფარგლებში გაითვალისწინება რისკის შემდეგი ძირითადი პარამეტრები: (ა) კონტრაქტორის მხრიდან დეფოლტის (PD) ანუ მის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობა; ბ) მოსალოდნელი დანაკარგები კონტრაგენტის (LGD) და პოზიციის (EAD) დეფოლტის შემთხვევაში. საპროგნოზო ინფორმაცია შედის საბოლოო ECL (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის) შეფასებაში. IFRS9 ფინანსურ ინსტიტუტებს საშუალებას აძლევს უფრო ზუსტად შეაფასონ საკრედიტო ზარალის რეზერვები მომავალი პერსპექტიული ინფორმაციის შეტანის საშუალებით, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ECL შეფასების მიდგომა IFRS 9-ით გულისხმობს ECL-ის შეფასების პროცესში წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობების და მომავალი ეკონომიკური პირობების პროგნოზების გათვალისწინებას. ბანკმა შიდა გაუფასურების მოდელებში შეიტანა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური პროგნოზები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაანგარიშების პროცესის მართვა ფინანსური ანგარიშგების და რისკის ფუნქციებს შორისაა განაწილებული. IFRS9-ის მიხედვით, ყველა გამოყენებული პარამეტრისა და მნიშვნელოვანი დაშვების ვალიდაცია და უკუტესტირება ECL შეფასების პროცესის განუყოფელი ნაწილია. ჯგუფი რეგულარულად გადასინჯავს თავის მეთოდოლოგიას და დაშვებებს, რათა შემცირდეს რაიმე განსხვავება შეფასებებსა და რეალურ საკრედიტო დანაკარგს შორის. IFRS9-ის მიხედვით, ყველა გამოყენებული პარამეტრისა და მნიშვნელოვანი დაშვების ვალიდაცია და უკუტესტირება ECL შეფასების პროცესის განუყოფელი ნაწილია. ECL-ის გაანგარიშების მეთოდოლოგიის უკუტესტირების შედეგები ეცნობება ჯგუფის მენეჯმენტს და მოდელებისა და დაშვებების დახვეწის შემდგომი ნაბიჯები განისაზღვრება ავტორიზებულ პირებს შორის განხილვის შემდეგ.

2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა ჩაატარა IFRS 9-ის გაუფასურების მოდელში გამოყენებული დაშვებების, ზღვრებისა და რისკის პარამეტრების უკუტესტირება, რათა შეეფასებინა 2023 ფინანსური წლის პროგნოზების ადეკვატურობა, როგორც ეს IFRS9-ის გაუფასურების მოდელებით წინა წლის ბოლოს იყო შეფასებული. შესრულებული უკუტესტირების შედეგების საფუძველზე ცვლილებები საჭიროდ არ ჩაითვალა: ბანკის მიერ გამოყენებული მოდელები ECL-ს ადეკვატურად პროგნოზირებს.

სტრეს-ტესტირება. ბანკი აქტიურად ახორციელებს სტრეს-ტესტირებას და სცენარების ანალიზს, რათა შეამოწმოს მსესხებლების მდგრადობა სხვადასხვა სტრესის პირობებში. სტრეს-ტესტირების საშუალებით ტარდება არასასურველი მაკროეკონომიკური, ისევე როგორც ბანკის სპეციფიკური მოვლენების ზემოქმედების მონიტორინგი საზედამხედველო კაპიტალის ბუფერზე და ბანკის მუშაობაზე მთლიანად ან აგრეგირების სხვადასხვა დონეზე. სტრესტესტები რისკების შეფასების და მართვის ეფექტური მექანიზმია: ის ხელს უწყობს

კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებას და სასარგებლო არასახარბიელო ცვლილებებისას კაპიტალის დამატებითი ბუფერების შექმნის საჭიროების დასადგენად. სტრესტესტები სხვა მოვლენებთან ერთად ითვალისწინებს ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის ისეთ მოვლენებს, როგორცაა რეცესია, ვალუტის კურსის მერყეობა, დასაქმების დონის შემცირება; ასევე ბანკი ახორციელებს სექტორისთვის დამახასიათებელი სტრესტესტები, რომელშიც გათვალისწინებულია საექსპორტო ბაზრების დახურვა (პოლიტიკური რისკები), რამდენიმე დიდი პოზიციის დეფოლტი..

რისკის მონიტორინგი

პორტფელის ხარისხის შესახებ სათანადო ანგარიშების წარმოება - საკრედიტო რისკის მართვის ჯგუფი, თავის კონტროლის ფუნქციის ფარგლებში, რეგულარულად იცავს საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულ პორტფელის ხარისხს და დაკრედიტების ლიმიტებს და შემდეგ პორტფელის შესახებ ანგარიშების სახით წარუდგენს ბანკის მენეჯმენტს. პორტფელის შესახებ ანგარიში მოიცავს ინფორმაციას პორტფელის განაწილების შესახებ სარეიტინგო კლასების მიხედვით, ასევე ინფორმაციას ვადაგადაცილებული თანხების, სექტორების მიხედვით პოზიციების და HHI ინდექსის, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების (LGD) და დეფოლტის ალბათობის (PD) დინამიკის შესახებ და ა.შ. ფინანსური ანგარიშების და რისკების დეპარტამენტების თანამშრომლები საკრედიტო რისკის პოზიციის მონიტორინგის მიზნით ამზადებენ რეგულარულ ანგარიშებას კლიენტის ბიზნესის და ფინანსური შედეგების სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე. გაუარესებული გადახდისუნარიანობის მქონე კლიენტებთან დაკავშირებული რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ ინფორმაცია განსახილველად მიეწოდება რისკების კომიტეტს, დირექტორატს და სამეთვალყურეო საბჭოს. რეგულარულად ტარდება საკრედიტო პორტფელის საკრედიტო რისკის მონიტორინგი. მონიტორინგი მოიცავს სრულ შეფასებას რისკის მადის ლიმიტებთან მიმართებაში; პორტფელის გაზრდილი საკრედიტო რისკის მქონე სეგმენტების იდენტიფიცირებისთვის გამოიყენება საკვანძო რისკისა და ადრეული გაფრთხილების ინდიკატორები, უკუტესტირება, სტრეს ტესტირება და სხვა ინსტრუმენტები. საბჭოს დონის რისკების კომიტეტი ყოველკვარტალურად განიხილავს ბანკის სასესხო პორტფელის საკრედიტო რისკის პროფილს; პორტფელის ხარისხის განხილვის შეხვედრები იმართება სულ მცირე ყოველთვიურად და მასში მონაწილეობენ კომერციული დირექტორატისა და პრობლემური აქტივების მართვისა და სამართალწარმოების დეპარტამენტის წარმომადგენლები.

რისკის აპეტიტი

ბანკმა დანერგა საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ასახავს საკრედიტო რისკის კონტროლისა და მონიტორინგის პროცედურებს და ბანკის საკრედიტო რისკის მართვის სისტემებს. ისინი განიხილება ყოველწლიურად ან საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირად. საკრედიტო რისკის მადის შესახებ განცხადება და დამხმარე ლიმიტები, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მტკიცდება, ბანკს ეხმარება საკრედიტო რისკის მიტიგაციაში. განცხადება შედგება რაოდენობრივი ლიმიტებისაგან, რითაც კონტროლდება და მონიტორინგს გადის ბანკის პორტფელების საერთო ხარისხი.

ბაზრის რისკები

რისკის განსაზღვრება

საბაზრო რისკის პოზიციის წარმოიქმნება აქტივებსა და ვალდებულებებს შორის ვადის ან ვალუტის შეუსაბამობისგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ბაზრის რყევებს, შესაბამისად, საბაზრო რისკის ყველაზე გავრცელებული წყაროა საპროცენტო განაკვეთის რისკი და სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი იზრდება ღია ან არასრულყოფილად ჰეჯირებული პოზიციიდან, განსაკუთრებით გაცვლითი კურსის დონის მოულოდნელი ცვლილებების გამო,

რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის მონაწილის ადგილობრივ ან საანგარიშგებო ვალუტის ზარალი. ბანკის სავალუტო რისკი გამოითვლება, როგორც ღია პოზიციების ჯამი და ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულია მისი საზედამხედველო კაპიტალის 20%-მდე დონეზე დაცვა. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ინსტიტუტის მოგების და კაპიტალის მიმდინარე ან სამომავლო რისკი, რომელიც საპროცენტო განაკვეთის არასახარბიელო ცვლილებებითაა გამოწვეული. საკრედიტო ინსტიტუტის პერსპექტივიდან, საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოიშვას როგორც სავაჭრო პორტფელისგან, ისე საბანკო ტრანზაქციებისგან (ტრადიციული საკრედიტო/სადეპოზიტო და საინვესტიციო ტრანზაქციები).

ბანკისთვის დამახასიათებელი საპროცენტო განაკვეთის რისკებია:

- გადაფასების რისკი, რისკი რომელიც წარმოიშობა მისაღები შემოსავლების და გადასახდელი ხარჯების ვალიანობის სხვადასხვა სტრუქტურისგან, ასევე სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთების ან სხვადასხვა პერიოდებზე დაფუძნებული ფასწარმოქმნიდან; გადაფასების რისკი წარმოიშობა, როცა აქტივების და ვალდებულების ვალების სტრუქტურა არაა თანხვედრაში და როცა ფასწარმოქმნა სხვადასხვა ინტერვალში ან სხვადასხვა საფუძვლის მქონე საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება (მაგალითად, მისაღები შემოსავლები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და ვალდებულებები ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით).
- შემოსავლიანობის მრუდი, ანუ შემოსავლის მრუდის ფორმის და დახრილობის ცვლილებებით გამოწვეული რისკი.
-

საბაზრო რისკს ხაზინის დეპარტამენტთან და გენერალური რისკების მართვის დეპარტამენტთან კოორდინაციით მართავს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO). ALCO აწესებს ლიმიტებს საბაზრო რისკებზე ვალუტების მიხედვით და ყურადღებით აკვირდება ბანკის რისკის მადის ჩარჩოს შესაბამისობას. პოზიციები და რისკის მეტრიკა რეგულარულად მოწმდება სხვადასხვა სარწმუნო სცენარის მიხედვით. ხაზინის დეპარტამენტი მონიტორინგს ახორციელებს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან რეგულარული შეხვედრების საშუალებით. ამ შეხვედრების დროს ხაზინა თანამშრომლებისგან იღებს ექსპერტულ რეკომენდაციას თავიანთი სფეროების შესახებ, ახორციელებს ლიკვიდობის გეპების, სტრუქტურული საპროცენტო განაკვეთების პოზიციების ყოველდღიურ კონტროლს, და მართავს და აკონტროლებს უცხოური ვალუტის რისკის პოზიციას.

**რისკის
იდენტიფიცირება
და გაზომვა**

საბაზრო რისკის მართვა ცნება რისკის ქვეშ მყოფი ღირებულებას (VaR) ეფუძნება. გარკვეული საბაზრო პირობების გათვალისწინებით, VaR არის საორიენტაციო მაჩვენებელი პოტენციური დანაკარგების რაოდენობის დასადგენად, რომელიც საინვესტიციო პორტფელმა კონკრეტულ ვალებში შეიძლება განიცადოს. VaR მიდგომა მოითხოვს პორტფელის მუშაობის დაშლას მის შემადგენელ რისკ ფაქტორებად, რაც შესაძლებელს გახდის პოტენციური ზარალის ყოვლისმომცველ შეფასებას. სავალუტო რისკის გასაზომად ბანკი აფასებს საშუალო Bootstrap Value at Risk ნებისმიერ ვალუტაზე (10 დღიანი ვადა, 99% ნდობის დონე) და პორტფელის 10-დღიან VaR-ს.

საპროცენტო განაკვეთის რისკის შესამცირებლად და საპროცენტო განაკვეთის შოკის სცენარების ზემოქმედების შესაფასებლად, საპროცენტო განაკვეთის რისკი იზომება ცალკე NII (წმინდა საპროცენტო შემოსავალი) და EVE (კაპიტალის ეკონომიკური ღირებულება) ეფექტისთვის. NII სენსიტიურობა გამოითვლება საპროცენტო განაკვეთების პარალელური ცვლის დაშვებით. მგრძობელობის ანალიზი EVE-ზე კეთდება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების 6 სხვადასხვა

	<p>სცენარით (პარალელური ზემოთ, პარალელურად ქვემოთ, Steepener, Flattener, Short up და Short down.</p>
<p>რისკის მიტიგაცია</p>	<p>საბაზრო რისკის გაზომვისა და მართვისთვის ბანკმა ჩამოაყალიბა მოვალეობების გამოიჯნული საზი: უმაღლესი მენეჯმენტი პასუხისმგებელია საბაზრო რისკის ზედამხედველობაზე. უმაღლესი მენეჯმენტის ჩართვა უზრუნველყოფს ბანკის პოლიტიკისა და პროცედურების, მათ შორის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის (ALM), საპროცენტო რისკის როგორც გრძელვადიან, ისე ყოველდღიურ რეჟიმში მართვის ადეკვატურობას, ბიზნესის სტრატეგიულ გეგმებთან შესაბამისობას. საბაზრო რისკის ეფექტური ზედამხედველობა მოითხოვს, რომ სახაზინო დეპარტამენტმა შეინარჩუნოს რისკის აღების შესაბამისი ლიმიტები, რისკის გაზომვის ადეკვატური სისტემები და სტანდარტები, პოზიციის შეფასების სტანდარტები და შედეგების გაზომვა, საპროცენტო განაკვეთის რისკის ყოვლისმომცველი ანგარიშგება და მენეჯმენტის განხილვის პროცესი, ასევე ეფექტური შიდა კონტროლი.</p> <p>ბანკმა შეიმუშავა საბაზრო რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს საბაზრო რისკის შეზღუდვისა და კონტროლისთვის კონკრეტული ელემენტების იდენტიფიკაციას და განსაზღვრას. ALM პოლიტიკა განსაზღვრავს ALCO-ის პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების ხაზებს და ასევე იძლევა მიზნებს, საზღვრებსა და კრიტერიუმებს ლიკვიდობის გეპების ანალიზთან და ლიკვიდობის რისკის მართვასთან, დაფინანსებასთან და საბაზრო რისკის მართვის გადაწყვეტებთან დაკავშირებით.</p> <p>უცხოური ვალუტის მართვის პოლიტიკა იძლევა ინფორმაციას დღიური პოზიციის ლიმიტის და საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის შესახებ, რომელიც უდრის საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს. ვინაიდან ეს ლიმიტი ბევრად უფრო მკაცრია, ვიდრე ეროვნული ბანკის ლიმიტი, ლიმიტის მართვა ასე უნდა იქნას გაგებული: ყოველდღიურად, სავალუტო პოზიციის გახსნა შესაძლებელია 20%-მდე ეროვნული ბანკის ლიმიტამდე, მაგრამ მხოლოდ მაქსიმუმ 8 კალენდარული დღის განმავლობაში და თუ ტრანზაქციის თარიღისთვის ბანკს საკმარისი დამატებითი კაპიტალი აქვს ქვემოთ აღწერილი VaR-ის გამოყენებით გამოთვლილი ზარალის დასაფარად. 8 დღის შემდეგ ლიმიტი (5%) უნდა შენარჩუნდეს. პოზიციის გაანგარიშება ხორციელდება კომერციული ბანკების ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გამოანგარიშებისა და შენარჩუნების წესის შესაბამისად.</p>
<p>რისკის მონიტორინგი</p>	<p>საბაზრო რისკის ზედამხედველობა და კონტროლი ხორციელდება იმისთვის, რომ უზრუნველყოს ბანკის საპროცენტო განაკვეთის რისკისა და სავალუტო რისკის მართვის პოლიტიკის და პროცედურების როგორც გრძელვადიანი, ისე ყოველდღიური ადეკვატურობა და საბაზრო რისკის კონტროლის მკაფიო უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. ამ ლიმიტებთან შესაბამისობის შესახებ ასევე რეგულარულად ეცნობება დირექტორატს, პერიოდულად - სამეთვალყურეო საბჭოს და მის რისკების კომიტეტს. სავალუტო პოზიციები იმართება ბანკის უცხოური ვალუტის მართვის პოლიტიკის შესაბამისად. სავალუტო რისკების მონიტორინგი და კონტროლი თითოეული შესაბამისი უცხოური ვალუტით საბაზრო რისკების მართვის პასუხისმგებლობაა.</p>
<p>რისკის აპეტიტი</p>	<p>ბანკი ახორციელებს საპროცენტო და სავალუტო რისკის ანგარიშგებისა და განხილვის ყოვლისმომცველ პროცესს, ასევე ეფექტურ შიდა კონტროლს, ადგენს რისკის აღების შესაბამის ლიმიტებს, აყალიბებს ადეკვატურ სისტემებსა და სტანდარტებს რისკისა და შედეგების გაზომვის, პოზიციის შეფასების, ვადიანობის სხვაობის ხელახალი ღირებულებების შესაფასებლად. ლიმიტები დგინდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული რისკის მაღის ფარგლებში.</p>

<p>რისკის განსაზღვრება და მთავარი მამოძრავებლები</p>	<p>ლიკვიდობა არის ბანკის უნარი, ჯეროვნად შეასრულოს მისი ფინანსური ვალდებულებები ჩვეულებრივ ან სტრესულ პირობებში. ლიკვიდობა არის ბანკის უნარი, დააფინანსოს აქტივების ზრდა და შეასრულოს ვალდებულებები მათი ვადის დადგომისას ისე, რომ არ გასწიოს მიუღებელი დანაკარგები. ბანკების როლი მოკლევადიანი დეპოზიტების გრძელვადიან სესხებად ტრანსფორმაციის პროცესში, ბანკს თავიდანვე დაუცველად აქცევს ლიკვიდობის რისკის წინაშე, ეს კი მთლიანად ბაზრებზე ახდენს ზეგავლენას. ფაქტობრივად ყველა ფინანსური ტრანზაქცია ან ვალდებულება გავლენას ახდენს ბანკის ლიკვიდობაზე. ლიკვიდობის რისკის უფექტური მართვა ბანკს ეხმარება ფულადი ნაკადების მოძრაობის ვალდებულებების შესრულებაში. ამ ვალდებულებების ოდენობის წინასწარ ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან მათზე ზეგავლენას ახდენს გარე მოვლენები და ფინანსური ბაზრის სხვა აგენტების ქცევა.</p> <p>ლიკვიდობის რისკი ორი კომპონენტისგან შედგება:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაფინანსების ლიკვიდობის რისკი - რისკი იმისა, რომ ბანკი ვერ შეძლებს ახალი დაფინანსების მოზიდვას, რომელიც აუცილებელია ვალდებულებების დროულად შესრულებისთვის; • საბაზრო ლიკვიდობის რისკი - რისკი იმისა, რომ ბანკი ვერ შეძლებს გაყიდოს აქტივები/ფულადი ტრანსფორმაცია მნიშვნელოვანი ზარალის გარეშე.
<p>რისკის გამოვლენა და გაზომვა</p>	<p>ლიკვიდობის რისკის დეფინიციიდან ცხადი ხდება, რომ ეს რისკი დგება, როდესაც ბალანსის როგორც აქტივებიდან, ისე ვალდებულებებიდან მიღებული ლიკვიდობა ნაკლებია ლიკვიდობის საჭიროებაზე. ამდენად, ლიკვიდობის რისკის ძირითადი წყაროებია:</p> <p>საბაზრო რისკი - ბანკის აქტივების ღირებულების დაკარგვის რისკი საპროცენტო განაკვეთების, გაცვლითი კურსის, ფასიანი ქაღალდების და სხვადასხვა საქონლის საბაზრო ფასების რყევების გამო, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ამ აქტივებიდან ლიკვიდობის წარმოქმნის ნაკლებ პოტენციალს (გაყიდვის ან რეპოს გზით). საკრედიტო რისკი - რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი სრულად არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფინანსურ ვალდებულებას. ამას პირდაპირი ზეგავლენა ექნება მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე და, შესაბამისად, ლიკვიდობაზე, გაზრდილი საკრედიტო რისკი არის იმპულსი დაფინანსების პროვაიდერებისთვის, რათა შეამცირონ/გაზარდონ დაფინანსება, ან საერთოდ უარი თქვან მის უზრუნველყოფაზე.</p> <p>საოპერაციო და შესაბამისობის რისკები - ფულად ნაკადებზე პირდაპირი ზემოქმედების გარდა, არსებობს კონტრაგენტების მხრიდან ნდობის დაკარგვის რისკი (რეპუტაციის რისკის ელემენტები) თანამდევი მოვლენებით.</p> <p>ლიკვიდობის/დაფინანსების რისკის შესაფასებლად ბანკი ეყრდნობა რიგ მარეგულირებელ და შიდა საზომს: მან შეიმუშავა ლიკვიდობის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესის ჩარჩო ლიკვიდობისა და დაფინანსების მართვასთან დაკავშირებული პროცესებისა და ლიმიტის სისტემების დეტალური განმარტებით.</p>
<p>რისკის მიტიგაცია</p>	<p>ბაზისბანკი ლიკვიდობისა და დაფინანსების რისკებს ALM პოლიტიკისა და ლიკვიდობის მართვის წესის შესაბამისად მართავს, სადაც განსაზღვრულია ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებული დეტალური პროცესები და ლიმიტების სისტემა. ლიკვიდობის ყოველდღიური მართვა ხაზინის პასუხისმგებლობაა, კონტროლი და ALCO-სთვის ანგარიშგება კი აქტივ-პასივების მართვის პასუხისმგებლობა. ლიკვიდობის რისკი ILAAP-ის ფარგლებში ფასდება.</p> <p>ლიკვიდობის მართვის პროცესი გულისხმობს ლიკვიდობის მოთხოვნების დადგენას და რეგულარულ ხელახალ შეფასებას ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურისა და ზოგადი საბაზრო პირობების გათვალისწინებით; ლიკვიდობის რისკის შესაბამისი ლიმიტების შემუშავებას და კონტროლს; დაფინანსების სტრუქტურისა და შესაბამისი მოცულობის, სახსრების მოზიდვის შესაძლებლობების და ა.შ. საკითხებს, ლიკვიდობისა და ფონდების მართვის პრინციპების შემუშავებას და მონიტორინგს; ლიკვიდობის პროგნოზირებას ნორმალურ ბიზნეს პირობებში და სტრესულ სცენარებში;</p>

საგანგებო სიტუაციების გეგმის შემუშავებას, რომელმაც ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს საგანგებო სიტუაციებში ლიკვიდობის დეფიციტის აღმოფხვრის სტრატეგიები.

დაფინანსების სხვადასხვა წყაროს სტაბილურობისა და ღირებულების დაბალანსებით ბანკი ცდილობს ვალდებულებების უწყვეტ ოპტიმიზაციას. ამ მიზნის მისაღწევად, ბანკის სტრატეგია არის ეფექტური დივერსიფიცირებული დაფინანსების წყაროების და დაფინანსების ვადების ქონა. ყველა თავის ძირითად დაფინანსების პროვაიდერთან (როგორც საბითუმო, ისე საცალო) ბანკი მჭიდრო ურთიერთობებს ინარჩუნებს, რათა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს დამატებითი სახსრების მოზიდვა, სტრუქტურის პირობებში გადინების თავიდან აცილების/შემცირების მიზნით.

ბანკის ძირითადი დაფინანსების წყაროა არაუზრუნველყოფილი საცალო და არაუზრუნველყოფილი საბითუმო დაფინანსება. დაფინანსების ძირითადი წყაროების გარდა, ბანკი იყენებს/შეიძლება გამოიყენოს დაფინანსების ალტერნატიული წყაროები, როგორცაა დაფინანსება მშობელი კომპანიისგან, სავალო ინსტრუმენტების გამოშვება, აქტივების რეალიზაცია.

ლიკვიდობის/დაფინანსების რისკის შესაფასებლად ბანკი ეყრდნობა რიგ საზედამხებელო და შიდა მეტრიკას, ესენია: პროგნოზირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება, საკონტრაქტო/ქვევითი/სტრუქტურის გეპის სცენარები, გარებალანსური ვალდებულებების გამოყენება, (კუმულაციური ვადიანობის შესაბამისობის ლიმიტი, ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR), წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR)).

ბანკში ლიკვიდობის რისკის კონტროლის სისტემა ეფუძნება უფლებამოსილებების გამიჯვნას და ლიმიტების სისტემას. კონტროლის სისტემა აგებულია დაცვის სამი ხაზის პრინციპზე. წინა ხაზის დეპარტამენტები მოქმედებენ როგორც დაცვის პირველი ხაზი, მართავენ რისკებს მათთვის დაწესებული ლიმიტებისა და უფლებამოსილებების ფარგლებში. რისკის მართვის ფუნქცია, IT რესურსები და ანგარიშგება, როგორც დაცვის მეორე ხაზი, პასუხისმგებელია რისკის მართვისა და კონტროლის ჩარჩოს შექმნაზე/დანერგვაზე, დადგენილ ლიმიტებთან, პროცედურებთან და პოლიტიკასთან შესაბამისობის მონიტორინგზე. შიდა აუდიტი, როგორც დაცვის მესამე ხაზი, ანგარიშვალდებულია აუდიტის კომიტეტის წინაშე და ატარებს რისკის მართვისა და კონტროლის სისტემის დამოუკიდებელ შეფასებას.

დაფინანსების ლიკვიდობის რისკის სამართავად, ბანკი ამჟამად ბაზელ III-ზე დაფუძნებულ შემდეგ პარამეტრებს იცავს:

- ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR): მარეგულირებლის მეტრიკა, რომლის მიზანია სტრუქტურის მიმართ ბანკის მოკლევადიანი გამძლეობის გაზრდა, კერძოდ, ბანკი უნდა ფლობდეს მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების საკმარის რაოდენობას, რათა შეძლოს 30 დღიანი სტრუქტურის დაძლევა.
- წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR): მარეგულირებლის მეტრიკა, რომელიც მიზნად ისახავს ლიკვიდობის საშუალო და გრძელვადიანი რისკის შეფასებას. კოეფიციენტი გამოითვლება როგორც ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსების თანაფარდობა სტაბილური დაფინანსების საჭიროებასთან.

ბანკი დამატებით ითვლის და აკონტროლებს ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტის შიდა ბუფერულ მოთხოვნას, რომელიც ემატება LCR-ზე მარეგულირებლის მინიმალურ მოთხოვნას. ბუფერის დანიშნულებაა უზრუნველყოს LCR კოეფიციენტის დაცვა მოულოდნელი რყევებისგან, რაც ასევე შეესაბამება ბანკის რისკის მადის მოთხოვნებს. ლიკვიდობის ბუფერი ამ

**რისკის
მონიტორინგი**

სტრატეგიის მოკლევადიანი ნაწილის რეალიზაციაა. ლიკვიდობის ბუფერი მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტის წინააღმდეგ პირდაპირი ჰეჯირებაა. სტრესის პირობებში პოტენციური ლიკვიდობის დეფიციტზე მოკლევადიანი რეაგირება შეიძლება სხვა არაფერი იყოს, გარდა ლიკვიდური აქტივების ფულად გადაქცევისა. ლიკვიდური ბუფერი მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივებისგან შედგება. მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების განმარტება იგივეა, რაც სეზ-ის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის ანგარიშგებაში. ლიკვიდობის ბუფერი დაკალიბრებულია სტრეს ტესტის შედეგების მიხედვით და მისი მოცულობა უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ბანკის მინიმალური გადარჩენის პერიოდი, რომელიც განისაზღვრება მოცემული სტრესული სცენარების მიხედვით რისკის მადის მიხედვით. ლიკვიდურობის გეპის შევსების საერთო შესაძლებლობამ მინიმალური გადარჩენის პერიოდის შემდეგ ბანკის გადახდისუნარიანობა უნდა უზრუნველყოს.

ლიკვიდობის გაზრდილი რისკის დამატებითი ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნების მონიტორინგის მიზანი ლიკვიდობისა და დაფინანსების პოზიციების პოტენციური სისუსტეების დროული გამოვლენაა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას რისკის მადით განსაზღვრული სტრატეგიის შესრულებას. ასეთი სისუსტეების გამოვლენა იწვევს საკითხის ესკალაციას, რასაც საჭიროების შემთხვევაში უნდა მოჰყვეს შესაბამისი მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება (საგანგებო/რეაბილიტაციის გეგმის ფარგლებში).

ILAAP-ის ფარგლებში, დაფინანსების წყაროების კონცენტრაციით გამოწვეული დაფინანსების პროფილის სტაბილურობის რისკების შესაფასებლად, ბანკი აკეთებს დაფინანსების პროფილის სტაბილურობის შეფასებას, ბაზარზე დაშვების რისკების შეფასებას, დაფინანსების გეგმის მიხედვით დაფინანსების რისკის პროფილის პოტენციური ცვლილების შეფასებას. ბანკისთვის საბითუმო დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის რისკი მჭიდროდ უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორიცაა გადაჭარბებული მოკლევადიანი ლიკვიდობის რისკი, მაღალი/გაურკვეველი საკრედიტო რისკის მქონე პორტფელი, დამდგარი ან ადქმული მაღალი საოპერაციო რისკი, სამართლებრივი რისკი, გაურკვეველი სტრატეგია, საკრედიტო რეიტინგის გაუარესების შესაძლებლობა.

თითოეული ლიმიტის/მიზნის დარღვევისთვის ბანკმა ჩამოაყალიბა შესაბამისი ესკალაციის პროცედურა. ბანკის ლიკვიდურობის დეფიციტის შევსების შესაძლებლობა შეიძლება განიმარტოს, როგორც ბანკის გეგმა, პოტენციურ სტრესულ სცენარებს უპასუხოს ნორმალური ბიზნეს გარემოსთვის ჭარბ ლიკვიდობაზე წვდომით მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში. გარღვევის შევსების შესაძლებლობები, გარდა ლიკვიდური აქტივებისა, შეიძლება გულისხმობდეს ბანკის გეგმას პროგნოზირებული ლიკვიდობის გამომუშავების მიზნით, მოიზიდოს ახალი სახსრები, არსებულ ბიზნესში შეიტანოს ცვლილებები ან გაატაროს სხვა უფრო ძირეული ღონისძიებები. უპირველეს ყოვლისა, გეპის შევსების შესაძლებლობა ბანკის მიერ მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში განსახორციელებელი სტრატეგიაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბანკის მიერ საგადახდო ვალდებულებების შესრულება.

<p>რისკის აპეტიტი</p>	<p>ბანკმა შეიმუშავა ლიკვიდობის ლიმიტების/მიზნების ჩარჩო, რომელიც ადეკვატურად ასახავს ბანკის ბიზნეს მოდელს, სირთულეს და სხვადასხვა მატერიალურ რისკ ფაქტორს. ამ ჩარჩოს მიზანია უზრუნველყოს დაფინანსების დივერსიფიცირებული სტრუქტურა და საკმარისი ხელმისაწვდომი ლიკვიდობის ბუფერი. ლიმიტებს რისკების ერთეულის წარდგენის საფუძველზე ადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი. რისკის ლიმიტების დაკალიბრება და რისკის მადასთან შესაბამისობა რეგულარულად კონტროლდება სტრეს ტესტების შედეგების გათვალისწინებით.</p>
------------------------------	--

<p>რისკის განსაზღვრება და მთავარი მამოძრავებლები</p>	<p>კაპიტალის რისკი არის ბიზნეს მიზნების ან მარეგულირებლის მოთხოვნების შეუსრულებლობის რისკი ნორმალური ან სტრესულ სცენარებში არასაკმარისი კაპიტალის გამო. მენეჯმენტის მიზნები კაპიტალის მართვის თვალსაზრისით არის კაპიტალის შესაბამისი დონის შენარჩუნება ბიზნეს სტრატეგიის მხარდასაჭერად, მარეგულირებლის და სტრეს ტესტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. დამატებითი კაპიტალის მოხმარების სხვადასხვა სცენარის მიხედვით დასათვლელად ბანკი ატარებს სტრეს-ტესტირებას და სენსიტიურობის ანალიზს. ბანკის მენეჯმენტის ჩართულობით კაპიტალის პროგნოზები, ასევე სტრეს-ტესტირების შედეგები და „რა მოხდება, თუ“ ტიპის სცენარები აქტიურად მონიტორინგდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას კაპიტალის გონივრული მართვა და საჭიროების შემთხვევაში დროული ქმედებები. 2024 წელს ჯგუფმა და ბანკმა საზედამხედველო კაპიტალის ყველა მოთხოვნა შეასრულეს.</p>
<p>რისკის გამოვლენა და გაზომვა</p>	<p>ბაზელის ჩარჩოს მეორე პილარის ფარგლებში ბანკმა შეიმუშავა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესი (ICAAP). ICAAP წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტის თვითშეფასებას ბიზნესის წარმართვისთვის საჭირო კაპიტალის შესახებ.</p> <p>ბანკის ICAAP ჩარჩო სრულად შეესაბამება მისი საქმიანობის ზომას, სირთულეს და რისკის პროფილს და შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:</p> <p>რისკის სტრატეგიის განმარტება: რისკის სტრატეგია გამომდინარეობს ბანკის ბიზნეს სტრატეგიიდან, მოიცავს ბანკის რისკის მადას და რისკის მართვის ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს რისკების სათანადო კონტროლს.</p> <p>რისკის შესაბამისი ტიპების იდენტიფიკაცია, გაზომვა და კონტროლი: ICAAP-ის ჩარჩოს მიხედვით, ბანკი განსაზღვრავს ყველა შესაბამის რისკს და რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინსტრუმენტებს ამ რისკებისადმი მისი ზემოქმედების შესაფასებლად. ამ ძალისხმევის მიზანია დაწესებულების საკუთარი გათვლების საფუძველზე შეფასდეს ბანკის რისკების დასაფარად საჭირო კაპიტალის (ან ლიკვიდობის) ადეკვატური დონე. კაპიტალის ეს დონე (და ლიკვიდობის საჭიროება) პირველი პილარის კაპიტალის გაანგარიშებით გამოთვლილისაგან შეიძლება განსხვავდებოდეს.</p> <p>სტრეს-ტესტირება: სტრეს-ტესტირების ჩარჩო შემუშავებულია გამონაკლისი, მაგრამ შესაძლო ზემოქმედების მიმართ ბანკის მოწყვლადობის შესაფასებლად.</p> <p>კაპიტალის დაგეგმვა: კაპიტალის დაგეგმვა სტრატეგიული დაგეგმვის ნაწილია და გულისხმობს კაპიტალის მოთხოვნების პროგნოზირებას ICAAP-ის ჩარჩოს მიხედვით, მათ შორის გარე მოვლენების, შიდა მმართველობის ჩარჩოს/შიდა უსაფრთხოების ხაზების შესაძლო ეფექტებს: ICAAP ასევე შედგება სათანადო შიდა და რისკის მართვის ჩარჩოს შესახებ გაიდლაინებისგან.</p>
<p>რისკის მონიტორინგი</p>	<p>ბანკი ექვემდებარება სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის რეგულაციას, რომელიც ეფუძნება ბაზელ III-ის სახელმძღვანელო პრინციპებს. კაპიტალის ამჟამინდელი მოთხოვნები მოიცავს პირველი პილარის მოთხოვნებს, კომბინირებულ ბუფერს (კონსერვაციის ბუფერი) და მეორე პილარის ბუფერებს (კონცენტრაცია, რისკის ზოგადი შეფასების პროგრამა (GRAPE), ვალუტით გამოწვეული საკრედიტო რისკი (CICR), საკრედიტო რისკის კორექტირება (CRA) და სტრესის ტესტის ბუფერი - ამჟამად ნული).</p> <p>ბიზნესისთვის დამახასიათებელი რისკების შესამცირებლად ბანკი ინარჩუნებს აქტიურად მართულ, მტკიცე კაპიტალის ბაზას. კაპიტალის ადეკვატურობის მართვის შიდა ჩარჩოს ფარგლებში, არახელსაყრელ ეკონომიკურ პირობებში და ბაზრისა და მარეგულირებელი მოვლენების პირობებში საკუთარი პოზიციის გამოსაცდელად ბანკი მუდმივად აკონტროლებს საბაზრო პირობებს და ატარებს</p>

	<p>სტრეს-ტესტებს. ბანკების უნარზე შეასრულოს ეროვნული ბანკის არსებული ან შეცვლილი მოთხოვნები შეიძლება გავლენა იქონიოს როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებმა, მათ შორის ბანკის კონტროლს გარეთ, მაგალითად ასეთია: რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ზრდა, აქტივების ხარისხის გაუარესების შედეგად მიღებული ზარალი, კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობა, ხარჯების შემცირება და/ან გაზრდა და ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება. ამიტომ, კაპიტალის სტრუქტურის ანალიზისა და კაპიტალის დაგეგმვა ბანკისთვის პრიორიტეტულია ბიზნეს გეგმის მხარდასაჭერად.</p>
<p>რისკის აპეტიტი</p>	<p>კაპიტალის დაგეგმვა ბიზნეს დაგეგმვის ნაწილია, რომელიც სრულდება ბიზნეს გეგმისა და ბიუჯეტის მომზადების პროცედურის საფუძველზე. თითოეული მატერიალური რისკის ტიპისთვის კაპიტალის დაგეგმვას რისკის მფლობელები ახორციელებენ და შემდეგ აჯამებს რისკის დირექტორატი, კაპიტალის დაგეგმვას განსაზღვრული სტრესული სცენარების გამოყენებით ასევე ამზადებს რისკის დირექტორატი. ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, ბანკის საწარმოთა რისკის მართვის ფუნქცია კაპიტალის განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ნაწილია, კერძოდ, ეფექტურობის უზრუნველყოფა გულისხმობს კაპიტალის გამოყენების ოპტიმიზაციას მისი რისკის პოზიციის დონის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს პოტენციური ზარალის დასაფარად საკმარისი კაპიტალის გამოყოფას.</p>
<p>ფინანსური დანაშაულის რისკი</p>	
<p>რისკის განსაზღვრება</p>	<p>ფინანსური დანაშაულის რისკი გულისხმობს უკანონო ქმედების ხელშეწყობას, ნებით თუ უნებლიედ, როგორცაა ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება, სანქციებისთვის თავის არიდება, მექრთამეობა და კორუფცია.</p>
<p>რისკის მთავარი მამოძრავებლები</p>	<p>ფინანსური დანაშაულის რისკების ძირითადი წყაროებია:</p> <ul style="list-style-type: none"> - დამახასიათებელი რისკი, რომელიც დაკავშირებულია პროდუქტებთან, სერვისებთან და მიწოდების არხებთან; - რისკების მიუღებელი დონის მქონე კლიენტების ბიზნეს საქმიანობა; - არაადეკვატური პროცესები და კონტროლი რისკების იდენტიფიცირებისა და შემცირებისთვის.
<p>რისკის გამოვლენა და შეფასება</p>	<p>რისკის მართვის პროცესი გულისხმობს რისკების იდენტიფიკაციას, რომელიც დაცვის პირველი და მეორე ხაზების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად რეგულარულად ხორციელდება. რისკების შეფასება ეფუძნება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემებს და კონტროლის ადეკვატურობის შეფასებას. გამოვლენილი და შეფასებული რისკების შედეგები რეგულარულად ეცნობება მენეჯმენტს.</p>
<p>რისკის მიტიგაცია</p>	<p>ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლა და მოქმედი კანონებისა და რეგულაციების დაცვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ფინანსური სისტემის სტაბილურობისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად. კომპლექსური ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობისა და რეგულაციების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ბანკი მუდმივად ავითარებს ფინანსური დანაშაულის რისკების მართვას და შესაბამისობაში მოჰყავს მიმდინარე მოვლენებთან და გამოწვევებთან.</p> <p>ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ბანკის სტრატეგიისა და რისკებისადმი მიდგომის ცენტრალური ნაწილია. ბაზისბანკი მოწოდებულია ებრძოდეს ფინანსურ დანაშაულს, შექმნას და ფინანსური დანაშაულის რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და შემცირების მიზნით განახორციელოს ფინანსური დანაშაულის რისკების მართვის პროგრამა (AFC პროგრამა). AFC პოლიტიკა ადგენს ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს პოტენციური</p>

შესაბამისობის, რეგულაციური და რეპუტაციული რისკების შესამცირებლად, რომლებიც დაკავშირებულია ფულის გათვრებისა და ტერორიზმის დაფინანსების (AML/CTF), საერთაშორისო სანქციების, მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის (ABC) შესახებ კანონების, რეგულაციების და საერთაშორისო სტანდარტების შესაძლო დარღვევებთან.

AFC პროგრამის ძირითადი დებულებებია:

- AFC-ის თანმხლები რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, მართვისა და შემცირების მიზნით ბანკი ავითარებს და ინარჩუნებს AFC რისკის საფუძვლიან შეფასებას. რისკის შემცირების ღონისძიებები შემუშავებულია და ხორციელდება რისკების ადეკვატურად და ეფექტურად გასაკონტროლებლად. ნარჩენი რისკები იმართება ბანკის რისკის აპეტიტის შესაბამისად.
- AFC რისკის შეფასების და რისკის აპეტიტის შესაბამისად, ბანკი განსაზღვრავს და ახორციელებს კლიენტების მიღების პოლიტიკას, რომელიც ასახავს კლიენტების აკრძალულ და შეზღუდულ ტიპებსა და საქმიანობას.
- სამეთვალყურეო საბჭო ნათლად აცნობიერებს AFC-ის რისკებს, აკონტროლებს AFC-ის რისკის მართვის პროგრამას და მის ეფექტურობას; და პასუხისმგებელია ზედამხედველობის შესაბამისი ტონის დადგენაზე.
- სამეთვალყურეო საბჭო დირექტორატს, მენეჯმენტსა და AFC გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს მკაფიო როლებსა და პასუხისმგებლობებს უნაწილებს. დირექტორატი AFC პროგრამის მენეჯმენტთან დაკავშირებით ნიშნავს შესაბამისი ღონის პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილების მქონე პერსონალს და უზრუნველყოფს საკმარის რესურსებს.
- AFC რისკის ეფექტური მართვისთვის ბანკი განსაზღვრავს და ახორციელებს AFC-ის ოპერაციულ მოდელს, რომელშიც შედის დაცვის სამ ხაზზე განლაგებული შიდა ორგანიზაცია, როლებითა და პასუხისმგებლობებით.
- ბანკი უზრუნველყოფს AFC-ის ძლიერი და ეფექტური პროგრამის განხორციელებას, რომელიც მოიცავს:
 - მარეგულირებელი ზედამხედველობა ახალ ან განახლებულ რეგულაციებზე, ინდუსტრიის სტანდარტებსა და ტენდენციებზე;
 - დოკუმენტირებული და სათანადოდ დამტკიცებული პოლიტიკა, პროცედურები და მეთოდოლოგია;
 - ეფექტური კონტროლის პროცესები თითოეულ ძირითად მოთხოვნაზე, ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემებით;
 - კომპანიის ძლიერი კულტურა, AFC თემებზე საბჭოსგან, AML& სანქციებთან შესაბამისობის დეპარტამენტისა და შესაბამისობის განყოფილებისგან მუდმივი კომუნიკაცია, AFC-ის ყველა რისკისა და მოთხოვნის თემებზე რეგულარული სატრენინგო პროგრამა;
 - დაცვის მეორე ხაზის მიერ განხორციელებული ხარისხის უზრუნველყოფისა და ტესტირების მეშვეობით ძირითადი პროცესებისა და კონტროლის მონიტორინგი;
 - დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად საკითხების შესაბამის ფუნქციებსა და კომიტეტებთან ანგარიშგება და ესკალაცია;
 - დაცვის მესამე ხაზის მიერ რეგულარული აუდიტი, ყველა დამახასიათებელი AFC რისკის გათვალისწინებით; და
 - - დოკუმენტბრუნვის ადეკვატური პროცესები, ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად.

რისკის მონიტორინგი

ბანკს დანერგილი აქვს შიდა ორგანიზაცია და სისტემები, რომლებიც მისი ზომის, საქმიანობისა და სირთულის, ასევე AFC რისკების ადეკვატურია. შიდა კონტროლის სისტემა მოიცავს მინიმუმ შემდეგს:

- ყველა შესაბამისი მხარისთვის „იგნობდე შენს კლიენტს“ (KYC) ინფორმაციის მიწოდების და შენახვის სისტემები;
- მომხმარებელთა რისკის შეფასების შესრულებისა და შენარჩუნების სისტემები;

- სისტემები, რომლებიც AML/CTF და საერთაშორისო სანქციების თვალსაზრისით ამოწმებს კლიენტებს და შესაბამის მხარეებს;
- გარიგებებისა და ტრანზაქციების შემოწმების სისტემები AML/CTF და საერთაშორისო სანქციების თვალსაზრისით, სანქციების გვერდის ავლის ჩათვლით;
- მომხმარებელთა საქმიანობის მონიტორინგის სისტემები AML/CTF და საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლის თვალსაზრისით (აქტივობის მონიტორინგი a-priori ან post-factum);
- სისტემები, რომელიც უზრუნველყოფს შემთხვევების მოხსენებას და მართვას პირველი და მეორე ხაზის დაცვასა და AML/CTF შესაბამისობის დეპარტამენტს შორის და AML შესაბამისობის ხელმძღვანელსა და შესაბამის ორგანოებს შორის;
- კომპანიის მასშტაბით ბიზნესის რისკის შეფასების სისტემა;
- ხარისხის უზრუნველყოფისა და ტესტირების შეგროვებისა და შენარჩუნების სისტემები.

<p>რისკის აპეტიტი</p>	<p>ბაზისბანკმა ფინანსური დანაშაულის მიმართ ჰოლისტიკური მიდგომა შეიმუშავა და შექმნა ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის (AFC) ჩარჩო, რათა თავიდან აიცილოს და შესაბამისი კონტროლი დააწესოს შემდეგი ძირითადი რისკის სფეროებზე: ფულის გათეთრება (ML) და ტერორიზმის დაფინანსება (TF); საერთაშორისო სანქციებთან და ემბარგოებთან შესაბამისობა და გვერდის ავლის მცდელობები; მექრთამეობა და კორუფცია; თაღლითობა და ინტერესთა კონფლიქტი. ბანკის რისკის აპეტიტი მოიცავს შიდა კონტროლისა და ზომების შემუშავების, განახლებისა და განხორციელების უწყვეტ პროცესებს ფინანსური დანაშაულის რისკის ხსენებული ტიპების გამოვლენის, თავიდან აცილებისა და შერბილების მიზნით და მაღალრისკიან მომხმარებლებსა და ტრანზაქციებზე მეტი კონტროლის გამოყენებით. ეს კომბინირებული მიდგომა ბანკს საშუალებას აძლევს უკეთ გაიზაროს მათი რისკის შემოქმედება და პრიორიტეტულად მიიჩნიოს მენეჯმენტის ამ თემებზე ფოკუსი.</p> <p>AFC ჩარჩოს შესაბამისად, ბაზისბანკი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობისადმი ნულოვანი ტოლერანტობის მიდგომას იყენებს, მათ შორის იგულისხმება საგადასახადო დანაშაულები, მექრთამეობა, კორუფცია, სერიოზული თაღლითობა და ადგილობრივი რეგულაციებისა და FATF-ის მიერ განსაზღვრული ყველა ძირითადი დანაშაული.</p> <p>ჩვენ მზად ვართ დავიცვათ გაეროს, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების სანქციები. ბანკი ინარჩუნებს ნულოვანი ტოლერანტობას კლიენტის ან კონტრაგენტის ურთიერთობა დაამყაროს ან შეინარჩუნოს რომელიმე შემდგომ ჩამოთვლილ სიაში მითითებულ სუბიექტთან ან ფიზიკურ პირთან ან სადაც სხვაგვარად აკრძალულია ადგილობრივი კანონით ან რეგულაციებით. ბანკს ასევე არ აქვს აპეტიტი განახორციელოს ტრანზაქციები ან სხვა სახის საქმიანი ურთიერთობა რომელიმე ასეთ სუბიექტთან ან ფიზიკურ პირთან. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ბანკმა დანერგა ავტომატური ინსტრუმენტი, რომელიც კლიენტებისა და ტრანზაქციების საერთაშორისო სანქციების OFAC, UN, EU, UK და სხვა შესაბამის სიებში რეალურ დროში შემოწმებას უზრუნველყოფს.</p>
------------------------------	---

შესაბამისობის რისკი

<p>რისკის განსაზღვრება</p>	<p>შესაბამისობის რისკი შეიძლება განისაზღვროს, როგორც პოტენციური საფრთხე ან რეალური საფრთხე, რომელიც წარმოიშობა ბანკისთვის, მოქმედი კანონების, რეგულაციების, პოლიტიკების ან სტანდარტების შეუსრულებლობით. შესაბამისობის არარსებობიდან გამომდინარე რისკი არის „სამართლებრივი ან მარეგულირებლის სანქციების, მატერიალური ფინანსური ზარალის ან რეპუტაციის დაკარგვის რისკი, რაც ბანკმა შეიძლება მიიღოს მის</p>
-----------------------------------	---

	<p>საქმიანობასთან დაკავშირებული კანონების, რეგულაციების, წესების, თვითრეგულირების ორგანიზაციული სტანდარტებისა და ქვევის წესების შეუსრულებლობის გამო (კანონებთან, წესებთან და სტანდარტებთან შესაბამისობა)“.</p> <p>„ბაზისბანკი“, როგორც კომერციული ბანკი, ოპერირებს კომპლექსურ და ცვალებად მარეგულირებელ გარემოში, სადაც შესაბამისობის რისკი წარმოიშობა ბანკის საქმიანობის ყველა შესაბამის სამართლებრივ და მარეგულირებელ მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანის სირთულეებიდან გამომდინარე.</p> <p>ბანკი აიდეტიფიცირებს შემდეგ არსებით რისკებს, რომლებიც წარმოიქმნება შესაბამისობის უარყოფის/დაუცველობის გამო:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამართლებრივი და მარეგულირებლის ჯარიმების რისკი <p>შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ჯარიმები, სანქციები და მარეგულირებელი ორგანოების მიერ დაწესებული სამართლებრივი ქმედებები, როგორცაა: შეზღუდვები, სპეციალური ღონისძიებები, ხელმოწერის უფლებამოსილების შეჩერება და ა.შ.</p> <ul style="list-style-type: none"> • ფინანსური ზარალი <p>ჯარიმებმა, იურიდიულმა მოსაკრებლებმა და შესაბამისობაში არსებული საკითხების გამოსწორებასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა შეიძლება გამოიწვიოს ბანკისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი. გარდა ამისა, შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ბიზნეს ოპერაციების შეფერხება, რაც გავლენას მოახდენს შემოსავალზე.</p> <ul style="list-style-type: none"> • რეპუტაციული ზიანი <p>შესაბამისობის დაუცველობამ შეიძლება შელახოს ბანკის რეპუტაცია. ნეგატიურმა პიარმა, მომხმარებელთა ნდობის დაკარგვამ და ბრენდის იმიჯის დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი შედეგები და გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ლოიალობაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> • გაძლიერებული შემოწმება <p>შესაბამისობის დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს მარეგულირებლის კონტროლისა და მონიტორინგის გაძლიერება, რაც ბანკს გაუზრდის საზედამხედველო ტვირთს და მოითხოვს დამატებით რესურსებს შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.</p>
<p>რისკის მთავარი მამოძრავებლები</p>	<p>ჯარიმებმა, იურიდიულმა მოსაკრებლებმა და შესაბამისობაში არსებული საკითხების გამოსწორებასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა შეიძლება გამოიწვიოს ბანკისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი. გარდა ამისა, შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ბიზნეს ოპერაციების შეფერხება, რაც გავლენას მოახდენს შემოსავალზე.</p> <ul style="list-style-type: none"> • რეპუტაციული ზიანი <p>შესაბამისობის დაუცველობამ შეიძლება შელახოს ბანკის რეპუტაცია. ნეგატიურმა პიარმა, მომხმარებელთა ნდობის დაკარგვამ და ბრენდის იმიჯის დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი შედეგები და გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ლოიალობაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> • გაძლიერებული შემოწმება <p>შესაბამისობის დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს მარეგულირებლის კონტროლისა და მონიტორინგის გაძლიერება, რაც ბანკს გაუზრდის საზედამხედველო ტვირთს და მოითხოვს დამატებით რესურსებს შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.</p>
<p>რისკის გამოვლენა</p>	<p>შესაბამისობის რისკების იდეტიფიცირება ბანკისთვის რისკის ეფექტური მართვის მნიშვნელოვანი ასპექტია. ზემოაღნიშნული მოვალეობის შესასრულებლად, უპირველეს ყოვლისა, შესაბამისობის ფუნქცია განსაზღვრავს და სისტემურად, კატალოგის სახით ინახავს ყველა მოქმედ კანონსა და რეგულაციას, რომელიც ბანკმა უნდა დაიცვას. კატალოგის საფუძველზე ბანკი აღიარებს შესაბამისობის პოტენციურ სფეროებს ბიზნეს ოპერაციებში, პროცესებსა და ფუნქციებში.</p> <p>შესაბამისობის განყოფილება ატარებს ბიზნეს ოპერაციების, პოლიტიკისა და პრაქტიკის რეგულარულ შიდა შეფასებებს, რათა უზრუნველყოს მათი კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობა. შესაბამისობის განყოფილება, ისევე როგორც სამართლებრივი მხარდაჭერის ფუნქციები, რეგულარულად აკვირდებიან რეგულაციურ ცვლილებებს და განიხილავენ მარეგულირებელი ორგანოების მიერ მოწოდებულ განახლებებს.</p>
<p>რისკის შეფასება და გაზომვა</p>	<p>შესაბამისობის რისკის შეფასების მიზანია კანონებისა და რეგულაციების დაუცველობასთან დაკავშირებული პოტენციური რისკების იდეტიფიცირება, შეფასება და რაოდენობრივი განსაზღვრა.</p> <p>ხასიათის, გავლენისა და აღბათობის მიხედვით შესაბამისობის რისკები იყოფა მაღალ, საშუალო ან დაბალ კატეგორიებად. რისკები პრიორიტეტულია მათი მნიშვნელობისა და პოტენციური შედეგების მიხედვით. შესაძლებლობის ფარგლებში, ბანკი რისკის რაოდენობრივი გაზომვის მეთოდებს იყენებს პოტენციური ჯარიმების ან ზარალის ფულად გამოხატულებაში გამოსასახად. ხარისხობრივი მეთოდები მოიცავს ექსპერტულ შეფასებასა და სცენარების ანალიზს.</p>

<p>რისკის მიტიგაცია</p>	<p>იდენტიფიცირებული და გაზომილი შესაბამისობის რისკების პოტენციური ზემოქმედების შესამცირებლად, ბაზისბანკი განიხილავს ისეთ ნაბიჯებს, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> - ისეთ საქმიანობებში ან ოპერაციებში ჩართულობის თავიდან არიდება, რომლებიც შესაბამისობის მაღალ რისკებს წარმოადგენს; - შესაბამისობის რისკების ალბათობის ან სიმძიმის შესამცირებლად ზომების მიღება; - შიდა კონტროლის გაძლიერება, პროცესების გაუმჯობესება და ზემოქმედების შესამცირებლად დამატებითი დამცავი ზომების შემოღება.
<p>რისკის მონიტორინგი</p>	<p>შესაბამისობის ძირითადი მიმართულებების სისტემატური გადახედვისა და ახლად გამოვლენილი და ადრე იდენტიფიცირებული რისკების კონტროლის მიზნით, შესაბამისობის ფუნქციამ შეიმუშავა საკონტროლო სიები და ატარებს შესაბამისობის დარღვევების პერიოდულ შეფასებას. შესაბამისობის განყოფილება აწარმოებს შესაბამისობის მონიტორინგის საქმიანობის დოკუმენტირებას და ინახავს ჩანაწერებს სამართლებრივი მოსაზრებების, შეფასებებისა და შესაბამისობის საკითხების გადასაჭრელად განხორციელებული ქმედებების შესახებ.</p> <p>ჩვენ მზად ვართ დავიცვათ გაეროს, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების სანქციები. ბანკი ნულოვან ტოლერანტობას ინარჩუნებს იმ სუბიექტთან ან ფიზიკურ პირთან კლიენტის ან კონტრაგენტის ურთიერთობის დამყარების ან შენარჩუნებისადმი, რომელიც რომელიმე შემდგომ ჩამოთვლილ სიაშია შეყვანილი ან სადაც სხვაგვარად აკრძალულია ადგილობრივი კანონით ან რეგულაციებით. ბანკს ასევე არ აქვს აპეტიტი განხორციელოს ტრანზაქციები ან სხვა სახის საქმიანი ურთიერთობა რომელიმე ასეთ სუბიექტთან ან ფიზიკურ პირთან. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ბანკმა დანერგა ავტომატური ინსტრუმენტი, რომელიც კლიენტებისა და ტრანზაქციების საერთაშორისო სანქციების OFAC, UN, EU, UK და სხვა მოქმედ სიებში რეალურ დროში შემოწმებას უზრუნველყოფს.</p>
<p>რისკის აპეტიტი</p>	<p>რისკის აპეტიტი არის შესაბამისობის რისკის მინიმუმამდე შენარჩუნება და ყველა მარეგულირებელი მოთხოვნის დაცვა.</p>
<p>საოპერაციო რისკი</p>	
<p>რისკის განსაზღვრება</p>	<p>საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც გამოწვეულია არაადეკვატური შიდა პოლიტიკით, სისტემისა და კონტროლის წარუმატებლობით, ადამიანური შეცდომებით, თაღლითობის ან მენეჯმენტის წარუმატებლობით, გარე მოვლენებითა და ბუნებრივი კატასტროფებით.</p>
<p>რისკის ძირითადი წყაროები</p>	<p>ბანკი არაერთი საოპერაციო რისკის წინაშე დგას, მათ შორისაა შიდა და გარე თაღლითური აქტივობები, პროცესების, პროცედურების ან კონტროლის დარღვევა; და სისტემის გაუმართაობა გარე მხარის მხრიდან, რომლის მიზანია ბანკის დამხმარე ინფრასტრუქტურა მიუწვდომელი გახადოს შესაბამისი მომხმარებლებისთვის, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება საფრთხე შეუქმნას სენსიტიურ ინფორმაციას და ბანკის, მისი კლიენტების, კონტრაგენტების ან კლიენტების ფინანსურ ტრანზაქციებს. გარდა ამისა, ბანკი ექვემდებარება რისკებს, რომლებიც იწვევს კრიტიკული ფუნქციების შემსრულებელი სისტემების შეფერხებას, და რომელიც წარმოიქმნება მის კონტროლს მიღმა მოვლენებით, რამაც ბანკს შეიძლება მიაყენოს ზარალი ან კლიენტების მომსახურების შემცირება და/ან ფინანსური ზარალი.</p> <p>ზემოთ განხილული რისკები ასევე აქტუალურია, როდესაც ბანკი ეყრდნობა მომსახურების გარე მომწოდებლებს, რადგან ბანკს შეიძლება არ ჰქონდეს პირდაპირი კონტროლი მესამე მხარის მიერ შესრულებულ საქმიანობაზე.</p>

ბანკი სისტემატურად გამოავლენს, ანალიზებს და დოკუმენტაციას უკეთებს პოტენციურ საოპერაციო რისკებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბანკის მიზნების მიღწევაზე. იგი მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბიზნესის ამოცანების წარმატებით შესრულებას და საოპერაციო საქმიანობის განხორციელებას.

ბანკი იყენებს სხვადასხვა საიდენტიფიკაციო ინსტრუმენტებს:

ახალი პროდუქტები/პროცესები - პროდუქტებისა და შიდა პროცესების ანალიზმა და ასახვამ შეიძლება გამოავლინოს წარუმატებლობის პოტენციური წერტილები ან სუსტი ადგილები, სადაც შეიძლება მოხდეს საოპერაციო რისკები. ეს მეთოდი გვეხმარება დამოკიდებულების, დაბრკოლებებისა და გაუმჯობესების პოტენციური სფეროების გაგებაში.

მესამე მხარის რისკები - რისკები, რომლებიც დაკავშირებულია იმ მომწოდებლებთან, მოვაჭრეებთან და პარტნიორებთან, რომლებიც მონაწილეობენ განვითარებისა და განხორციელების პროცესში. გარე მხარეებზე დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს დაუცველობა, რომელიც მართვას საჭიროებს, ამიტომ ბანკი ასახავს მესამე მხარეებზე დამოკიდებულ ყველა პროცესს, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს პოტენციური წარუმატებლობა.

რისკის გამოვლენა

ძირეული მიზეზის ანალიზი - ინციდენტების დროს, ძირეული მიზეზის ანალიზის ჩატარება ეხმარება პრობლემის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებას. ეს მეთოდი გვეხმარება სისტემური საკითხების გამოვლენაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საოპერაციო რისკები.

RCSA – რისკისა და კონტროლის თვითშეფასება მოიცავს დაცვის პირველი ხაზის თვითშეფასებას, - ამ დროს საოპერაციო რისკების შესამცირებლად ფასდება არსებული კონტროლის ეფექტურობა. ეს მეთოდი გვეხმარება კონტროლის სისუსტეების და გაუმჯობესების სფეროების იდენტიფიცირებაში.

ზარალის მონაცემების ანალიზი - ისტორიული დანაკარგების მონაცემებისა და ინციდენტების გაანალიზებამ შეიძლება ღირებული ინფორმაცია მოგვაწოდოს განმეორებადი საოპერაციო რისკებისა და მათი ძირითადი მიზეზების შესახებ. ეს მონაცემებზე ორიენტირებული მიდგომა რისკის შემცირების ძალისხმევის პრიორიტეტიზაციაში გვეხმარება.

ამ ინსტრუმენტებისა და მეთოდების კომბინაციის გამოყენებით ბანკი იღებს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს გაურკვევლობის მართვისას მიზნების მისაღწევად. ის ქმნის რისკების მართვის უფრო ფართო პროცესის საფუძველს, რომელიც მოიცავს რისკის შეფასებას, მიტიგაციას, მონიტორინგს და კონტროლს.

რისკის შეფასება

საბანკო სერვისების სწრაფად ცვალებადი გარემოს მასშტაბისა და სირთულის, ასევე მასთან დაკავშირებული შესაძლო საოპერაციო რისკების გათვალისწინებით, პროცესების, პროცედურების, კონტროლისა და სისტემების გაუმჯობესების მნიშვნელობა გადამწყვეტია რისკის პრევენციის უზრუნველსაყოფად. საოპერაციო რისკის ზედამხედველობისა და შერბილების მიზნით, ბანკმა დააწესა საოპერაციო რისკის მართვა სამ დონეზე: ბიზნეს ერთეულების/დეპარტამენტების დონეზე, საოპერაციო რისკების მართვის დონეზე და შიდა აუდიტის დონეზე. საოპერაციო რისკის მართვის განყოფილება მოქმედებს როგორც დაცვის მეორე ხაზი.

ბანკის საოპერაციო რისკების პოლიტიკა ქმნის საოპერაციო რისკების გამოვლენის, შეფასების და მართვის ყოვლისმომცველ სისტემას. იგი შემუშავებულია 2011 წლის ივლისში გამოცემული ბაზელის კომიტეტის

„საოპერაციო რისკების ჯანსაღი მართვის პრინციპები“ და ბანკის საერთო რისკის სტრატეგიის შესაბამისად. პოლიტიკა ასევე ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს (2014 წლის 13 ივნისის „კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის დებულება,). ის ბანკის რისკების მართვის საერთო საქმიანობის ნაწილია და განსაზღვრავს რისკების მართვის მთავარ პრინციპებს და ინსტრუმენტებს, აღწერს, თუ როგორ უნდა მოხდეს საოპერაციო რისკის იდენტიფიცირება, შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი ან შერბილება, რაც ბანკის რისკების მართვის შესაბამის პოლიტიკაში უნდა აისახოს. ის მიზნად ისახავს ბანკის საქმიანობაში საოპერაციო რისკის მართვის ჯანსაღი და ეფექტური პრაქტიკის ჩამოყალიბებას. პოლიტიკა პასუხისმგებელია საოპერაციო რისკის პოლიტიკისა და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე, რათა ბანკმა შეძლოს საოპერაციო რისკების მართვა, აგრეთვე ადგენს საოპერაციო რისკების მონიტორინგს, რისკის აპეტიტის მიმართ რისკების და მატერიალური კონტროლის საკითხებს.

ბანკი კაპიტალის მოთხოვნის გაანგარიშებისთვის BIA (Basic Indicator Approach საბაზისო ინდიკატორების გაზომვის მეთოდი) მიდგომას იყენებს. ასევე გამოიყენება რისკების შეფასების უფრო განვითარებული მეთოდების ხარისხობრივი ელემენტები, რაც საოპერაციო რისკების უფრო მეტად ამომწურავი მართვის საფუძველს ქმნის.

პოლიტიკა პასუხისმგებელია საოპერაციო რისკის პოლიტიკისა და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე, რათა ბანკმა შეძლოს საოპერაციო რისკების მართვა, აგრეთვე ადგენს საოპერაციო რისკების მონიტორინგს, რისკის აპეტიტის მიმართ რისკების და მატერიალური კონტროლის საკითხებს. პოლიტიკით განსაზღვრულია საოპერაციო რისკების გამოვლენის, შეფასების, მონიტორინგის, კონტროლის და შემცირების პრინციპები. იქმნება საოპერაციო რისკების გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის სისტემა და მუშავდება გაუთვალისწინებელი სიტუაციების და ბიზნესის უწყვეტობის გეგმები, რათა ბანკს ჰქონდეს უნარი, განაგრძოს მუშაობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და ბიზნესის მკვეთრი ხელისშემლის შემთხვევაში მინიმუმამდე დაიყვანოს დანაკარგები.

რისკის მიტიგაცია

ბანკი აიდენტიფიცირებს, აფასებს და განიხილავს რისკებს, რომლებიც საოპერაციო რისკის მოვლენებიდან წარმოიქმნება და უჩვეულო აქტივობების დროულად გამოვლენის მიზნით აქვს მუდმივი, ციკლური მონიტორინგის პროცესი. ბანკი ახორციელებს რისკისა და კონტროლის თვითშეფასების (RCSA) პროცესს, რომელიც გამოავლენს, ანალიზებს, აფასებს და იკვლევს საოპერაციო რისკების შემარბილებელ გეგმებს და შესაბამის კონტროლს, რაც უზრუნველყოფს გონივრულ გარანტიას, რომ ყველა ბიზნეს მიზანი შესრულდება. RCSA ფოკუსირებულია ნარჩენი რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებაზე ძირითად ბიზნეს პროცესებში, რომლებიც ექვემდებარება მაკორექტირებელ სამოქმედო გეგმებს.

გარდა ამისა, აუტოსორსინგის რისკის მართვის პოლიტიკის ამოქმედება, რომელიც ბანკს საშუალებას აძლევს გააკონტროლოს აუტოსორსინგის (მიმწოდებლის) რისკი, რომელიც წარმოიქმნება არასასურველი მოვლენებით და რისკის კონცენტრაციით, რომელიც გამოწვეულია გამყიდველის შერჩევის წარუმატებლობით, არასაკმარისი კონტროლით და ზედამხედველობით გამყიდველზე და/ან მომწოდებლის მიერ მიწოდებულ სერვისებზე; სხვა ზემოქმედებით გამყიდველზე; გარდა ამისა, საოპერაციო რისკების მართვის ფუნქციის ჩართვა ახალი პროდუქტებისა და სერვისების დამტკიცების პროცესში, მათთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად. საოპერაციო რისკი ასევე პასუხისმგებელია საოპერაციო რისკების ყოველდღიურ მართვაზე სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით. მომხმარებელთა საჩივრების, საოპერაციო რისკის მოვლენების მონაცემთა ბაზების ანალიზის გზით იგი განსაზღვრავს

PDP-ის კანონის პოტენციურ დარღვევას და პერსონალური მონაცემების დაცვის გასაუმჯობესებლად და სწრაფად მზარდი ავტომატიზაციის გარემოში პერსონალური ინფორმაციის გაქონვის თავიდან ასაცილებლად შემოაქვს ცვლილებები ოპერაციულ პრაქტიკაში. საოპერაციო რისკის ეფექტურად გაზომვისა და მართვის მიზნით, შექმნილია საოპერაციო რისკის მართვის შესაბამისი გარემო, რომელიც ითვალისწინებს საოპერაციო რისკის შიდა ანგარიშგებას; ის განიხილება, როგორც ცალკეული რისკის კატეგორია, რომელიც ერთი მხრივ დაკავშირებულია ბანკის უსაფრთხოებასთან და სიჯანსაღესთან, მეორე მხრივ, ოპერატიულად დამოუკიდებელი, სათანადოდ მომზადებული და კომპლექტური პერსონალის მიერ მომზადებულ ყოვლისმომცველ შიდა აუდიტის ფუნქციასთან.

თაღლითური ქმედებებით გამოწვეული საოპერაციო რისკების შემდგომ შესამცირებლად, ბანკმა დანერგა დახვეწილი და ციფრული თაღლითობის რეალურ დროში პრევენციის სისტემა, რომელიც აანალიზებს კლიენტის ქცევას გარე თაღლითობის საფრთხეების შემდგომი მინიმუმაციის მიზნით.

Covid-19-ის უპრეცედენტო გავრცელების დროს ჯანმრთელობის საკითხებსა და საოპერაციო რისკებზე სათანადო რეაგირების უზრუნველსაყოფად ბანკმა შეიმუშავა ბიზნესის უწყვეტობის გეგმა. როგორც თანამშრომლების, ისე მომხმარებლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად, აუცილებელი სერვისების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად და ყველა საოპერაციო და ფინანსური რისკის შესამცირებლად ბანკმა მიიღო პრევენციული ზომები. ბიზნესის უწყვეტობის ყველა ღონისძიება კოორდინირებული იყო საქართველოს მთავრობასთან და ეროვნულ ბანკთან და მათ მითითებებს ეფუძნებოდა.

რისკის აპტიტი

შიდა პროცესების ან სისტემების არაადეკვატურობის ან წარუმატებლობის ან ადამიანური შეცდომის გამო, ან ოპერაციების შესრულების ან შესრულების დროს დაშვებული შეცდომების გამო, ბანკი ექვემდებარება ზარალის ან გაუმართლებელი ხარჯების რისკს. ბანკის კომპლექსური ოპერაციები ასევე აყენებს გარე და შიდა თაღლითობის რისკის წინაშე. გარე თაღლითობის მოვლენები შეიძლება წარმოიშვას მესამე მხარის ქმედებებიდან ბანკის წინააღმდეგ და, ყველაზე ხშირად, ეს მოიცავს პლასტიკურ ბარათებთან და ნაღდ ფულთან დაკავშირებულ მოვლენებს. შიდა თაღლითობები წარმოიქმნება ბანკის თანამშრომლების მიერ ჩადენილი ქმედებებიდან და ასეთი მოვლენები ნაკლებად ხდება. მიუხედავად ამისა, ბანკის აქტივების უკანონოდ მოპოვებისა და ექსპლუატაციის მიზნით თაღლითები ახალ ტექნიკას და მიდგომებს იყენებენ. ამიტომ ბანკისთვის მნიშვნელოვანია საოპერაციო რისკების მართვა და ფინანსურ მდგომარეობაზე მათი უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება. საოპერაციო რისკის მადის შესახებ განცხადების თანახმად, ბანკს უნდა ჰქონდეს საოპერაციო რისკის ადეკვატური ტოლერანტობა, რათა შეინარჩუნოს დაბალი ხარჯები და ხელი შეუწყოს ბიზნესის ზრდას და ეფექტურ განვითარებას, უნდა ჰქონდეს დაბალი ტოლერანტობა შიდა თაღლითობის მიმართ და მიზნად უნდა დაისახოს სტრუქტურის პირობებში მაღალი გამძლეობის მქონე ენერგიული საოპერაციო სისტემების შენარჩუნება.

ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების რისკი

რისკის განსაზღვრება

ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების რისკი შეიძლება განიმარტოს, როგორც გაურკვევლობის ეფექტი ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე, სადაც არსებობს შანსი, რომ ინფორმაციული აქტივის ან აქტივების ჯგუფის მოწყვლადობის გამო ზიანი მიაღგეს ბანკს. ინფორმაციული

	<p>უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების რისკი არის პერსონალური მონაცემების ან სხვა მგრძობიარე ინფორმაციის არასანქცირებული გამოყენების, კიბერთავდასხმების, ფიშინგისა და მონაცემთა მთლიანობის დარღვევის სხვა ფორმების შედეგად გამოწვეული რისკი. შესაბამისად, ინფორმაციული უსაფრთხოება ბაზისბანკის ერთ-ერთი მატერიალური არაფინანსური თემაა. იმისათვის რომ დაინტერესებული მხარეების მიერ ბანკისადმი ნდობა შენარჩუნდეს აუცილებელია ბანკის მომხმარებლებისა და პარტნიორების მონაცემებისა და ბანკის საინფორმაციო აქტივების კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის დაცვა.</p>
<p>რისკის გამოვლენა</p>	<p>ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების ფუნქცია პასუხისმგებელია ინფორმაციის უსაფრთხოებისა და ბიზნესის უწყვეტობის მართვის პროცესების მუდმივ გაუმჯობესებაზე, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან/კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და უზრუნველყოს კლიენტებისა და პარტნიორების უსაფრთხოება.</p>
<p>რისკის შეფასება</p>	<p>ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩო შექმნილია იმგვარად, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა და სტანდარტები ასახავდეს მზარდ ბიზნესის მოთხოვნებს, მარეგულირებლის მითითებებსა და კიბერ საფრთხეებს. ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების პოლიტიკები და ინსტრუქციები მხარს უჭერს ბანკს ხსენებული პარამეტრების დაცვაში საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით.</p> <p>ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების ფუნქცია ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი მმართველობის ჩარჩო, პოლიტიკა, პროცესები და ტექნიკური შესაძლებლობები ბანკში შესაბამისი ინფორმაციის უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების რისკის სამართავად. ინფორმაციის უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების ფუნქცია მუშაობს ყველა ბიზნეს განყოფილებასთან/ერთეულთან და ბანკის ყველა თანამშრომელთან, რათა უზრუნველყოს ბანკის სისტემების დაცვა და უსაფრთხოდ გამოყენება ბანკის ბიზნეს მიზნების მისაღწევად.</p>
<p>რისკის მიტიგაცია და მონიტორინგი</p>	<p>წელიწადში ერთხელ მაინც, გარე აუდიტი ატარებს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების სრულ აუდიტს, ისევე როგორც ანალიზებს კიბერუსაფრთხოების ჩარჩოს, რათა შეაფასოს ბანკის შესაძლებლობების ეფექტურობა ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკისა და რეალურ სამყაროში კიბერშეტევის სცენარების გათვალისწინებით, რომელიც დაფუძნებულია შესაბამის რეგიონალურ და სექტორულ პერსპექტივებზე. ამგვარი აუდიტი ბანკს საშუალებას აძლევს ფართოდ დაინახოს არსებული სიტუაცია და გამოწვევები, რაც ხელს უწყობს ინფორმაციისა და კიბერუსაფრთხოების სისტემების შემდგომ გაუმჯობესებას. გარდა ამისა, რეგულარულად ტარდება შედარებადობის ტესტირებები.</p> <p>რადგან ბანკის თანამშრომლები ინფორმაციულ უსაფრთხოებაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ, მათთვის რეგულარულად ტარდება ტრენინგები, რომელიც მოიცავს უსაფრთხოების საკითხებზე დისტანციური სწავლების კურსს, თადლითობისა და ფიშინგის სიმულაციებსა და ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილ საინფორმაციო ბროშურებს. ამგვარი ზომები თანამშრომლებს ეხმარება გაიზაროს საკუთარი პასუხისმგებლობები და მოემზადდნონ სხვადასხვა საფრთხეებისთვის.</p> <p>COVID-19 პანდემიის შედეგად, ბანკმა გაააქტიურა უსაფრთხო დისტანციური მუშაობის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა შიდა სამუშაოების გარემოს დაცვას შესაბამისი კიბერ საფრთხეებისგან. IT გუნდი უზრუნველყოფდა ეფექტურ ზედამხედველობას დისტანციური მუშაობის არსებზე.</p>
<p>რისკის აპეტიტი</p>	<p>რადგან კიბერშეტევები ბოლო წლებში უფრო დახვეწილი და რთული გახდა, მათ მიერ გამოწვეული საფრთხე კიდევ უფრო გაიზარდა. კიბერშეტევებმა შესაძლებელია გამოიწვიოს მნიშვნელოვანი რისკები, რომლებიც წრაფად იცვლება, ამიტომ მუდმივ ყურადღებასა და ბაზარზე საუკეთესო პრაქტიკის</p>

ცოდნას მოითხოვს. ბოლო წლებში ბაზისბანკზე არცერთი მნიშვნელოვანი კიბერშეტევის მცდელობა არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ბანკის მზარდი დამოკიდებულება კომპლექსურ IT სისტემებზე ზრდის მის დაუცველობას და კიბერთავდასხმის მიერ გამოწვეულ ზემოქმედებას. კიბერუსაფრთხოების რისკის მადის შესახებ განცხადების თანახმად, ბანკს უნდა ჰქონდეს ძალიან დაბალი ტოლერანტობა მომხმარებელთა მონაცემების გამჟღავნების მიმართ, უნდა ჰქონდეს დაბალი ტოლერანტობა კიბერშეტევებისგან ფინანსური ზარალის მიმართ და უნდა ჰქონდეს ნულოვანი ტოლერანტობა კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ქმედებების მიმართ. ის მიზნად ისახავს თავდაცვის სიღრმისეული სტრატეგიის გაძლიერებას და მუდმივ გაუმჯობესებაზე მუშაობას.

მოდელის რისკი

<p>რისკის განსაზღვრება</p>	<p>მოდელის რისკი ეხება არასასურველი შედეგების აღბათობას, რომელიც წარმოიქმნება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოდელის არასწორი გამოყენების, განხორციელების ან ინტერპრეტაციის შედეგად. მოდელის რისკების მართვას აქვს თავისი სასიცოცხლო ციკლი, რომელიც გულისხმობს ბაზისბანკში მათი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში მოდელების შემუშავების, წინასწარი გადამოწმების, დანერგვისა და მონიტორინგის სისტემატურ პროცესს. მოდელის რისკის სასიცოცხლო ციკლის მენეჯმენტი გადამწყვეტია მოდელის რისკის შესამცირებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოდელები იყოს ზუსტი, საიმედო და შეესაბამებოდეს მარეგულირებლის მოთხოვნებს. დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია პროცესის ყველა საფეხურზე მნიშვნელოვანია, ყველა დაინტერესებული მხარე ინფორმირებულია განხორციელების პროცესის, ვადების და სამუშაო პროცესის ან პასუხისმგებლობის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.</p>
<p>რისკის მთავარი მამოძრავებლები</p>	<p>მოდელის რისკის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორია მონაცემთა ცუდი ხარისხი, არასწორი დაშვებები, არასწორი მეთოდოლოგიები, ადეკვატური ვალიდაციის არარსებობა და მოდელის შედეგების არასწორი ინტერპრეტაცია. ნებისმიერმა გადახრამ ან შეზღუდვამ მოდელის ამოსავალ მონაცემებში, პროცესებში ან საბოლოო მონაცემებში შეიძლება გამოიწვიოს არასწორი გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოდელები გამოიყენება მაღალი ზემოქმედების სფეროებში, როგორცაა ფინანსები ან რისკის მართვა. მოდელები, რომლებიც რეგულარულად არ განახლდება, რათა ასახავდეს ცვლილებებს გარემოში ან ბაზრის პირობებში, ასევე მგრძობიარეა არასანდო შედეგების გამომუშავებისადმი.</p>
<p>რისკის გამოვლენა და გაზომვა</p>	<p>მოდელის რისკის შეფასება მოიცავს მოდელის წარუმატებლობის აღბათობისა და პოტენციური ზემოქმედების შეფასებას. ეს შეფასება უნდა ჩატარდეს მოდელის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, მოდელის სირთულის, ფარგლების და გამოყენების გათვალისწინებით. უფრო მაღალი რისკის მოდელებმა, როგორცაა ბაზისბანკში კრიტიკული გადაწყვეტილების მიღებისთვის გამოყენებულმა მოდელებმა (მაგ., კაპიტალის განაწილება, რისკის გაზომვა), უნდა გაიაროს უფრო მკაცრი ვალიდაცია და შემოწმება. შეფასების პროცესი უზრუნველყოფს, რომ მოდელები აკმაყოფილებდეს მარეგულირებელ და ბიზნეს სტანდარტებს და ამავე დროს შეესაბამებოდეს დაწესებულების რისკის მართვის საერთო ჩარჩოს.</p>
<p>რისკის მიტიგაცია და მონიტორინგი</p>	<p>მიტიგაცია მოიცავს სტრუქტურირებული მიდგომის განხორციელებას მოდელის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, მათ შორის შემუშავებას, ვალიდაციას და მონიტორინგს. ძირითადი სტრატეგიები მოიცავს მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფას, მკაცრი ტესტირების ჩატარებას (როგორცაა მგრძობიარეობის ანალიზი და უკუტესტირება) და დაცვის პირველი და მეორე</p>

ხაზის მკაფიო როლების დაკავებას. პირველი ხაზი ქმნის მოდელს შესაბამისი მონაცემებით და მეთოდოლოგიებით, ხოლო მეორე ხაზი დამოუკიდებლად ამოწმებს და ზედამხედველობს რისკის მართვის პოლიტიკასთან შესაბამისობას. ეფექტური დოკუმენტაცია და დაინტერესებულ მხარეებთან მკაფიო კომუნიკაცია კიდევ უფრო ამცირებს რისკს. მუდმივი მონიტორინგი უზრუნველყოფს მოდელის სიზუსტეს და საიმედოობას, საჭიროებისამებრ კეთდება ცვლილებები ცვალებად პირობებზე რეაგირებისთვის.

ქვეყნის რისკი

ქვეყნის რისკი ნიშნავს იმ შესაძლო დანაკარგებს, რომლებიც გამოწვეულია (ეკონომიკური, პოლიტიკური და ა.შ.) მოვლენით, რომელიც კონკრეტულ ქვეყანაში ხდება. მოვლენა შეიძლება გააკონტროლოს ქვეყნის მთავრობამ, მაგრამ არა კრედიტის გამცემმა/ინვესტორმა. ბანკმა შექმნა ქვეყნის რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რითაც დადგენილია ლიმიტების სისტემა, რომლის მიხედვითაც ქვეყნების საგარეო რეიტინგებზე დაყრდნობით ხდება იმის შეფასება, თუ რამდენად დგას ბანკი ამა თუ იმ ქვეყნის რისკის წინაშე.

რისკის განმარტება

ბანკს სურს თავიდან აიცილოს მოგების და წმინდა ღირებულების მკვეთრი ცვლილებები, რომლებიც შედეგად მოსდევს კონკურენტულ გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე არასათანადო რეაგირებას და/ან არასწორ კორპორაციულ გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ბანკი განუხრელად იცავს პრინციპს, ჰქონდეს ადეკვატური, კარგად დამუშავებული ბიზნეს-სტრატეგია, რითაც შეამცირებს პოტენციურ რისკებს, და ბიზნესისთვის დამახასიათებელი რისკები მართოს რისკების ადრეული გამოვლენის სისტემების შემუშავებით და შიდა პროცესებისა და პროცედურების საშუალებით, რითაც უზრუნველყოფს, რომ ბანკის ყოველდღიური ბიზნეს-საქმიანობის გადაწყვეტილებები და ქმედებები რისკების გათვალისწინებით იქნება მიღებული და გატარებული.

ESG რისკი

რისკის განსაზღვრება და მთავარი მამოძრავებლები

ESG ფართო ტერმინია, რომელიც გულისხმობს გარემოსდაცვითი (E), სოციალური (S) და მმართველობის (G) კრიტერიუმების ჩართვას ბანკის მიერ მიღებულ საინვესტიციო გადაწყვეტილებებში, რაც პასუხისმგებელი ან მდგრადი საინვესტიციო პრაქტიკის გამოვლინება იქნება. ბანკის ESG რისკები გულისხმობს პოტენციურ ნეგატიურ ზემოქმედებას, რომელიც გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ფაქტორებს შეიძლება ჰქონდეს კლიენტებზე, მსესხებლებზე, სხვა კონტრაგენტებზე და თავად ბანკზე. ბანკს შეიძლება შეექმნას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები, მათ შორის გარემოსდაცვითი რეგულაციების მიმართ დაუცველი ინდუსტრიების ზემოქმედება, ექსტრემალური ამინდის მოვლენების შედეგად გამოწვეული ფიზიკური რისკები და გარდამავალი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია დაბალი ნახშირბადის ეკონომიკაზე გადასვლასთან. ბანკი ასევე შეიძლება ექვემდებარებოდეს რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დარღვევასთან, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების ცუდი ისტორიის მქონე რეგიონებში მოქმედი პროექტების ან კომპანიების დაფინანსებისას, ისევე როგორც რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ისეთი ბიზნესების დაფინანსებასთან, რომლებიც არაეთიკურ შრომით პრაქტიკას ეწევიან, თანამშრომლებს უქმნიან ცუდ სამუშაო პირობებს, იყენებენ ბავშვთა შრომას ან მუშაკებს აძლევენ არაადეკვატურ უფლებებს. მმართველობის რისკები ეხება მარეგულირებლის და შესაბამისობის რისკებს, მათ შორის ESG შესაბამისობას, კორპორატიულ მმართველობას და

კორპორატიულ ეთიკას, რომელიც მხარს უჭერს ფულის გათეთრების, გადასახადებისგან თავის არიდების და სხვა ფინანსური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას. რისკებმა, რომლებიც წარმოიქმნება ESG-ის განვითარებადი რეგულაციებისა და სტანდარტების შეუსრულებლობის გამო, შეიძლება გამოიწვიოს სამართლებრივი შედეგები, ჯარიმები და მარეგულირებლის ქმედებები. ESG-ის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის დაზიანება, რადგან დაინტერესებულმა მხარეებმა, მათ შორის კლიენტებმა, ინვესტორებმა და საზოგადოებამ, შესაძლოა ორგანიზაცია აღიქვას, როგორც უპასუხისმგებლო ან არაეთიკური.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპების დანერგვისა და ეფექტიანად აღსრულების მიზნით, 2018 წელს „ბაზისბანკმა“ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა გარემოსა და სოციალური რისკების მართვის საკუთარ პოლიტიკაში და შეიმუშავა Due Diligence-ის და E&S risk assessment გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის შეფასების) პროცედურები. ბანკის მიერ ასევე დადგინდა გამონაკლისების სია (Exclusion List), რომლითაც ჩამოთვლილია იმ საქმიანობათა სია, რომლებსაც არ აფინანსებს ბანკი; ამგვარ გამონაკლისებს მიეკუთვნება საქმიანობები, რომლებიც რაღაც ფორმით შეიძლება უკავშირდებოდეს იარაღისა და საბრძოლო მასალების წარმოებას/ვაჭრობას, იძულებით და ბავშვთა შრომას, არალეგალურ ფარმაცევტულ პროდუქტებს, პესტიციდებისა და ჰერბიციდების განსაზღვრული ტიპების წარმოებას/ვაჭრობას, აზარტულ თამაშებსა და კაზინოებს და ა.შ. ზემოთ აღნიშნული დოკუმენტები ემყარება როგორც საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოს, ასევე საუკეთესო პრაქტიკას და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების რეკომენდაციებს.

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასების ფარგლებში, ყველა ტიპის ბიზნეს სესხი გადის სტანდარტულ პროცედურას, რომლის ფარგლებშიც ხდება პროექტის გადამოწმება გამონაკლისების სიაში. შემდეგ ეტაპზე კლიენტის მიერ მიწოდებულ მონაცემებზე და დოკუმენტებზე, ადგილზე ვიზიტის შედეგად გაკეთებულ შეფასებებსა და დამოუკიდებელი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ხდება პოტენციური კლიენტის პასუხისმგებლობის და მის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის ხარისხის შეფასება.

რისკის გამოვლენა და გაზომვა

ESG რისკების იდენტიფიცირება ბანკისთვის შესაბამისი ESG ფაქტორების გაგებით იწყება. ეს ფაქტორები მოიცავს კლიმატის ცვლილებას, შრომის პრაქტიკას, მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტს, მრავალფეროვნებას და ინკლუზიას, მონაცემთა უსაფრთხოებას, კორპორატიულ მმართველობას და ა.შ.

ყველაზე მნიშვნელოვანი ESG საკითხების გამოსავლენად, მათ შორის თანამშრომლებისთვის, კლიენტებისთვის, ინვესტორებისთვის და ა.შ. ბანკმა ჩაატარა მატერიალურობის შეფასება ბანკისა და მისი დაინტერესებული მხარეებისთვის და სწორედ ამის შემდეგ ბანკმა ჩამოაყალიბა ზემოაღნიშნული ESG სტრატეგია.

ESG რისკის იდენტიფიკაცია და გაზომვა ინტეგრირებულია ბანკის რისკის ჩარჩოში, სადაც ESG რისკი განიხილება ტრადიციულ ფინანსურ და არაფინანსურ რისკებთან ერთად. თუმცა, ბანკი მუშაობს არსებული ESG რისკების მართვის გაუმჯობესებაზე, მათ შორის მარეგულირებელ მოთხოვნებთან კორექტირებაზე, 2025 წლიდან.

რისკის მიტიგაცია

ESG რისკების შესაფასებლად და ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემასთან (ESMS) შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ბანკს დიუ დილიჯენსის პროცესები თავის ბიზნეს ოპერაციებში აქვს ინტეგრირებული, რასაც ახალ ინვესტიციებში ან საქმიან ურთიერთობებში შესვლისას იყენებს.

5. საზედამხედველო მოთხოვნები ბაზელი 3-ის მიხედვით

5.1. საზედამხედველო ჩარჩო

ბაზელი 3-ის მიზანია კაპიტალის, ლიკვიდობის, ბაზრის და რისკებთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების გაძლიერება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ის აწესებს:

- კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს
- ლიკვიდობის მოთხოვნებს
- რისკების კონცენტრაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს
- ლევერიჯის კოეფიციენტის მოთხოვნებს
- ადმინისტრატორთა შესაბამისობასთან და კორპორაციულ მმართველობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს
- გამჭვირვალობასთან და აუდიტთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

ბაზელი 3-ის მიხედვით კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები სამ პილარს (სვეტს) ეფუძნება, ესენია:

პილარი 1 ადგენს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს - განსაზღვრავს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ღირებულებას და ადგენს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკებზე.

პილარი 2 მოიცავს საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესს, რომლის ფარგლებში ეროვნული ბანკი განიხილავს კომერციული ბანკების მიერ დანერგილი რისკების მართვის შესაბამის ღონისძიებებს, სტრატეგიებს, პროცესებსა და მექანიზმებს და მათ შესაბამისობას ბანკის რისკის პოზიციებთან; კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების შესრულებასთან ერთად, კომერციული ბანკი ვალდებულია დაიცავს კაპიტალის დამატებითი ბუფერის მოთხოვნები იმ რისკებისათვის, რომელსაც არ მოიცავს პილარი 1, მათ შორის, იმ საბაზრო რისკებისთვის, რომელიც არ შედოს პილარ 1-ში - ასე, მაგალითად, კონცენტრაციის რისკებისთვის, საპროცენტო, ლიკვიდობის, სტრატეგიული და რეპუტაციული რისკებისთვის და სხვა.

პილარი 3 ეხება კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის გამჟღავნებას - ფინანსური სექტორის მიმართ ნდობის ამაღლებისა და მომხმარებლისა და ინვესტორების უფლებების დაცვის მიზნით კომერციული ბანკები ვალდებული არიან უზრუნველყონ გამჭვირვალობის მაღალი დონე. ეს რეგულირდება პილარ 3-ის მოთხოვნებით და გულისხმობს ბანკის მიერ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის გამოქვეყნებას - კაპიტალის ადეკვატურობის, კორპორატიული მმართველობის, რისკების კონცენტრაციისა და მართვის სტანდარტების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, ასევე შიდა პროცესების და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამჟღავნებას.

საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები

საქართველოს საბანკო სექტორისთვის კაპიტალის მოთხოვნები ეფუძნება ბაზელის III სტანდარტს, 2013 წლის 26 ივნისის 575/2013 რეგულაციას და ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივას 2013/36/EU (CRR-CRD პაკეტი).

მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები, რომლებიც დადგენილია კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ წესით, პილარ 1-ის ფარგლებში, განისაზღვრება შემდეგნაირად:

- o ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 1 (CET 1) 4.50%
- o პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 6.00%
- o საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 8.00%

ძირითადი პირველადი CET1 კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის პირველ წყაროს, ანუ სააქციო კაპიტალს, რომელიც მოიცავს - ჩვეულებრივ აქციებს და დამატებით რეზერვებს (დამატებითი სახსრები, რომლებიც წარმოიქმნება ძირითადი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების ემისიით; და აკუმულირებულ რეზერვებს/ გაუნაწილებელ მოგებას) საზედამხედველო კორექტირებების გამოკლებით.

დამატებითი პირველადი AT1 კაპიტალი წარმოადგენს არაუზრუნველყოფილ, უვადო კაპიტალის ინსტრუმენტებს, რომლებსაც არ გააჩნია ზრდადი საპროცენტო განაკვეთი, სუბორდინირებულია დეპოზიტორების, არაუზრუნველყოფილი კრედიტორებისა და კომერციული ბანკის ვალის მიმართ და მასზე არ ვრცელდება რაიმე სახის იურიდიული ან ეკონომიკური პირობები, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნას უპირატესობას ანიჭებს კომერციული ბანკის კრედიტორებთან მიმართებაში და ბანკი ინარჩუნებს დივიდენდის/კუპონის გადახდის შეჩერების უფლებამოსილებას.

მეორადი კაპიტალი (სალიკვიდაციო) - მოიცავს გარკვეული სახის სუბორდინირებულ ინსტრუმენტებს, არაუზრუნველყოფილ ფასიან ქაღალდებს, გრძელვადიან ვალდებულებებს, რომელთა დაფარვის ვადა აღემატება 5 წელს, არ გააჩნია ზრდადი საპროცენტო განაკვეთი, არ შეიცავს ისეთ პირობებს, რომელმაც შეიძლება დაასტიმულიროს ინვესტორის უფლება დააჩქაროს მომავალი გადახდები (კუპონი ან ძირი თანხა), გარდა გაკოტრებისა და ლიკვიდაციის შემთხვევებისა.

პილარ 1 ის მიხედვით სებ-ის რეგულაციებით დაწესებულია კაპიტალის კომბინირებული ბუფერის მოთხოვნა, რომელიც შედგება სამი კომპონენტისგან:

- კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი სტანდარტული ბუფერია, რომელიც რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციების 2.5%-ს შეადგენს და მისი მიზანია გადაფაროს ისეთი სახის რისკები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სტრესის შემთხვევაში.
- კონტრციკლური ბუფერი (განისაზღვრება 0%-2,5% ღიაპაზონში) მაკროპრუდენციული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია, რომლის მიზანია შეზღუდოს გადაჭარბებული საკრედიტო ზრდა, რომელიც იწვევს სისტემური რისკების დაგროვებას; 2024 წლის 15 მარტიდან 0.25%-ის ღონეზეა დადგენილი, 2027 წლამდე მოხდება მისი ეტაპობრივი ზრდა 1%-მდე.
- სისტემურობის ბუფერი ეროვნული ბანკის მიერ სისტემურად მნიშვნელოვანი კომერციული ბანკებისათვის განსაზღვრული კაპიტალის დამატებითი მოთხოვნაა.

სებ-ი აწესებს კაპიტალის დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია „კომერციული ბანკების დამატებითი კაპიტალის ბუფერების მოთხოვნის შესახებ წესში“; პილარ 2-ის მიხედვით მოთხოვნა განსაზღვრავს შემდეგ ბუფერებს:

- არაპეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი (CICR);
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი (HHI), რომელიც შედგება სახელობითი კონცენტრაციისა და სექტორული კონცენტრაციის ბუფერებისგან;
- წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი – საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით დაწესებული ბუფერი;
- საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერი (CRA), რომელიც დადგენილია ადგილობრივი GAAP-დან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (IFRS) გადასვლის გამო. CRA ბუფერის დაწესების მიზანია საკრედიტო რისკის შემცირება, რომელიც გამოწვეულია აქტივებისთვის არასაკმარისი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებით და ადეკვატური კაპიტალის ბუფერის დადგენა. CRA ბუფერი მთლიანად CET 1 კაპიტალზეა დაწესებული.
- წმინდა GRAPE ბუფერი – ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის რისკის კატეგორიების შეფასებისა და ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის შედეგების განხილვის ფარგლებში დაწესებული ბუფერი; წმინდა GRAPE ბუფერის დაწესების მიზანია GRAPE-ში გამოვლენილი იმ რისკებისთვის ადეკვატური კაპიტალის ბუფერების დადგენა, რომელიც არ არის დაფარული ან არასათანადოა დაფარული პილარი 2-ის კაპიტალის ბუფერებით.

საჭირო კაპიტალის 56% უნდა შესრულდეს ძირითადი პირველადი კაპიტალის ელემენტებით, ხოლო 75% - პირველადი კაპიტალის მეშვეობით. ხოლო საზედამხედველო კაპიტალის ელემენტი უნდა იყოს 100%.

პილარ 2-ის ფარგლებში განსაზღვრული კაპიტალის ნებისმიერ ბუფერის , გარდა სტრეს-ტესტის და საკრედიტო კორექტირების ბუფერისა , დაკმაყოფილება უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

ძირითადი პირველადი (CET 1) კაპიტალის კოეფიციენტი	56%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	75%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	100%

5.2. სს ბაზისბანკისთვის დაწესებული საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები

ბაზისბანკის საზედამხედველო მოთხოვნები მოიცავს პილარი 1-ის ფარგლებში დადგენილ მინიმალურ საზედამხედველო მოთხოვნებს, პლუს კაპიტალის კომბინირებულ ბუფერს, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ 2.75%-ზეა დადგენილი.

მე-2 პილარით განსაზღვრული კაპიტალის ბუფერები ყველა ბანკისთვის ინდივიდუალურია და ბანკის რისკის პოზიციების კონცენტრაციაზეა დამოკიდებული.

სებ-ის კაპიტალის მოთხოვნების მიხედვით, ბანკები ვალდებული არიან შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან (კაპიტალის კოეფიციენტი) მინიმალური საჭირო ლიმიტის დონეზე.

რისკის შეწონილი პოზიცია არის საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკის პოციზიების შეწონილი ღირებულებების ჯამი.

საკრედიტო რისკის ანალიზი - საკრედიტო რისკის შეწონილი პოზიციის გამოსათვლელად ბანკი იყენებს სტანდარტიზებულ მიდგომას. საკრედიტო რისკის პოზიცია შედგება სამი კომპონენტისგან: ბალანსის ელემენტები, გარებალანსური ელემენტები და კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შეწონილი პოზიციები.

ბალანსის ელემენტების რისკის პოზიცია მოიცავს ძირითად თანხას, პროცენტს, ჯარიმას, დებიტორულ ანგარიშებს და მხარის მიმართ ნებისმიერ სხვა მოთხოვნებს, რომლებიც შემცირებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით და კაპიტალის კორექტირებით.

საკრედიტო რისკის გაანგარიშებისას სს ბაზისბანკი იყენებს შემდეგ დასაშვებ მეთოდებს:

- საცხოვრებელი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები შეწონილია 35%-იანი რისკის წონით;
- საკრედიტო რისკის მიტიგაცია;
- საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტების მიერ დადგენილი რეიტინგების გამოყენება;

საკრედიტო მიტიგაციის გამოყენება – ბანკმა განაცხადა, რომ შეამსუბუქებს რისკის პოზიციას „სესხის დაფინანსებული და დაუფინანსებელი უზრუნველყოფის“, ანუ შეამცირებს მას უზრუნველყოფის/გარანტიის ღირებულებისა და საკრედიტო რისკის წონის გათვალისწინებით. მოვალის დეფოლტის შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს დროულად გაყიდოს ან/და დაისაკუთროს უზრუნველყოფილი აქტივები. კაპიტალის ადეკვატურობის გაანგარიშების მიზნით ბანკი საკრედიტო რისკის შესამცირებლად იყენებს კრედიტის დაფინანსებულ და დაუფინანსებელ უზრუნველყოფას. საკრედიტო რისკის მიტიგაციისთვის გამოიყენება გირაოს შემდეგი ტიპები:

- კრედიტის დაფინანსებული უზრუნველყოფა -, რისკის პოზიცია ითვლება დაფინანსებულ უზრუნველყოფად, როცა იგი უზრუნველყოფილია დეპოზიტით. ანაბარი შეიძლება იყოს როგორც მსესხებელი კლიენტის, ისე მესამე მხარის საკუთრებაში. გირაოს სახით აღებული დეპოზიტი (ან მისი ნაწილი, რომელიც გამოიყენება გირაოს სახით) თავისუფალი უნდა იყოს სხვა ვალდებულებებისგან.
- კრედიტის დაუფინანსებელი უზრუნველყოფად გამოიყენება - ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაცემული მესამე პირის გარანტიები.

შენიშვნა: იხილეთ დანართი PG1-BBS-QQ-20241231, Table 12_CRM.

საერთაშორისო საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების შეფასება - ეროვნული ბანკის რეკომენდაციით საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტებად ითვლება: Moody’s, Fitch, Standard&Poors. საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების შეფასებები გამოიყენება რისკის წონის და, შესაბამისად, სხვა ბანკების შესაფასებლად. კონკრეტული სააგენტოების შეფასებები შეესაბამება ექსპედიციან შკალას, რომელიც შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	Fitch	Moody’s	S&P
1	AAA to AA-	Aaa to Aa3	AAA to AA-
2	A+ to A-	A1 to A3	A+ to A-
3	BBB+ to BBB-	Baa1 to Baa3	BBB+ to BBB-
4	BB+ to BB-	Ba1 to Ba3	BB+ to BB-
5	B+ to B-	B1 to B3	B+ to B-
6	CCC+ და უფრო დაბალი	Caa1 და უფრო დაბალი	CCC+ და უფრო დაბალი

მოკლევადიანი შეასებები ხდება შემდეგი ცხრილის მიხედვით:

	Fitch	Moody’s	S&P
1	F1+, F1	P-1	A-1+, A-1
2	F2	P-2	A-2
3	F3	P-3	A-3
4	F3-ზე უფრო დაბალი	NP	B-1, B-2, B-3, C

გარესაბალანსო ელემენტების რისკის პოზიციის ღირებულება არის სპეციალური რეზერვით შემცირებული მათი ღირებულება გამრავლებული კრედიტ-კონვერსიის ფაქტორზე.

შენიშვნა: იხილეთ PG1-BBS-QQ-20241231, Table 8_LI2

კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები - კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი არის ტრანზაქციის განხორციელებამდე კონტრაგენტის დეფოლტის რისკი. ამ მიზნებისთვის გაითვალისწინება კონტრაგენტთან დაკავშირებული მხოლოდ ის რისკები, რომელსაც მოიცავს საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსის წარმოებული ინსტრუმენტები

(ფიქსირებული, ფორვარდები, სვოპები, ოფციონები და სხვა ანალოგიური ხელშეკრულებებით წარმომოხილი გარესაბალანსო ვალდებულებები). თუ საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსის წარმოებული

ინსტრუმენტების ხელშეკრულების ვადა არ აღემატება 14 კალენდარულ დღეს, იგი არ გაითვალისწინება რისკის მიხედვით შეწონვის მიზნებისათვის.

შენიშვნა: იხილეთ დანართი PG1-BBS-QQ-20241231, table 15_CCR

საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები - პილარ 1-ის ფარგლებში საბაზრო რისკში ჩაითვლება მხოლოდ სავალუტო რისკი. სავალუტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული რისკის პოზიცია უდრის „კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესით“ განსაზღვრულ კრებხით საერთო ღია სავალუტო პოზიციას.

სავალუტო რისკი წარმოიქმნება ღია და არასათანადოდ ჰეჯირებულ პოზიციებზე კონკრეტულ ვალუტაში გაცვლითი კურსების მოულოდნელი რყევის შედეგად (რაც იწვევს ბაზრის მონაწილის შესაძლო შიდა ან ანგარიშგების ვალუტის ზარალს).

სავალუტო პოზიციების მართვა ხდება ბანკის მენეჯმენტის სავალუტო პოლიტიკის შესაბამისად. ვალუტის მართვის პოლიტიკა მოიცავს ყოველდღიური პოზიციების ლიმიტს და ერთობლივი ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტს, რომელიც შეადგენს საზედამხებველო კაპიტალის 5%-ს, რომელიც უფრო მკაცრია, ვიდრე ვიდრე სებ-ის მიერ დაშვებული ლიმიტი (20%-ი ლიმიტი ღია პოზიციისათვის).

საოპერაციო რისკის ანალიზი - პილარ 1-ის ფარგლებში კაპიტალის მოთხოვნა გამოიანგარიშება ძირითადი ინდიკატორის მეთოდის მიდგომის მეშვეობით. ძირითადი ინდიკატორის მეთოდით საოპერაციო რისკის კაპიტალის მოთხოვნა უნდა შეადგენდეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი ინდიკატორის 15%-ს, რომელიც განისაზღვრება, როგორც წმინდა საპროცენტო და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამის საშუალო მაჩვენებელი ბოლო სამი წლის მანძილზე.

შენიშვნა: იხილეთ დანართი PG2-BBS-QQ-20241231, table 23-OR2

საოპერაციო რისკების შეფასების და მართვის პროცესში, ბანკი გამოიყენებს სხვა ხარისხობრივ და რაოდენობრივ კრიტერიუმებსაც, რაც უზრუნველყოფს საოპერაციო რისკების უფრო კომპლექსურ და ეფექტურ მართვას. ოპერაციული რისკის საქმიანობა რეგულირდება საოპერაციო რისკების მართვის მეთოდოლოგიის წესით.

გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები:

- **დანაკარგების და მიღებული ზარალების შესახებ მონაცემთა შეგროვება:** დაფიქსირებული დანაკარგების შეგროვება ბიზნეს-ერთეულების მონაწილეობით (დეცენტრალიზირებულ მონაცემთა შეგროვება);
- **თვითშეფასება:** შესაძლებელი დანაკარგების შეფასება ბიზნეს-ერთეულების მონაწილეობით; (მიღებული ზარალების სინშირის და სიმძიმის შეფასება)
- **რისკის შემცირების სათანადო ზომების განსაზღვრა:** მიღებული დანაკარგებისა და თვით-შეფასებით მიღებული ანალიზის საფუძველზე.

ბაზისბანკის საოპერაციო რისკის მართვა არსებობს სამ დონეზე (ბიზნეს-ერთეული/დეპარტამენტის დონე, საოპერაციო რისკის მართვის დონე, აუდიტის დონე), რაც უზრუნველყოფს საოპერაციო რისკის მუდმივ კონტროლს.

საოპერაციო რისკების დეპარტამენტი ყველწლიურად ახდენს ძირითადი ინდიკატორის მეთოდით განსაზღვრული მოთხოვნილი კაპიტალის შეფასებას და მიღებული და შიდა შეფასების შედეგად მიღებული საპროგნოზო ზარალების გადაფარვის დონეს. თუ საოპერაციო რისკების მართვა მიიჩნევა, რომ BIA-მ სათანადოდ ვერ გადაფარა პოტენციური დანაკარგები, დამატებითი კაპიტალი გამოიყოფა საოპერაციო რისკების მართვის მოთხოვნის საფუძველზე.

შენიშვნა: ინფორმაცია საოპერაციო დანაკარგების მოცულობის შესახებ მოცემულია დანართში PG2-BBS-QQ-20241231/table 22_OR1

სს ბაზისბანკის ძირითადი პირველადი Tier 1 და საზედამხედველო კაპიტალის პოზიციები

კაპიტალის ადეკვატურობა ათასი ლარი	2024	2023
ჩვეულებრივი აქციები, რომლებიც აკმაყოფილებს ძირითადი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	18,212	17,092
წილობრივი კაპიტალის ზედმეტი ნაწილი (პრემია) ჩვეულებრივ აქციებზე, რომლებიც აკმაყოფილებს ძირითადი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	130,406	101,066
სხვა აკუმულირებული სრული შემოსავალი	15,807	11,085
სხვა რეზერვები	-	2,606
გაუნაწილებელი მოგება	440,379	371,453
ძირითადი პირველადი კაპიტალი საზედამხედველო კორექტირებამდე	604,804	503,302
ძირითადი პირველადი კაპიტალის საზედამხედველო კორექტირებები	(33,358)	(26,873)
ძირითადი პირველადი კაპიტალი	571,446	476,429
მეორადი კაპიტალი	139,944	96,933
საზედამხედველო კაპიტალი	711,390	573,362
რისკის მიხედვით შეწონილი პოზიცია სულ	3,677,244	3,155,794
პირველადი კაპიტალი	15.54%	15.10%
საზედამხედველო კაპიტალი	19.35%	18.17%
მთლიანი მოთხოვნა პირველად კაპიტალზე	14.50%	14.02%
მთლიანი მოთხოვნა საზედამხედველო კაპიტალზე	17.67%	17.13%

მეორად კაპიტალში ასახულია დაშვებული სუბორდინირებული საკუთარი სასესხო ფასიანი ქაღალდები (1), ნომინალური ღირებულებით 28,068 ათასი ლარი. სუბორდინირებული ვალები ფიზიკური პირებისგან (2) 22,735 ათასი ლარის ოდენობით და სხვა ფინანსური ინსტიტუტების დაფინანსება 89,141 ათასი ლარის ოდენობით.

2024 წლის მონაცემებით, ძირითადი პირველადი კაპიტალის საზედამხედველო კორექტირება ხდება შემდეგი ელემენტებით:

- აქტივების გადაფასების რეზერვით
- არამატერიალური აქტივებით
- არაფინანსურ შვილობილ კომპანიებში ინვესტიციებით

ბანკს ინვესტიციები აქვს განხორციელებული სამ კომპანიაში რომელთა აღრიცხვა ხდება სრული კონსოლიდაციით.

1. სადაზღვევო კომპანია “BB დაზღვევა” ეს მნიშვნელოვანი ინვესტიცია კაპიტალში ექვემდებარე ლიმიტირებულ აღიარებას, ინვესტიციის ღირებულება არ აჭარბებს მნიშვნელოვანი ინვესტიციის 10%-იანი ზღვარს, ამიტომ არ ხდება ამ ელემენტით კაპიტალის შემცირება.
2. აქტივების მართვის კომპანია "ბაზის ესეტ მენეჯმენტი-ჰოლდინგი" კაპიტალში აღიარდება როგორც ძირითადი პირველადი კაპიტალის მაკორექტირებელი კომპონენტი.
3. სს “BB ლიზინგი” - კაპიტალში ეს ინვესტიცია ექვემდებარება ლიმიტირებულ აღიარებას, ინვესტიციის ღირებულება არ აჭარბებს მნიშვნელოვანი ინვესტიციის 10%-იანი ზღვარს, ამიტომ ამ ელემენტით კაპიტალის შემცირება არ ხდება.

შენიშვნა: 2024 წლის მდგომარეობით, საზედამხედველო მიზნებისთვის, ბანკის შვილობილი კომპანიები ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში არ კონსოლიდირდება, მაგრამ რისკების მიხედვით შეწონილ აქტივებში შეწონილი იქნება 250%-იანი რისკის წონით. საწარმოთა კონსოლიდაციის შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში PG1-BBS-QQ-20241231/ Table 5_RWA

რისკის მიხედვით შეწონილი რისკების პოზიციები

ათასი ლარი	2024	2023
საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია	3,354,747	2,914,152
საბალანსო მუხლები	3,027,927	2,622,685
მათ შორის: თანხები დაქვითვის ზღვარს ქვემოთ (250% რისკის წონით)	24,000	21,000
გარეგანობის მუხლები	326,745	291,467
კონტრაგენტის საკრედიტო რისკი	74	-
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები საბაზრო რისკისთვის	18,757	9,552
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები საოპერაციო რისკისთვის	303,740	232,090
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები სულ	3,677,244	3,155,794

5.3. ბაზელი 3-ის დამატებითი მოთხოვნები

ლევერიჯის კოეფიციენტი. ლევერიჯის კოეფიციენტის გამოთვლის მიზნით, პირველადი კაპიტალი იყოფა მთლიანი რისკის პოზიციაზე და აღნიშნული გამოისახება პროცენტულად. მთლიანი რისკის პოზიცია წარმოადგენს: საბალანსო რისკის პოზიციის, წარმოებული ინსტრუმენტების, ფასიანი ქაღალდებით დაფინანსებული ტრანზაქციების და გარესაბალანსო ულემენტების ჯამს.

2019 წლის 26 სექტემბერს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გამოცემული #214/04 ბრძანების შესაბამისად ბანკის ლევერიჯი ყოველთვის უნდა აღემატებოდეს 5%-ს.

	2024	2023
ლევერიჯი კოეფიციენტი	13.06%	12.40%

შენიშვნა: იხილეთ დანართი PG1-BBS-QQ-20241231 table 15.1_LR

ლიკვიდობის რისკი - ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული კაპიტალის სტანდარტების პარალელურად სებ-მა დანერგა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR – Liquidity Coverage Ratio), რომლის მიზანია, კომერციული ბანკი ფლობდეს ლიკვიდურ აქტივებს, რომელიც საკმარისი იქნება ფინანსური სტრესის დროს მთლიანი წმინდა ფულადი გადინების გადასაფარად. ამისთვის საჭიროა, ბანკმა შეინარჩუნოს ადეკვატური ლიკვიდობის დონე, რომელიც საშუალებას მისცემს ბანკს გაუმკლავდეს მოსალოდნელ სხვაობას ლიკვიდური სახსრების შემოდინებასა და გადინებას შორის 30-დღიან სტრესულ პირობებში.

LCR კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნები უცხოურ ვალუტაზე 100% და ადგილობრივ ვალუტაზე 75% ხელს უწყობს მაღალი ხარისხის ლიკვიდურ აქტივების შენარჩუნებას სტრესულ გარემოში სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტს მაჩვენებელს

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი	2024	2023
LCR (%). ლარი	105.6%	97.8%
LCR (%). უცხოური ვალუტა	198.3%	165.5%
LCR (%). კომბინირებული	142.2%	122.8%

შენიშვნა: იხილეთ დანართი PG1-BBS-QQ-20241231 table 14_LCR

ეროვნულმა ბანკმა 2020 წლიდან შემოიღო გრძელვადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი - წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR). აღნიშნული კოეფიციენტი უზღუდავს მოკლევადიან დაფინანსებაზე დამოკიდებულებას და ასტაბილურებს დაფინანსების რისკს. NSFR განისაზღვრება როგორც ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსების ფარდობა სტაბილურ დაფინანსების საჭიროებასთან და სავალდებულო დასაცავ მოთხოვნას მინიმუმ 100% წარმოადგენს.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტს 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსება	2024	2023
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი %	124.2%	119.6%

ბანკის საქმიანობის მთავარი შედეგები მოცემულია დანართში PG1-BBS-QQ-20241231 table 16. NSFR.

6. ანაზღაურების პოლიტიკა

მარეგულირებლის მოთხოვნების შესაბამისად, 2022 წელს ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ შეიმუშავა ანაზღაურების პოლიტიკა, რომელშიც ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც არეგულირებს უმაღლესი მენეჯმენტის, სხვა მატერიალური რისკების ამღებთა, კონტროლის ფუნქციების მქონე პერსონალს და სხვა პერსონალის ანაზღაურებას.

ანაზღაურების პოლიტიკა აგებულია ისეთ პრინციპებზე, როგორცაა სამართლიანობა, თანაბარი ანაზღაურება თანაბარი სამუშაოს, თანამდებობის ფუნქციური დატვირთვის, პირის კომპეტენციისა და გამოცდილების გათვალისწინებით, დისკრიმინაციული ნიშნით დიფერენცირების დაუშვებლობა, თანამშრომლების მოტივაცია და შენარჩუნება, შვებულებისა და დასვენების დროის ანაზღაურება, სოციალური უზრუნველყოფის გარანტიები, ისევე როგორც ჯანსაღი კორპორატიული მმართველობისა და რისკის მართვის ქცევის ხელშეწყობა.

ანაზღაურების სისტემა მოიცავს როგორც ფიქსირებულ, ასევე შეიძლება მოიცავდეს ცვლად ნაწილს. ცვლადი ანაზღაურება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არ ეძლევა.

ფიქსირებული ანაზღაურება მოიცავს:

ა) ფიქსირებული ხელფასი

ბ) ე.წ. მე-13 ხელფასი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული არ არის დისკრეციული გადახდა, მისი მოცულობა ფიქსირებულია, ბანკს არ აქვს უფლება შეაჩეროს მისი გადახდა და მისი გადახდა არ არის დამოკიდებული ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე ან პირის მიერ სამუშაოს შესრულებაზე.

გ) რაც შეეხება სხვა არაპირდაპირი, ფიქსირებული სახის კომპენსაციას და სარგებელს, თუ აღნიშნული დისკრეციული ანაზღაურება არ არის და მისი მოცულობა ფიქსირებულია, ეძლევა მსგავს სიტუაციაში მყოფ ყველა თანამშრომელს და არ არის დისკრიმინაციული, ბანკს არ აქვს უფლება შეაჩეროს მისი გადახდა. მისი გადახდა არ არის დამოკიდებული ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე ან პირის მუშაობის მაჩვენებლებზე. არაპირდაპირი კომპენსაცია შეიძლება მოიცავდეს სხვა არსებითად ფიქსირებულ ანაზღაურების მსგავს გადახდებს, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ): დამსაქმებლის მიერ ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშის შენატანის დაფინანსება ფიქსირებული ანაზღაურების საფუძველზე, სხვადასხვა სახის დაზღვევა, მანქანის მომსახურება, ავადმყოფობის შვებულების კომპენსაცია, მშობიარობა, მივლინება, ტელეფონისა და საწვავის ხარჯები და სხვა მსგავსი ფორმები.

ფიქსირებული ანაზღაურება განისაზღვრება პირის პროფესიული გამოცდილებით და ორგანიზაციული პასუხისმგებლობით, რაც თავის მხრივ უნდა შეესაბამებოდეს მის თანამდებობას. ფიქსირებული ანაზღაურების ფულად ეკვივალენტში გამოხატული თანხა წინასწარ არის განსაზღვრული და უცვლელი და არ არის დამოკიდებული სამუშაოს შესრულების ინდიკატორებზე. ფიქსირებული ანაზღაურება უნდა შეადგენდეს მთლიანი ანაზღაურების ძირითად ნაწილს და უნდა იყოს დაბალანსებული ცვლადი ანაზღაურებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ისე, რომ ბანკს საშუალება მისცეს არ გასცეს/დააკორექტიროს ცვლადი ანაზღაურება. ფიქსირებული გადასახადის ფულად ეკვივალენტში გამოხატული თანხა წინასწარ უნდა განისაზღვროს და უნდა იყოს უცვლელი.

ცვლადი ანაზღაურება გულისხმობს:

ა) ბონუსი;

ბ) დამსაქმებლის მიერ ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშის დაფინანსება ცვლადი ანაზღაურების საფუძველზე;

გ) ბანკის მიერ მინიჭებულ სხვა ანაზღაურებას, რომელიც არ აკმაყოფილებს ფიქსირებული ანაზღაურების კრიტერიუმებს, ან კრიტერიუმები ბუნდოვანია, რაც ართულებს მისთვის ფიქსირებული ანაზღაურების კატეგორიის მინიჭებას.

წლიური ცვალებადი ანაზღაურების არანაკლებ 40%-ის გადახდა მატერიალური რისკის ამღებთათვის (გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა) და სადაც წლიური ცვლადი ანაზღაურება აჭარბებს წლიური ფიქსირებული ანაზღაურების 100% და/ან 500,000 ლარს ან მის ეკვივალენტს - არანაკლებ 60%-ის გადახდა უნდა გადავადდეს სამი წლით (გადავადების პრინციპი).

ცვლადი ანაზღაურების კორექტირება

ნებისმიერი მატერიალური რისკის ამღების ცვლადი ანაზღაურება შეიძლება დაექვემდებაროს კორექტირებას ეროვნული ბანკის შესაბამისი რეგულაციებისა და შიდა ანაზღაურების პოლიტიკის შესაბამისად, შემდეგი წინაპირობების არსებობისას:

ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლები

ა. ეკონომიკური კაპიტალი, ეკონომიკური მოგება, ამონაგები რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებზე;

ბ. კანონმდებლობის დარღვევა, რისკების ლიმიტის დარღვევა, შიდა კონტროლის ფუნქციებით განსაზღვრული მახასიათებლების დარღვევა;

კორექტირება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცვლად ანაზღაურებაზე/მის ნაწილზე შემდეგი წინაპირობების შემთხვევაში:

ა. ანაზღაურებას დაქვემდებარებული პირის მიერ ისეთი ქმედების ჩადენა, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ბანკს;

ბ. ანაზღაურებას დაქვემდებარებული პირი ვედარ აკმაყოფილებს კომერციული ბანკების აღმინისტრატორების შესაბამისობის კრიტერიუმების შესახებ შესაბამისი წესით დადგენილ სტანდარტებს;

გ. კომპენსაციას დაქვემდებარებული პირის მიერ უკანონო ქცევა ან მატერიალური გადაცდომა, მათ შორის ეთიკის კოდექსის ან სხვა შიდა წესების არსებითი დარღვევა;

დ. ბანკის/სტრუქტურული ერთეულის ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება (მაგალითად, კონკრეტული ბიზნესის ინდიკატორები).

ე. რისკების მართვის მნიშვნელოვანი შეცდომები/პრობლემები ბანკში ან იმ სტრუქტურულ ერთეულში, სადაც აღნიშნული პირი მუშაობს.

ვ. ბანკის/სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური/საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების მნიშვნელოვანი ზრდა.

გ. ანაზღაურების საგანია იმ პირის ქმედება, რომელსაც გარკვეული გავლენა მოახდინა ბანკზე ნორმატიული/საზედამხედველო სანქციის დაკისრებაზე.

საანგარიშო წლის განმავლობაში არ ყოფილა ისეთი თანამშრომლები, რომელთა ანაზღაურებამ 1 მილიონ ლარს გადააჭარბა.

მენეჯმენტის ანაზღაურება

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია სს “ბაზისბანკის” უმაღლესი მენეჯმენტისათვის დადგენილი ანაზღაურების პოლიტიკისა და საკომპენსაციო სისტემის შესახებ ინფორმაცია. ბანკის უმაღლეს მენეჯმენტს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის წევრები.

დირექტორატის წევრების დასაქმების და ანაზღაურების პირობებს ადგენს სამეთვალყურეო საბჭო; ხოლო, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების საკითხებს განსაზღვრავს აქციონერთა საერთო კრება.

2024 წელს მენეჯმენტის მიერ გამომუშავებული ანაზღაურების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართი PE1-BBS-QQ-20241231-ის ცხრილში Table 24_Rem1 /27_REM 4.

დირექტორატის წევრების ანაზღაურების სისტემა მოიცავს როგორც ფიქსირებულ, ისე ცვლად ნაწილს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურება მოიცავს მხოლოდ ფიქსირებულ ანაზღაურებას.

დირექტორსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის კონსულტაციების გზით განიხილება მმართველი საბჭოს წევრების ფიქსირებული ინდივიდუალური ხელფასები.

ბონუსად განსაზღვრული თანხის ცვლადი ნაწილი ეფუძნება ბანკსა და დირექტორატის წევრებს შორის დადებულ ხელშეკრულებას; ცვლადი ანაზღაურების გენერირების პერიოდის დასრულების შემდეგ. ბონუსი გამოითვლება:

- ცვლადი ანაზღაურების გენერირების პერიოდში ანაზღაურების სუბიექტის მიერ შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, წინასწარ განსაზღვრული KPI-ების მიღწევის ფარგლებში, შესაბამისი წონების გათვალისწინებით.
- შესწორებების გათვალისწინება შედეგებზე და რისკებზე დაყრდნობით.

ცვლადი ანაზღაურების გაანგარიშება. ცვლადი გადახდა გაიცემა ბონუსების სახით. ბონუსი არის დირექტორისთვის გადასახდელი დამატებითი ანაზღაურება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად.

ჯამური ბონუსის განსაზღვრა ეფუძნება საანგარიშო წლის აუდიტირებულ ფინანსურ შედეგებს, რომელსაც ადასტურებს გარე აუდიტორი (მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი საერთაშორისო აუდიტორული კომპანიადან ერთ-ერთი).

კომპენსირებული თანხის არანაკლებ 50% (ორმოცდაათი პროცენტი) ბანკის აქციების წინასწარ განსაზღვრული პირობებით შეძენას ხმარდება. გადასაცემი აქციების საერთო რაოდენობა დამოკიდებულია წლის ღირებულებაზე; შედეგების შეფასება ხდება წინა საანგარიშო წლის აუდიტირებული ფინანსური კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც მომზადებულია IFRS სტანდარტის შესაბამისად.

2017 წლის მარტში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა უმაღლესი მენეჯმენტის ბონუსების ახალი სქემა 2017-2022 წლებისთვის და ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის წევრებს მომსახურების პირობების გათვალისწინებით ახალი აქციები გადასცა. აქციებზე დაფუძნებული ახალი სქემის მიხედვით, მენეჯმენტის აქციებზე გავრცელდა მსგავსი შეზღუდვები, ანუ დირექტორები აქციებს ვერ გაყიდდნენ შეძენიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში („დაბლოკვის პერიოდი“). 2023 წელს მინიჭების შემდგომი ყველა შეზღუდვა სრულად ამოიწურა.

უმაღლესი მენეჯმენტის ბონუს სქემასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი აღიარებულია საანგარიშო პერიოდში. იხილეთ ცხრილი 24_Rem1 /27_REM 4, appendix PE1-BBS-QQ-20241231.

მატერიალური რისკის ამღები სხვა პირების ანაზღაურება

მატერიალური რისკის ამღები პირები (MRT)

იმ პირების გამოსავლენად, რომელთაც ბანკის რისკის პროფილზე არსებითი შედეგი აქვს, ბანკმა სებ-ის შესაბამისი წესების და რეკომენდაციების თანახმად შეიმუშავა რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმები. შედეგად, მატერიალური რისკის ამღებ პირებად გამოვლინდნენ შემდეგი პირები:

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრები
- დირექტორატის წევრები
- თანამშრომლები, რომელთა საქმიანობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ბანკის რისკის პროფილზე. მატერიალური რისკის ამღებ პირებად გამოვლინდა 12 თანამშრომელი (ამაში არ შედიან ზემოთ ჩამოთვლილი უმაღლესი მენეჯმენტის წევრები).

მატერიალური რისკის ამღებ თანამშრომელთა ანაზღაურება განისაზღვრება სებ-ის კორპორაციული მმართველობის კოდექსით და ანაზღაურების პოლიტიკის შიდა დოკუმენტით. მატერიალური რისკის ამღები პირების ანაზღაურება ექვემდებარება ზემოთ აღწერილ გადავადების პრინციპს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წლიური ცვლადი ანაზღაურება არ არის არსებითი, ანუ როცა წლიური ცვლადი ანაზღაურება არ აღემატება წლიური ფიქსირებული ანაზღაურების 20%-ს.

კონტროლის ფუნქციების ანაზღაურება

კონტროლის ფუნქციები არის ფუნქციები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პროცესების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შემოწმებაზე, ობიექტურ შეფასებაზე და შესაბამისი მიმართულებით ანგარიშის წარდგენაზე. ეს ფუნქციებია რისკების მართვა, კომპლაენსი და შიდა აუდიტის ფუნქცია.

კონტროლის ფუნქციების მქონე პერსონალის ანაზღაურება, კერძოდ, შიდა აუდიტის, რისკების მართვის და კომპლაენსის, რისკს არ უქმნის თანამშრომლების დამოუკიდებლობას. კონტროლის ფუნქციების თანამშრომელთა ანაზღაურება არ არის დამოკიდებული ამ ფუნქციების აუდიტის ან მონიტორინგის ქვეშ მყოფი ბიზნეს-საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე.